

ქართველები წმინდა მიწაზე

ვახტანგ რჩეულიშვილი

წინათქმა

“რა ბედნიერებაა, იყო ქრისტიანი”, - ვიფიქრე წმინდა მიწის მოსალოცად ჩასულმა. ღვთისმშობლის საფლავის ტაძრის დანახვისას თითქოს მშრალი ბურთი გამეჩხირა ყელში, ხმას ვერ ვიღებდი უჩვეულო აღელვებისაგან. ეს გრძნობა თითქმის ყველა მომლოცველს ეუფლება. - “რა ბედნიერებაა, იყო ქართველი”, - ვიფიქრე უკვე ჯვრის მონასტერში შესულმა. ქართველებს მონასტერი სამყაროს ცენტრში აგვიგია. როგორც ჩვენთვის, წმინდა გარდამოცემითაა ცნობილი ამ ადგილზე ამოსულ სინანულის ხისაგან დამზადებულ ჯვარზე ჩვენთვის ეწამა მაცხოვარი, იესო ქრისტე. ამ ჯვრის გამოსახულებას ატარებს დღეს ყველა ქრისტიანი. ამ მონასტერში დაასრულა სიცოცხლე გენიალურმა შოთა რუსთაველმა. რაც უნდა შალონ მისი ფრესკა, უფლის წყალობით, ვეღარც მის ხსოვნას და ვერც მის სამშობლოს ვეღარაფერს დააკლებენ. ჩვენ ხომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილები ვართ. ხოლო თუ ამისი არ გეწამს, მაშინ, საერთოდ, რაღა გვინდა წმინდა მიწაზე?!

დღეს, საქართველო ეკლესიური აღმშენებლობის ტემპით მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა. ამის დასტურია ასეულობით ახლადაშენებული ეკლესია, მათ შორის წმინდა სამების გრანდიოზული საკათედრო ტაძარი. უპრეცედენტოა თანამედროვე მსოფლიოს ისტორიაში საუკუნეების წინ გამაჰმადიანებული აჭარის მოსახლეობის მასობრივი, ნებაყოფლობითი დაბრუნება დედაეკლესიაში. აღდგა მომლოცველობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია: ათასობით ქართველმა ქრისტიანმა მოილოცა პალესტინა, ათონის მთა, სხვა წმინდა ადგილები. ბეთლემში გაიხსნა წმინდა ნინოს ქალთა ქართული მონასტერი. ბიბლიურ ქალაქ ლოდში, სადაც წმინდა გიორგია დაკრძალული, ოფიციალურად გაიხსნა „ქართული სახლი“, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გადაეცა და სადაც უკვე ქართველი მღვდელი მოღვაწეობს. ყოველივე ეს კეთდება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევითა და მრევლის შემოწირულობით.

ერთ-ერთი ასეთი შემომწირველის მამუკა ჯინჭარაძის ხსოვნას ეძღვნება ეს ნაშრომიც. სწორედ მისი სახსრებით შევიძინეთ ბეთლემში ის პირველი სახლი საქართველოს ეკლესიისათვის, სადაც დღეს წმინდა ნინოს მონასტერი მდებარეობს. წმინდა მიწის მოსალოცად ჩასული ყოველი პილიგრიმი აუცილებლად მიდის ამ მონასტერში და ამით პატივს მიაგებს მის ნათელ ხსოვნასაც. ვინაიდან ასეთია კტიტორთა გამორჩეული ბედი, მათ მიერ აშენებულ ეკლესიაში სანთელი მათ მოსახსენიებლადაც ინთება.

ეს სახლი საუკუნეების მანძილზე წმინდა მიწაზე საქართველოს ეკლესიისათვის შეწირული პირველი ქონებაა. მისი შექმნის ისტორია იმდენად საინტერესოა, რომ ცალკე დავურთე ამ წიგნს (იხ. სარჩევი).

2003 წელს, ქართველ მომლოცველთა ჯგუფმა, მამა ილიას (ნასიძე) ხელმძღვანელობით, იერუსალიმიდან თბილისში ლიტანიობაზე წმინდა ცეცხლი ჩამოვიტანეთ. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც წმინდა ცეცხლი გადმოსვლისთანავე საგანგებო თვითმფრინავით იმავე დღეს, დიდ შაბათს, ჩამობრძანდა

საქართველოში. ყოველწლიურად ამას მხოლოდ ბერძნები აკეთებენ საგანგებო სამხედრო თვითმფრინავით. მაშინ ეს პირველად ქართველებმა და რუსებმაც ვცადეთ. კათალიკოს-პატრიარქმა იმ წელს სწორედ იერუსალიმიდან ჩამოტანილი წმინდა ცეცხლით დალოცა ერი საადღეომოდ. ჩვენი ეს პირველი დელეგაცია სულ 27 კაცი საგან შედგებოდა და ერთ პატარა თვითმფრინავში მოთავსდა. 2006 წელს კი ოთხი დიდი ბოინგით ჩავიდნენ ქართველი პილიგრიმები იერუსალიმში აღდგომის დღესასწაულზე, მაგრამ ყველა მსურველი თვითმფრინავებმა მაინც ვერ დაიტია. წელს კიდევ უფრო მეტი ქართველი პილიგრიმი მიემგზავრება წმიდა მიწაზე. სწორედ ეს არის საქართველოს სულიერი და მატერიალური აღორძინების ყველაზე უტყუარი მაჩვენებელი.

მე, რომელმაც უფლის წყალობით რამდენჯერმე მოვილოცე წმინდა ადგილები, თავს უფლება მივეცი, ეს სამახსოვრო წიგნი მომემზადებინა წმინდა მიწის ქართველ მომლოცველთათვის. თავის დროზე ისრაელში ჩვენს მცირერიცხოვან მომლოცველთა ჯგუფს მეგზურობა გაუწიეს

ქართველმა მონაზონმა დედა ევგენიამ და დეკანოზ პეტრე კენჭოშვილის ცნობილმა წიგნმა - „მოგზაურობა წმ. ქალაქ იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზე“. ცხადია, ათასობით ადამიანს ასეთი მეგზური ვერ ეყოლება, თუნდაც იმის გამო, რომ კენჭოშვილის წიგნი უკვე ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა, ერთი საუკუნის წინაა დაწერილი და საკმაოდ სქელტანიანია. თუმცა წინამდებარე ნაშრომს, გარკვეულწილად, საინფორმაციო - საგანმანათლებლო ფუნქცია აქვს, ამიტომ მე უწინარესად იმ მომენტებზე გავამახვილე ყურადღება, რაც ადრე არ ვიცოდი და თავადაც დამაინტერესა. როგორც ახალბედა ავტორს, გთხოვთ, მომიტევეთ და ძალიან მკაცრად ნუ განმსჯით. მითუმეტეს, რომ ჩემი ნამდვილი მიზანი არა მეგზურობა, არამედ საქართველოს ისტორიისათვის იერუსალიმის გადამწყვეტი როლისა და მნიშვნელობის შესხენებაა, რათა ერთი მხრივ, მალე დავბრუნდეთ წმინდა მიწაზე, ხოლო მეორე მხრივ, უკეთ გავერკვეთ, თუ ვინ ვართ ჩვენ, ქართველები, თუ რომელი ცივილიზაციის შვილები ვართ. საქმე ის გახლავთ, რომ მსოფლიო ისტორია ეს ცივილიზაციების ისტორიაა. კაცობრიობა იყოფა ცივილიზაციებად. ცივილიზაციები ყოველთვის ეპაექრებიან ერთმანეთს, ცდილობენ რა თავისი ფასეულობებისა და ცხოვრების წესის უპირატესობების დამტკიცებას, ზოგჯერ კი სხვებისათვის იძულებით თავს მოხვევას. ცივილიზაციის განმსაზღვრელი ფაქტორი კი უწინარესად რელიგიაა.

ამიტომ უწოდებენ დასავლურ ცივილიზაციას ხშირად ებრაულ-ქრისტიანულს, რუსულ ცივილიზაციას - მართლმადიდებლურს, აფრო-აზიურ ცივილიზაციას - მუსლიმანურს, ინდურ ცივილიზაციას - ინდუისტურს, ჩინურს - კონფუციანურს, ლათინური ამერიკის რელიგიურ კუთვნილებაზე თავად სახელიც მიგვანიშნებს, მაგალითად, ბრაზილიის მოსახლეობის 95 % კათოლიკე, ანუ ლათინი ქრისტიანია. ყოველი ხალხი თავად განსაზღვრავს, თუ რომელი ცივილიზაციის შვილია და შემდგომ ამ არჩევანზე პასუხისმგებლობასაც თავად ტვირთულობს. მართლმადიდებლურ რუსეთსა და მუსლიმანურ ირანს შორის არჩევანის გაკეთება ჩვენთვის შედარებით მარტივი იყო. ჩემი დრმა რწმენით, ერეკლე მეფის გზა იმ დროისათვის ერთადერთი სწორი გზა იყო, თუმცა ერეკლე მაშინვე ეძებდა პირდაპირ გზას ევროპისაკენ, მაგრამ უშედეგოდ. დღეს არჩევანი რუსეთსა და დასავლეთს შორის გვაქვს, რაც ბევრად უფრო რთულია, იმიტომ, რომ რელიგიურად, რუსეთის მსგავსად, მართლმადიდებლური ქვეყანა ვართ. არჩევანი თავად რუსეთმა გაგვიმარტივა, სამწუხაროდ, დაადგა რა ალა-მაჰმად-ხანის, ანუ ურჩი ქართველების დასჯის გზას. ასეთ პირობებში მართლმადიდებლურმა საბერძნეთმა, კვიპროსმა, ბულგარეთმა, რუმინეთმა და სერბეთმაც კი უკვე გააკეთეს თავისი არჩევანი ევროპის სასარგებლოდ, ამასთან მართლმადიდებლობაც შეინარჩუნეს. ამავდროულად,

დასავლურ ცივილიზაციაში ებრაული ელემენტიც გამოკვეთილია, ხოლო ებრაელებთან ქართველებს საუკუნეების მანძილზე განსაკუთრებულად თბილი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. დღესაც ისრაელი ახლო აღმოსავლეთში საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორად მოიაზრება. ამიტომაც ჩვენი ერისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე წინსვლის სწორი გზა უნდა ავირჩიოთ. ამისათვის კი იერუსალიმზე სულიერ ორიენტაციას, ჩემი აზრით, უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია. ისრაელის შთამბეჭდავი წარმატებები ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში გვარწმუნებს, რომ ჭეშმარიტი მეცნიერება და რელიგია ბუნებრივი მოკავშირეები არიან ქვეყნისა და ერის აყვავების საქმეში. ამიტომაც დიდი უწმინდესის სურვილი, დანერგოს ისრაელის მოწინავე გამოცდილება თუნდაც საქართველოს სოფლის მეურნეობაში. საერთოდ, გაზარდოს განათლებისა და მეცნიერების როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. როგორც ყოველი მისი წამოწყება, ესეც დიდ სიკეთეს მოუტანს საქართველოს.

ამასთან ერთად იერუსალიმი მუსლიმანური ცივილიზაციის ერთ-ერთი ცენტრია. დღეს მუსლიმანების რაოდენობა მსოფლიოში მილიარდ-ნახევარს, ანუ მოსახლეობის 25 %-ს აღწევს. ქრისტიანების რაოდენობაც დაახლოებით 1,5-2 მილიარდი ადამიანია, ანუ 25-30%. ე.ი. მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტისათვის იერუსალიმი სულიერი ცენტრია. მართალია, ებრაელები რაოდენობრივად მუსლიმანების ან ქრისტიანების ნახევარ პროცენტსაც კი არ შეადგენენ (სულ 13 მლნ. ადამიანი), მსოფლიოში ფინანსური და პოლიტიკური გავლენით ისინი ნამდვილად არავის ჩამორჩებიან. დამეთანხმებით, რომ თანამედროვე ადამიანმა კარგად უნდა იცოდეს, არა მარტო თავისი რელიგიის, არამედ სხვა რელიგიების ისტორიაც, მითუმეტეს, როდესაც ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მსოფლიოში. ჩვენ კი კარგად ქრისტიანობის ისტორიაც კი არ ვიცით, რომ არაფერი ვთქვათ ისლამზე და იუდაიზმზე. იერუსალიმში მოგზაურობა დაგვეხმარება მათ უკეთ გაგებაში. ცხადია, ყველაფერი როდი მოგეწონება კაცს ისრაელში. ამიტომაც მინდა, გავაფრთხილო ყველა ახალბედა პილიგრიმი, რომ იერუსალიმში საკმაოდ დაძაბული მდგომარეობაა. აქ არ ვგულისხმობ მარტო ებრაულ-არაბულ კონფლიქტს. ჩემი აზრით, წმინდა ქალაქში განსაკუთრებული სიმძაფრით იგრძნობა არა მარტო ღმერთის, არამედ ეშმაკის არსებობაც. ამის მაგალითია თუნდაც მუდმივი დაპირისპირება სხვადასხვა ქრისტიანულ კონფესიებს შორის, თუნდაც იერუსალიმის მართლმადიდებელ და სომხურ-მონოფიზიტურ ეკლესიებს შორის, რაც განსაკუთრებული სიმძაფრით, უფლის საფლაგზე, დიდ შაბათს, წმინდა ცეცხლის გარდამოსვლისას ვლინდება. სწორედ ამიტომ დააყენეს ოსმალებმა თავის დროზე ტაძრის მცველებად მუსლიმები, რათა ერთმანეთთან მოქიშპე ქრისტიანები დაეშოშმინებინათ. ამიტომაც იღებს ისრაელის პოლიცია ამ დღეს უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებს და ყველა პილიგრიმიც, შესაბამისად, უნდა გაფრთხილდეს. ამ საკითხზე ნაშრომში დაწვრილებით მოგიტხრობთ. მასალა ისეა განლაგებული, რომ მკითხველს შეუძლია მისთვის საინტერესო თემა სარჩევში მოიძიოს და პირდაპირ იქიდან დაიწყოს კითხვა. წიგნს დართული აქვს საგანგებო დამატებები და ფოტოგალერეა მოკლე კომენტარებით. მადლობელი დაგრჩებით, თუკი ვინმე დამატებით მასალას ან შენიშვნებს მომაწვდით, შემდგომ გამოცემებში გასათვალისწინებლად. ჩვენს გეგმებს გაეცნობით დამატებაში, რომელიც საქველმოქმედო ფონდის საქმიანობაზე მოგიტხრობთ. ახლა კი, ყველას გილოცავთ წმინდა ადგილების მოლოცვას და უფლის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

ქრისტე აღსდგა!

1.საქართველო და ძველი აღთქმის სამყარო

ა. ბიბლია: ძველი და ახალი აღთქმა

საქართველო ისტორიულად ევროპული კი არა, ახლო აღმოსავლური ქვეყანაა, იმ რეგიონის განაპირა მხარეა, სადაც პირველი უძველესი ცივილიზაციები და უდიდესი მსოფლიო რელიგიები შეიქმნა. თუმცა, ზოგადად, სამხრეთ ევროპელებთან ერთად ჩვენც ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების დიდი ცივილიზაციის შვილები ვართ.

იერუსალიმი ამ რეგიონისა და მთელი მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი რელიგიური ცენტრია და მსოფლიო რელიგიებიდან მხოლოდ ბუდიზმს არ უკავშირდება.

ქრისტიანთათვის იერუსალიმი, უწინარესად, უფლის ჯვარცმისა და აღდგომის ქალაქია. ებრაელთათვის იგი ისტორიული დედაქალაქი და სოლომონის ტაძრის ადგილია. მუსლიმები მას რიგით მესამე წმინდა ადგილად მიიჩნევენ მექასა და მედინას შემდეგ, საიდანაც, მათი რწმენით, ზეცად ამადლდა მუჰამედი. ამ რელიგიებს შორის დამოკიდებულება რთული და წინააღმდეგობრივია. სამივე მათგანი აღიარებს ბიბლიის პირველ ნაწილს – ძველ აღთქმას: სამყაროსა და ადამიანის შექმნას ერთი ღმერთისაგან, სამოთხიდან ადამისა და ევას გაძევებას, პირველქმნილი ცოდვის გამო, წარდენას, ნოეს კიდობანისა და ბაბილონის გოდოლის არსებობას, ნოეს შთამომავლობიდან მრავალრიცხოვანი ხალხების წარმოშობას, მოსეს ათ მცნებას, აბრაამის, ისააკისა და იაკობის პატრიარქობას და ა.შ., მაგრამ ამ რელიგიებს შორის განსხვავება, მათი სწავლებიდან გამომდინარე, არსებითია. ჩვენთვის, ქრისტიანებისთვის, ახალი აღთქმის წმინდა წიგნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ისინი საფუძველთა საფუძველია ეკლესიის წიადში დაუნჯებული იმ უცვალებელი რჯულისა და მოძღვრებისა, რომელსაც ახალი აღთქმის რჯული ეწოდება.

„ბიბლია“ ბერძნულად წიგნებს ნიშნავს. ეს სიტყვა ძველი ფინიკიური ქალაქის – ბიბლოსის სახელწოდებიდან მომდინარეობს, სადაც მზადდებოდა მასალა წიგნებისათვის. აქ შეიქმნა თანამედროვე ტიპის პირველი ანბანი, რომელსაც ფინიკიური ეწოდა და რომელიც, თავის მხრივ, ბერძნულს დაედო საფუძველად. სიტყვა „აღთქმა“ კი, ბიბლიური გაგებით, ხელშეკრულებას, კავშირს ნიშნავს და არა მხოლოდ დაპირებას, არამედ ღმერთსა და ადამიანს შორის დადებულ შეთანხმებასაც გულისხმობს, რომელზეც პასუხისმგებლობას ორივე მხარე კისრულობს. დიპლომატიურ ხელშეკრულებათა ტექსტების არსებობა უძველესი დროიდან იღებს სათავეს. მაგალითად, ხეთურ არქივებში აღმოჩენილი დიპლომატიური ხელშეკრულებები დადებულია ხეთებსა და მათი მფარველობის ქვეშ შემოსულ ხალხებს შორის, სადაც, პირველად ისტორიაში, დაწვრილებით არის აღწერილი მხარეთა ურთიერთვადდებულებები. ძველი აღთქმის წმინდა წიგნებში აღწერილია, თუ როგორ სჯიდა უფალი თავის რჩეულ ერს, ისრაელს, აღთქმის დარღვევის, კერპთმსახურებისა და ღვთის მცნებების შეუსრულებლობისათვის. ძველი აღთქმის წმინდა წიგნები, რომლებიც ებრაულ ენაზეა დაწერილი, უფლის რჩეული ერისთვის იყო განკუთვნილი, რომელსაც ღმერთმა რჯული განუწესა მოსე წინასწარმეტყველის მეშვეობით. ახალი აღთქმის ეპოქაში ღვთის რჩეული ერი არის არა ერთი რომელიმე ეროვნების ხალხი, არამედ ქრისტეს წმინდა ეკლესიის წევრები, მიუხედავად მათი ეთნიკური

წარმომავლობისა, რომლებიც უფლის აღთქმის მემკვიდრენი ნათლობის საიდუმლო მადლით ხდებიან. ამდენად, აღთქმა, დადებული ღმერთსა და ადამიანებს შორის, ბიბლიის უმთავრესი თემაა.

საღმრთო ისტორიიდან ცნობილია, რომ წარღვნის შემდეგ ღმერთმა აღთქმა მისცა ნოეს, მის შვილებსა და მის შთამომავლობას, რომ აღარ იქნებოდა წარღვნა ქვეყანაზე, და ამ აღთქმის ნიშნად შექმნა ცი-სარტყელა (დაბ. 9,11-13). უფალმა აღთქმა დაუდო აბრაამსაც, როდესაც დაჰპირდა, რომ მისცემდა მის შთამომავლობას მთელ მიწას ეგვიპტის საზღვრიდან მდინარე ეფრატამდე (დაბ. 15,16). ამ აღთქმის დადასტურების ნიშნად უფალმა თავისი რჩეული ერის ყველა მამაკაცს წინადაცვეთა დაუდგინა. ძველი აღთქმა, რომელიც უფალმა ისრაელს დაუდო, შეიცავდა როგორც ათ მცნებას, - ასევე ღვთის სხვა დადგენილებებსა და კანონებს, რაც მოსე წინასწარმეტყველს განეცხადა სინას მთაზე. როგორც წმინდა წერილშია ნაუწყები, ღვთის კაცმა-მოსემ, მსხვერპლად შეწირულ ზვარაკთა სისხლი ასხურა სამს-ხვერპლოსა და ხალხს, უწოდა რა მას „აღთქმის სისხლი“, „აჰა, სისხლი აღთქმისა, რომელი აღთქმა-ყო ღმერთმა თქვენდა მომართ ყოველთა მათ სიტყუათათვის“ (გამ. 24,8). ძველი აღთქმის წიგნები (სულ 50) დაწერილია ქრისტეს შობამდე დაახლოებით 1600 წლიდან 430-420 წლებამდე, თუმცა თავად აბრაამის შემოსვლას ქანაანში, რითაც ებრაელი ხალხის ისტორია იწყება, მეცნიერები ათარიღებენ 2000 წლით, ქრისტეს შობამდე.

რაც შეეხება ბიბლიის მეორე ნაწილს - „ახალ აღთქმას“, ის მოგვითხრობს მაცხოვრის განკაცების, მისი ამქვეყნიური მოღვაწეობის, ჯვარცმის, აღდგომისა და ზეცად ამაღლების, ახალი აღთქმის ეკლესიის დაფუძნების, მოციქულთა მოღვაწეობისა და ქრისტიანობის გავრცელების შესახებ. ახალი აღთქმის წმინდა წიგნებში ნათლად არის მინიშნებული, რომ იესო ქრისტე ადამის მოღვმის მსხველია, რომლის შესახებაც უფალმა ადამიანებს ძველ აღთქმის ეპოქაში აუწყა წინასწარმეტყველთა პირით. როგორც პავლე მოციქული წერს: „ღმერთმა როგორც იწინასწარმეტყველა ყველა თავისი წინასწარმეტყველის პირით ქრისტეს ვნება, ისე აღასრულა“ (საქმე, 3,18).

ახალი აღთქმა შეიცავს 27 წიგნს: ოთხთავს (ოთხ კანონიკურ სახარებას), მოციქულთა საქმეებს, შვიდ კათოლიკე (საყოველთაო) ეპისტოლეს, პავლე მოციქულის 14 ეპისტოლესა და გამოცხადებას (აპოკალიფსი). ახალი აღთქმის წმინდა წიგნები დაიწერა ა. წ.-ის პირველი საუკუნის მეორე ნახევარსა და მეორე საუკუნის დასაწყისში. ტერმინი „ახალი აღთქმა“ მომდინარეობს თავად იესო ქრისტესგან, რომელმაც იერუსალიმში, სიონის ქორში გამართულ საიდუმლო სერობაზე გამოიყენა ეს ტერმინი, როდესაც, როგორც მათე მახარებელი გვაუწყებს: „მოიღო პური და ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მოწაფეთა თვისთა და ჰრქუა მათ: მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ჳორცი ჩემი. და მოიღო სასუმელი და ჰმადლობდა და მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგან ყოველთა, ესე არის სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისაჲ, მრავალთათვის დათხეული მისატყვებელად ცოდვათა“ (მთ. 26, 26-28). ჯერ კიდევ ძველი აღთქმის ეპოქაში ჩანს, რომ უფალი აღთქმას უდებს მთელ კაცობრიობას, როდესაც „აბრაამის შესახებ ამბობს: „იყოს ნათესავად დიდად და მრავლად და იკურთხეოდინ მისა მიმართ ყოველნი ნათესავნი ქუყანისანი“ (დაბ. 18,18) - ამ სიტყვებით უფალი ჰპირდება აბრაამს, რომ მისი მემკვიდრეობით კურთხეული იქნება ყველა ხალხი, რაც ახალ აღთქმაში აღსრულდა, რადგან ქრისტიანული ეკლესია, ძველი აღთქმის ეკლესიისაგან განსხვავებით, ქვეყნიერების კიდით-კიდემდე განივრცო და ჳემშარიტი ნათლისღების მადლით, თავის მაცხოვრებელ წიაღში შემოიკრიბა ყველა ეროვნების ადამიანი. როგორც წმინდა პავლე მოციქული ამბობს: „არა არს წარმართ და ჳურია,

წინადაცუეთილება და წინადაუცუეთელება, ბარბაროს, სკვითელ, მონება, აზნაურება, არამედ ყოვლად ყოველსა შინა ქრისტე“ (კოლ. 3, 11). ეს არის ადამიანებისადმი მინიჭებული უფლის უზენაესი თავისუფლება.

ძველი და ახალი რჯულის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით წმინდა იოანე ღვთისმეტყველი წერს, რომ „სჯული მოსესგან მოცა, ხოლო მადლი და ჭეშმარიტება ქრისტე იესოვს მიერ იქმნა“.

ახალი აღთქმის წმინდა ეკლესია საყოველთაოა. იგი დაფუძნებულია ჩვენი მაცხოვრის – იესო ქრისტეს მიერ, რომელმაც საკუთარი თავი მსხვერპლად შესწირა ცოდვის ტყვეობისაგან კაცობრიობის გამოსხნას.

ბ. დამოკიდებულება ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის

როგორც აღინიშნა, ბიბლიას მუსლიმებიც აღიარებენ ნაწილობრივ. თავად მუჰამედის თქმით, ის არც მთლიანად უნდა უარყო და არც მთლიანად დაიჯერო. ყურანში ნოეს უწოდებენ ნუჰს, აბრაამს – იბრაჰიმს, ლოთს – ლუტს, ისააკს – ისჰაკს, ისმაილს – იშმაილს, იოსებს – იუსუფს, მოსეს – მუსას, აარონს – ჰარუნს, დავით მეფესა და წინასწარმეტყველს – დავუდს, მეფე სოლომონს – სულეიმანს. იესო ქრისტეს ისინი „ისა იბნ მარიამს“ (ე.ი. იესო მარიამის შვილს) უწოდებენ და მასაც წინასწარმეტყველად მიიჩნევენ, მაგრამ არა ღმერთად და ღვთის ძედ. მათი რწმენით, ღმერთს საერთოდ არ შეიძლება ჰყავდეს ძე. ქრისტეს ღვაწლი ისლამში ერთღმერთიანობის (მონოთეიზმის) ქადაგებით ამოიწურება. ყურანში მასვე მიეწერება ქადაგება ისრაელიანთა შორის, მომავალში ერთადერთი ჭეშმარიტი მოციქულის, აჰმედის, ანუ მუჰამედის მოსვლის შესახებ (61,6). მუსლიმებს მტკიცედ სწამთ, რომ ბიბლიური მესია სწორედ მუჰამედია, ხოლო უფლის რჩეული ხალხი არაბები და, ზოგადად, მუსლიმები არიან. მუსლიმური ტრადიციის მიხედვით, აბრაამს უფლისათვის არა ისააკი, არამედ უფროსი შვილი, ისმაილი, უნდა შეეწირა. ყურბან-ბაირამი, მუსლიმთა უდიდესი დღესასწაული, ისმაილის გადარჩენას უკავშირდება, რადგან მათი რწმენით, უფალმა ისხნა ისმაილი როგორც მსხვერპლად შეწირვისას, ასევე დედამისთან, აგართან, ერთად უდაბნოში სიკვდილისაგან. გადმოცემით მათ უდაბნოში ბედუინები შეხვდნენ და სწორედ იმ ადგილზე ააგეს მოგვიანებით ქალაქი მექა. მუსლიმური ტრადიცია მოგვითხრობს ასევე მუჰამედის იერუსალიმში (შორეულ მენეთში) მოგზაურობაზე, სადაც მუჰამედმა ილოცა აბრაამთან, მოსესთან და იესო ქრისტესთან ერთად. ყოველივე ეს მიგვითითებს ისლამის ბიბლიურ ფესვებზე. თუმცა ქრისტიანებისაგან განსხვავებით, მუსლიმებს ბიბლია თავისებურად ესმით.

ღვთისმშობელ მარიამს ისინი შეცდომით მოსეს დასთან, მარიამთან, აიგივებენ. ამის მიუხედავად, ისინი ბიბლიას “წმინდა წერილს” უწოდებენ და სწავლობენ მას, ხოლო ებრაელებსა და ქრისტიანებს “წმინდა წერილის” ხალხებად მოიხსენიებენ და სხვა რელიგიების წარმომადგენლებთან შედარებით გარკვეულ პრივილეგიებსაც კი ანიჭებენ, თუმცა, პოლიტიკური მოსაზრებებით, “წმინდა წერილის” ხალხებსაც ხშირად უმოწყალოდ დევნიდნენ. საქართველოს ისტორიიდან ჩვენ გვახსოვს მუსლიმან დამპყრობელთა მიერ ქრისტიანთა დევნის ფაქტები: 100 000 ქართველი მართლმადიდებლის სიკვდილით დასჯა ჯალალ-ედ-ინის მიერ, აღდგომის ღამეს 6000 გარეჯელი ბერის ამოწყვეტა შაჰ-აბასის მიერ, ან თუნდაც თბილისში ჯვართამაღლების დღესასწაულზე სასულიერო პირების დახოცვა ალა-მაჰმად-ხანის მიერ. მაგრამ მუსლიმები ხშირად ასეთივე სისასტიკით დევნიდნენ სხვა მუსლიმებსაც

მაგალითად, შიიტი სპარსელები დაღესტნის დაპყრობისას სუნიტ დაღესტნელებს ურწმუნოებს უწოდებდნენ და უმოწყალოდ ჟლეტდნენ, ისევე, როგორც ლათინი რაინდები - მართლმადიდებელ ბიზანტიელებს. მაგრამ, ამავდროულად, ქრისტიანებსა და მუსლიმებს მშვიდობიანი თანაარსებობის, შემწყნარებლობისა და თანამშრომლობის შესაშური შემთხვევებიც გვქონია. ეს იერუსალიმის მაგალითზეც კარგად ჩანს. 1229 წელს, გერმანიის იმპერატორმა ფრიდრიხ მეორემ, რომელმაც მოკლე ხნით იერუსალიმი დაიბრუნა მუსლიმებისაგან, სულთან ქამალთან მიადგო შეთანხმებას, რომ მუსლიმები და ქრისტიანები ერთად დაეუფლებოდნენ ომარის მეჩეთს (მეჩეთი „გუმბათი კლდეზე“). ამ შეთანხმებით, მეჩეთში ქრისტიანთა და მუსლიმთა ძმობის სიმბოლური ძეგლიც კი აღიმართა. დაძმობილება ხანმოკლე აღმოჩნდა. ის მხოლოდ დროებითი აღიანსი იყო მონღოლთა საწინააღმდეგოდ. 1250 წელს ჯვაროსნები საბოლოოდ განდევნეს იერუსალიმიდან. შუღლი და დაპირისპირება ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის უფრო მეტად ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ დამკვიდრდა. მანამდე აზიაში და ახლო აღმოსავლეთში ისინი მშვიდობიანად თანაარსებობდნენ. მთელ აზიაში გავრცელებული იყო ქრისტიანული მოძღვრების ერეტიკული მიმართულება - ნესტორიანობა. აქ მილიონზე მეტი ქრისტიანი ცხოვრობდა და რამდენიმე ათეული ეპარქია არსებობდა, რომელთაც ნესტორიანელთა კათალიკოსი მართავდა. მონღოლთა ერთ-ერთი ყაენიც ნესტორიანელი ქრისტიანი იყო. გადმოცემით, მუჰამედს სწორედ ნესტორიანელმა ბერმა უწინასწარმეტყველა „დიდი მომავალი“. ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ დაიწყო მართლმადიდებლების საყოველთაო შევიწროება და დევნა, ასევე დევნას დაექვემდებარნენ სხვადასხვა ერეტიკული მიმდინარეობანი: ნესტორიანელები, მონიფიზიტები, იაკობიტები. არსებობს მოსაზრება, რომ მონღოლთა ლაშქრობა პალესტინაში ნესტორიანელთა წაქეზებით განხორციელდა და მას “ყვითელ“ ჯვაროსნულ ლაშქრობასაც უწოდებენ. მონღოლები, ისევე როგორც ევროპელი ჯვაროსნები, წმინდა მიწიდან, ეგვიპტელმა მამლუქებმა გააძევეს. საბოლოოდ ამ ლაშქრობებმა აზიასა და ახლო აღმოსავლეთში მუსლიმები გააბატონა.

უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ სწორედ მუსლიმმა მმართველებმა მიანიჭეს ქართველებს დიდი პრივილეგიები იერუსალიმში. კათოლიკე მოგზაურის – იოანე კოტოვიჩის ცნობით, (1598წ.) „კაიროს სულთანის საგანგებო ნებართვისა და თურქეთის იმპერატორის დამოწმებული პრივილეგიის წყალობით, ყოველ წელიწადს, როდესაც, აღმოსავლეთის სხვა ქრისტიანთა მსგავსად, ქართველები იერუსალიმში ქრისტეს საფლავის თაყვანისსაცემად მიდიან, ისინი, ქრისტიანთა შორის ერთადერთნი, მრავალრიცხოვანი შემადგენლობით, მეომრებივით ჯარად მოდიან, სამხედრო აღმებით შედიან ქალაქში ბაჟის გარეშე და წმინდა ადგილებს აფრიალებული ბაირაღებით ნახულობენ...“

რაც შეეხება იერუსალიმის მეჩეთებს, მუსლიმთა რწმენით, ამ წმინდა ადგილზე აღვლენილ ღოცვას სხვა ადგილებზე შესრულებულ ღოცვასთან შედარებით 25 000 - ჯერ მეტი ძალა აქვს. სწორედ იმიტომ, რომ მუსლიმებს სწამდათ მექის, მედინასა და იერუსალიმის განსაკუთრებული სიწმინდის და სჯეროდათ, რომ იქ აღვლენილი ღოცვა პირდაპირ უფალთან მიდის, ისინი სიკვდილით დასჯის მუქარის ქვეშ უკრძალავდნენ არამუსლიმებს აქ არსებულ მეჩეთებში შესვლას. მათ ეშინოდათ, რომ არამუსლიმი ამ წმინდა ადგილებზე მათ განადგურებას სთხოვდა უფალს!

ყურანში მოხსენიებულია მუჰამედის “დამის მოგზაურობა”, როდესაც უფალმა მყისიერად გადაიყვანა ის „ხელშეუხებელი მეჩეთიდან“ „შორეულ მეჩეთში“. მუსლიმური ტრადიციით, ეს შორეული მეჩეთი იერუსალიმია, სადაც ჯიბრაელმა

(მთავარანგელოზმა გაბრიელმა) მუჰამედი ჯადოსნური ცხენით, ბურაქით, პირდაპირ მექიდან გადაიყვანა. ამიტომაც დაარქვეს მორიას მთაზე სოლომონის ტაძრის ადგილზე აგებულ მეჩეთს (ალ-მასჯიდ ალ-აქსა) „მორეული მეჩეთი“.

მუსლიმთა რწმენით, ალ-აქსას კომპლექსში შედის „იესოს აკვნის მიწისქვეშა მეჩეთი“ - “მეგდ-ისა”. აქ ქვაში გამოკვეთილი დიდი ემბაზის მსგავსი ნაკეთობაა, რომელშიც მუსლიმური გადმოცემის თანახმად, ყრმა იესო იწვა. ეს აკვანი მიჰრბადა გამოიყენება, ანუ ლოცვისას ყიბლას - მექის მიმართულებას აჩვენებს მუსლიმებს. იმავე მეჩეთშია მარიამ ღვთისმშობლის „მიჰრბაბი“ და მღვდელმთავარ ზაქარიას - იოანე ნათლისმცემლის მამის, „მიჰრბაბი“. ქრისტეს აკვნის თავზე უამრავი ლამპარი ანთია, როგორც ეს ქრისტიანულ ტაძრებშია მიღებული.

“ალ-აქსას” აშენებამდე აქ, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესია იდგა. მუსლიმები უდიდესი პატივისცემით ინახავენ უფლისა და მარიამ ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებულ სიწმინდეებს. მეჩეთში, იქ სადაც ქრისტიანული საკურთხეველი იყო, ორი ნიშაა დაცული. ერთში მაცხოვრის ერთი ფეხის ნაკვალეგია (ის ელეონის, ანუ ზეთის ხილის მთიდან ჩამოუტანიათ, სადაც მეორე ფეხის ნაკვალეგია დარჩენილი), ხოლო მეორე, ნიშაში, ღვთისმშობლის ორივე ფეხის ანაბეჭდია დაცული.

მუსლიმთათვის სარწმუნო გადმოცემით, მთავარანგელოზ ჯიბრაელს “ალ-აქსას” მეჩეთის ახლოს მდებარე კლდიდან აუმაღლებია ცად მუჰამედი. ციდან მუჰამედს მარიამ ღვთისმშობლის შობის ადგილზე აღმართული სინათლის სვეტი უხილავს. იმ ადგილზე, საიდანაც მუჰამედი ცად ამაღლდა და სადაც, გადმოცემით, ჰეროდეს ტაძარი იდგა, ხალიფა აბდელ-მალქ იბნ მერვანმა 687-691 წლებში ააგო ახალი, გრანდიოზული რვაკუთხედის ფორმის, მეჩეთი, რომელსაც „გუმბათი კლდეზე“ (არაბულად “ქუბათ ას-სახრა”) ჰქვია, და ხშირად ომარის მეჩეთსაც უწოდებენ, თუმცა მისი აშენების დროს ხალიფა ომარი ცოცხალი აღარ იყო. ომარის მიერ იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ, 638 წელს, აშენებული მეჩეთი 3000 კაცს იტევდა, მის ადგილზე აშენებული ახალი მეჩეთი კი რამდენჯერმე მეტს. ახალი მეჩეთი იმდენად გრანდიოზული და ლამაზი იყო, რომ იერუსალიმის დაპყრობისას ჯვაროსნებს ის სოლომონის ბიბლიურ ტაძრად მიუჩნევიათ. ომეიადების დინასტიას, რომელსაც აბდელ-მელიქი ეკუთვნოდა, სახალიფოს დედაქალაქი მედინიდან დამასკოში, ხოლო სულიერი ცენტრი - მექიდან იერუსალიმში გადმოუტანიათ. მათი მმართველობის დროს ყიბლა, ანუ ლოცვის მიმართულება, დროებით მექიდან იერუსალიმისაკენ შეიცვალა. ანუ მუსლიმებს ისევ სახით იერუსალიმისაკენ მიბრუნებულებს უნდა ელოცათ, როგორც ეს თავდაპირველად თავად მუჰამედმა ბრძანა. მაგრამ, რადგანაც, ყურანის მიხედვით, მუჰამედმა იერუსალიმს საბოლოოდ მექა ამჯობინა (ვინაიდან ებრაელებმა ის არ სცნეს მეშინადად, ანუ მესიად), მუსლიმების მთავარ სალოცავად, საბოლოოდ მაინც მექა დამკვიდრდა. თუმცა იერუსალიმი, მექასა და მედინას შემდეგ, მუსლიმთა მთავარ სასულიერო ცენტრად დარჩა.

ომარის მეჩეთში, კლდესთან ახლოს, დაცულია ადგილი, სადაც ღვთისმშობელმა ქრისტეს შობის მეორმოცე დღეს ტაძარში განწმენდის მსხვერპლი მიიტანა. გუმბათის როტონდაზე ოქროს ასოებით წერია იესო ქრისტესადმი მიძღვნილი ყურანის სურა: “იესო, მარიამის შვილი, ღვთის მოციქული, მისი სიტყვა, ღმერთმა განაკაცა ის მარიამში, ის მისი ამოსუნთქვაა”.

მეორე მხრივ, მიჰრბაბებს, ანუ სპეციალურ მუსლიმურ ნიშებს, რომლებიც ყიბლას - მექისადმი მიმართულებას უჩვენებენ მორწმუნეებს, დღესაც შეხვდებით იერუსალიმის ქრისტიანულ ეკლესიებშიც, მაგალითად, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში.

რაც შეეხება არაბთა წარმომავლობას, მიუხედავად იმისა, რომ წმინდა მიწის სახელწოდება პალესტინა ბიბლიაში ნახსენები ხალხის, არასემიტური (ინდოევროპული) წარმომავლობის ფილისტიმელებიდან მოდის, თავად არაბებს თავიანთ პირდაპირ წინაპრად ძველი აღთქმის პატრიარქი - აბრაამი (მუსლიმთათვის იბრაჰიმი) მიაჩნიათ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი პირველი შვილის, ისმაილის, ხაზით. ისმაილი (არაბულად იზმაილი) სარას მხევლის აგარის, შვილი იყო და ამიტომაც ისმაილის შთამომავალ არაბებს აგარიანელებს უწოდებდნენ (სამხრეთელი, ე.წ. იემენელი არაბები შთამომავლობას აბრაამის მეორე ცოლის, ქეთურასაგან ითვლიან და შესაბამისად, მათ ქართახები ეწოდებათ). იმდროინდელი კანონით ცოლისა და მხევლისაგან გაჩენილი შვილები აბსოლუტურად თანასწორები იყვნენ, მითუმეტეს, რომ აგარმა აბრაამისაგან შვილი თავად სარას მოთხოვნით გააჩინა, საერთოდ უშვილოდ რომ არ დარჩენილიყვნენ. ასეთივე წესით იყო გაჩენილი იაკობის, რომელიც ასევე ისრაელად იწოდებოდა, რამდენიმე შვილიც, მისი ცოლების - ლიასა და რაქელის მხევლებისაგან, მაგრამ ისინი ებრაელთა თორმეტი ტომის ისეთივე მამამთავრებად გვევლინებიან, როგორც თავად კანონიერი ცოლების - ლიასა და რაჰილის შვილები. მათგან განსხვავებით, სარამ ისააკის გაჩენის შემდეგ მხევლისაგან გაჩენილი პირველი შვილის, ისმაილის, სახლიდან გაძევება მოითხოვა. შეწუხებული აბრაამი უფალმა ანუგემსა და ისმაილის მფარველობას დაჰპირდა. დედა-შვილს უდაბნოში ანგელოზი მოუვლინა (მთავარანგელოზი გაბრიელი, არაბულად ჯიბრაელი) და დაღუპვისაგან იხსნა, თან აღუთქვა, რომ ისმაილისაგან მრავალრიცხოვანი ხალხები და მათი მეფეები გაჩნდებოდნენ. არაბული გადმოცემით, აბრაამი ჩავიდა ისმაილთან მექაში და იქ, ქააბას სალოცავთან, მასთან ერთად იქადაგა. საკუთრივ ბიბლიაში მექაში ლოცვის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ ნახსენებია, რომ აბრაამი ორივე შვილმა, ისმაილმა – არაბთა მამამთავარმა და ისააკმა – ძველი აღთქმის პატრიარქმა, ერთად დაიტირა და დაასაფლავა. ყოველივე ამას იმიტომ ვისხენებთ, რომ წარმოჩნდეს, რამდენად დიდია თითოეული მათგანისათვის იერუსალიმისა და წმინდა მიწის მნიშვნელობა. ეს ისტორია სხვა მხრივაც საინტერესოა. სწორედ მეზობელი და ყველაზე ახლო ნათესავი ხალხები ექიშპებიან ხშირად ერთმანეთს ყველაზე მეტად.

გ. დამოკიდებულება ქრისტიანებსა და ებრაელებს შორის

როგორც აღვნიშნეთ, მუსლიმები ნაწილობრივ ცნობენ ძველ აღთქმას. ისინი ქრისტესაც აღიარებენ, მაგრამ არა როგორც ღვთის ძესა და მაცხოვარს, არამედ როგორც წინასწარმეტყველს. მათ ასევე მიაჩნიათ, რომ იგი იქნება მსაჯული განკითხვის დღეს. ძველ აღთქმაში ნაწინასწარმეტყველებ მესიად ისინი მუჰამედს მიიჩნევენ. მაგრამ ებრაელები, ძველი აღთქმის რჩეული ერი, მესიად არც ქრისტეს და, მითუმეტეს, არც არაებრაელ მუჰამედს ცნობენ. ისინი დღესაც ელოდებიან მსხნელს. ამასთან, ზოგიერთი მათგანი მიიჩნევს, რომ მესია უკვე მოსულია, მაგრამ ვინაიდან მესიამ, მათი წარმოდგენით, პირველ რიგში, სოლომონის ტაძარი უნდა აღადგინოს, ანუ მის ადგილზე აშენებული მეჩეთი უნდა დაანგრის, მუსლიმები, ცხადია, დიდი შემოფოტებით ხედებიან ასეთ განცხადებებს. ებრაელების დიდმა ნაწილმა უარყო ქრისტე, სინედრიონმა კი აიძულა რომაელი პროკურატორი - პილატე, სიკვდილით დაესაჯა იგი. დევნა ქრისტეს მოციქულებზეც გავრცელდა, რასაც „მოციქულთა საქმეებიც“ ადასტურებს. იაკობს, მოციქულ იოანეს

ძმას, თავი მოკვეთეს. უფლის ხორციელი ძმა, რომელსაც ასევე იაკობი ერქვა და იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსი იყო, ტაძრის სახურავიდან გადმოაგდეს. ქვევით ჩაქოლეს სტეფანე პირველდიაკონი. მოციქულები იძულებულნი გახდნენ, გაცლოდნენ იერუსალიმს. სულთმოფენობის შემდგომ კი ისინი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ქადაგებდნენ ქრისტეს მოძღვრებას. ასე გავრცელდა ქრისტიანობა იმდროინდელ სამყაროში, მათ შორის, საქართველოშიც, სადაც მოციქულებმა - ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა, მატათამ და ბართლომემ იქადაგეს უფლის სიტყვა.

ქრისტიანთა დევნა მოგვიანებითაც გაგრძელდა. მეშვიდე საუკუნეშიც კი, როდესაც იერუსალიმი ბიზანტიის იმპერიაში შედიოდა, სპარსელებმა იერუსალიმი დაიპყრეს, ებრაელები კი მათ მიემხრნენ. საპასუხოდ, ბიზანტიელები, მას შემდეგ, რაც იერუსალიმი დაიბრუნეს, ებრაელებს დევნიდნენ და აიძულებდნენ ქრისტიანობა მიეღოთ, ისევე, როგორც ადრეც სჩადიოდნენ ამას.

ისტორიაში უამრავი მაგალითია ცნობილი ებრაელთა დევნისა, ისევე, როგორც ბევრი სხვა ხალხებისა, მაგრამ არც ერთი მათგანის ისტორია ასე საყოველთაოდ ცნობილი არ გამხდარა მსოფლიოსთვის. წმინდა წერილი მოგვითხრობს იმ უამრავი ტკივილისა და ტანჯვის შესახებ, რაც ძველი აღთქმის ეპოქაში უფლის რჩეულმა ერმა განიცადა. რაც შეეხება უახლეს ისტორიას, საყოველთაოდ ცნობილია ფაშისტების მიერ ებრაელთა გენოციდი - ჰოლოკოსტი. ამის მიუხედავად, დევნილებმა არა მარტო თავი გადაირჩინეს, არამედ მსოფლიოში აბსოლუტურად უნიკალური ადგილი დაიკავეს.

მაშინ, როდესაც ბევრი მათზე უფრო მრავალრიცხოვანი ხალხი საერთოდ გადაშენდა, ებრაელები დღეს, თავისი მცირერიცხოვნობის მიუხედავად (ას ჩინელზე დღეს მსოფლიოში სულ ერთი ებრაელი მოდის), ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი ერია მსოფლიოში. ფინანსები, მასმედია, მეცნიერება, კულტურა - აი, არასრული ჩამონათვალი იმ სფეროებისა, სადაც მათ მსოფლიო ლიდერის პოზიცია უჭირავთ. ებრაელები ერთგულად ემსახურებიან არა მარტო ისრაელის, არამედ იმ ქვეყნების აყვავებასაც, სადაც ცხოვრობენ.

ჰოლანდია მე-16 საუკუნეში მსოფლიოს უმსხვილესი სავაჭრო იმპერია გახდა არა მარტო პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად, არამედ ესპანეთიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან დევნილი ებრაელების შეფარების გამო, (ებრაელთა ნაწილი მუსლიმურმა სახელმწიფოებმაც შეიფარეს) ესპანეთმა, კი ებრაელთა განდევნის შემდეგ, მსოფლიო იმპერიის სტატუსი თანდათანობით დაკარგა.

ებრაელები, ისევე, როგორც სომხები და ჩინელები, იმ ერებს მიეკუთვნებიან, რომლებიც დიასპორებს ქმნიან. საუკუნეების მანძილზე ებრაელებსა და სომხებს თავისი სახელმწიფო არ ჰქონიათ და სწორედ დიასპორებმა იტვირთეს ეროვნული ენის, კულტურისა და რწმენის შენარჩუნება, რაც, ჩვეულებრივ შემთხვევაში, სახელმწიფოს მოვალეობაა. როგორც წესი, ისინი საუკუნე-

ების მანძილზე არ ერეოდნენ იმ ქვეყნების მოსახლეობას, სადაც ცხოვრობდნენ, ქორწინდებოდნენ მხოლოდ ერთმანეთზე, ინარჩუნებდნენ რწმენას, ენასა და ტრადიციებს. ეწეოდნენ ვაჭრობას, ხელოსნობას, ქმნიდნენ პირველად კაპიტალს და კაპიტალის საუკეთესო დაბანდებად შვილების განათლება მიაჩნდათ. ამიტომაც გაუნათლებელი ოჯახების შვილებიც კი მეორე თაობაში ექიმები, ავთიაქარები, ადვოკატები, მეცნიერები, ანუ ინტელიგენციის წარმომადგენლები ხდებოდნენ. მათი ამ თავისებურებიდან გამომდინარე, ტაილანდის ერთ-ერთმა მეფემ, ჩინელებს აღმოსავლეთის ებრაელები შეარქვა, სომხებს კი ხშირად კავკასიის ებრაელებს უწოდებენ.

დიასპორებს, როგორც წესი, არ ქმნიან ის ერები, ვისაც თავისი სახელმწიფო აქვთ. ამიტომ არის სუსტი ქართველების, რუსების, სხვა ქრისტიანი ერების სათვისტომოები უცხოეთში. გამონაკლისია, ალბათ, საბერძნეთი, რომელსაც შედარებით სტრუქტურირებული დიასპორა გააჩნია აშშ-ში, მაგრამ ეს მაინც იმ პერიოდის გამოძახილია, როდესაც საბერძნეთი მათთვის საძულველ თურქეთის იმპერიაში შედიოდა. ამიტომ ნუ განვიცდით, რომ ქართველებს სუსტი სათვისტომოები გვყავს უცხოეთში. უფლის წყალობით, ჩვენ არ შეგვიწყვეტია სახელმწიფოებრივი არსებობა რუსეთის შემადგენლობაში შესვლამდე. რუსეთში ყოფნისას კი დიასპორის შექმნამ აზრი დაკარგა, იმიტომ, რომ დიასპორას ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობა ქმნის, ხოლო თურქეთსა და რუსეთში უმცირესობა რელიგიური ნიშნით განისაზღვრებოდა. ქართველები რუსეთში - მართლმადიდებლები, ხოლო თურქეთში - მუსლიმები იყვნენ, ანუ უმრავლესობას მიეკუთვნებოდნენ. სომხები და ებრაელები კი უმცირესობას წარმოადგენდნენ, ისევე, როგორც ბერძნები - თურქეთში. ამიტომაც არის, რომ თურქეთის იმპერიაში, რომელშიც იერუსალიმიც შედიოდა, სომხებს, ებრაელებს, ლათინებსა და ბერძნებს, როგორც რელიგიურ უმცირესობებს, კანონი იცავდა და მათ ეკლესიებსა და სამლოცველოებს, ქართულისაგან განსხვავებით, ოფიციალური სტატუსი ჰქონდათ იმპერიაში. იგივე გრძელდება ისრაელშიც, რომელიც ძველი თურქული კანონმდებლობით სარგებლობს და თავისი კანონი რელიგიის შესახებ არც კი მიუღია.

რაც შეეხება ქართულ - ებრაულ ურთიერთობებს, ის მართლაც უნიკალურია. მას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. კეთილმეზობლობის ტრადიცია ჯერ კიდევ VI საუკუნიდან იღებს სათავეს, როდესაც საქართველოში ჩამოაბრძანეს ელია წინასწარმეტყველის ხალენი, რამაც საშუალება მისცა ქართველებს, შემეცნებოდნენ მოსე წინასწარმეტყველის რჯულს და შეეცნოთ ერთი ჭეშმარიტი ღმერთი. ეს ხალენი ებრაელთა ბაგინში ინახებოდა. უდიდესი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ მაცხოვრის უწმინდესი კვართი, რომელიც წმინდა ეკლესიის ერთიანობის, განუყოფლობის სიმბოლოა, სწორედ მცხეთელმა ებრაელებმა ჩამოაბრძანეს საქართველოში. საბოლოოდ კვართი წმინდა სიღონიასთან ერთად დაიფლა მიწაში. გარდა ამისა, საქართველოს გაქრისტიანება ქრისტეს მოციქულებს - ანდრია პირველწოდებულს, სვიმონ კანონელს, მატათას, ბართლომეს უკავაშირდება, რომლებიც ეთნიკური ნიშნით ებრაელები იყვნენ. და ბოლოს, ტოლერანტობა, რომელიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საქართველოში ყოველთვის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი.

ქართულ - ებრაული ურთიერთობები ისტორიულად უნიკალურია, რამაც ერთ-ერთ ცნობილ ქართველ ებრაელს, რაფაელ ელიგულაშვილს, ათქმევინა: „საქართველოში ჩვენ ბევრი მეგობარი გვყავს, მაგრამ ებრაელი ხალხის ყველაზე დიდი მეგობარი არის საქართველოს ისტორია“. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ქართველმა ემიგრანტებმა პარიზში ნაცისტების საკონცენტრაციო ბანაკებიდან ბევრი ებრაელი იხსნეს, მისცეს რა მათ ოფიციალური საბუთები, რომ ისინი მხოლოდ რწმენით იყვნენ ებრაელები, ხოლო ეროვნებით ქართველები, ქალდეველთა შთამომავლები.

დღეს მსოფლიოში აქტიური დიალოგი დაიწყო ებრაელებსა და ქრისტიანებს შორის. ვატიკანი და ისრაელი ემზადება წმინდა ადგილების უპრეცედენტო გაცვლისათვის. ისრაელი ვატიკანს გადასცემს იერუსალიმის სიონის ქორს, სადაც საიდუმლო სერობა გაიმართა, სადაც ხშირად იკრიბებოდნენ მაცხოვარი და მისი მოწაფეები. სწორედ აქ, ამ სახლში, აზიარა ქრისტემ მოციქულები. ხოლო მისი ზეცად ამადლების შემდგომ ამავე სახლში იყვნენ შეკრებილნი მოციქულები, რომლებზეც სული წმინდის მადლი გარდამოვიდა. ჯვაროსნებმა იქ ეკლესია გახსნეს, მუსლიმებმა -

მეჩეთი, ხოლო ებრაელებმა - რელიგიური სკოლა. სანაცვლოდ ისრაელი ვატიკანისაგან მიიღებს ტოლედოს ცნობილ სინაგოგას.

2002 წელს, ისრაელში ისტორიული ვიზიტისას, რომის პაპმა იოანე-პავლე მეორემ, გოდების კედელში ვატიკანის ოფიციალურ ბლანკზე დაწერილი თავისი წერილიც ჩაღო, რომელიც დღეს იერუსალიმის მუზეუმში ინახება. პაპი ლოცავდა წმინდა მიწას და პატიებას ითხოვდა ებრაელების მრავალსაუკუნოვანი დევნისათვის. ეს რომის პაპის პირველი ვიზიტი იყო წმინდა მიწაზე, ვინაიდან ვატიკანი ისრაელს ადრე არ სცნობდა.

რაც შეეხება გოდების კედელს, მოგეხსენებათ, რომ ეს ებრაელთათვის წმინდა ადგილია. გოდების კედელთან არა მარტო ლოცულობენ, არამედ მის ქვებს შორის არსებულ ნაპრალებში წერილებს დებენ სხვადასხვა თხოვნით. ასე იქცევიან არა მარტო ებრაელები, არამედ უამრავი არაებრაელი ტურისტიც, მათ შორის ქრისტიანებიც. ცნობილ ადამიანებს შორის, ვისი წერილიც კედელში ჩაიღო, ამერიკის პრეზიდენტი ბუში-უმცროსიც არის. ითვლება, რომ ქრისტიანთათვის ეს დასაშვებია, ვინაიდან გოდების კედელი ჰეროდეს ტაძრის დასავლეთის კედლის ნაწილია, იმ ტაძრისა, სადაც საეკლესიო გადმოცემით, მარიამ ღვთისმშობელი ცხოვრობდა და იზრდებოდა. აქვე ხომ ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესია იყო აგებული.

ებრაელთა გოდება ტაძრის ნანგრევებთან ადრევე დაწყებულია, მაშინ, როდესაც რომაელებს ტაძარი დაუნგრევიათ და მიწასთან გაუსწორებიათ. შუა საუკუნეებში უცნაური წესი შემოუღიათ - ებრაელები შორეულ ქვეყნებში გამგზავრებისას, დანგრევას გადარჩენილი ტაძრის კედლის დასავლეთ ნაწილში, ლურსმანს ასვამდნენ, ხოლო დაბრუნებისას, ისევ აძრობდნენ მას. ითვლებოდა, რომ ეს ადამიანს მოგზაურობისას იცავდა. ზოგიერთი კი კედელზე კვეთდა თავის თხოვნას უფლისადმი. რაბინებს აუკრძალავთ ასეთი ვანდალური მეთოდი და შეუთავაზებიათ მლოცველთათვის წერი-ლების ჩადება კედლის ნაპრალებში რაც აქამდეც ხდება.

თუ თქვენც გაგიხნდათ სურვილი, გოდების კედელში წერილის ჩადების, გირჩევთ, კურთხევა თქვენი მოძღვრისაგან აიღოთ. პირადად მე ასეთი წერილი ჩადებული მაქვს გოდების კედელში.

საბედნიეროდ, ჩვენ, ქართველებმა, ებრაელებთან დიალოგი 26 საუკუნის წინ დაიწყო, როდესაც პირველი ებრაელები დასახლდნენ საქართველოში. ქრისტიანობის ისტორიაში უნიკალური მაგალითია ევსტათე მცხეთელის არჩევანი, რომელიც, ღვთის შეწევნით, ქრისტეს რჯულზე მოექცა.

დ. ნოეს კიდობანი და საქართველო

ისტორიულად საქართველო, როგორც ურარტუსა და შუამდინარეთის სხვა დიდი ცივილიზაციების ერთ-ერთი მემკვიდრე ქვეყანა, განუყოფელი ნაწილი იყო ძველი ბიბლიური სამყაროსი. საკმარისია გავიხსენოთ, რომ სიტყვა ერი (ერინ) შუამერულად ხალხს-ერს ნიშნავს, სიტყვა მე-ჩემს, ენიმ-ენას და ა.შ. ხოლო ბიბლიაში ნახსენებ არარატს ურარტუსთან აკავშირებენ (4 მეფ. 19,37). მაშასადამე ის ადგილი, რომელსაც წარდგინის შემდეგ ნოეს კიდობანი მიადგა, ქართველთა ტომების ისტორიული სამშობლოა. ამ ფაქტს ადასტურებს წმ. ეპიფანეს ცნობაც: „როცა წარდგინის შემდეგ ნოეს კიდობანი გაჩერდა არარატის მთებზე, სომეხთა და ქართველთა ქვეყნებს შუა, ლუბარად წოდებულ მთაზე, გაჩნდა პირველი ადამიანთა საცხოვრებელი და იქ გააშენა წინასწარმეტყველმა ნოემ ვენახი და შეიქმნა იქაური ბინადარი“.

არქანჯელო ლამბერტი ყურადღებას ამახვილებს შემდეგ სიტყვებზე: „სომეხთა და ქართველთა ქვეყნის შუა“ და ამბობს: „ამ ქვეყანას დღესაც ქართლი ჰქვია, მისი მკვიდრნი კი თავის თავს უწოდებენ ქართველებად. ეს კუთხე არის საქართველოსერთი ნაწილი“ (არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თბ., 1938, გვ. 9).

გიორგი კედრენეს ცნობით, ქართველები ნოეს მესამე შვილის, იაფეტის, შთამომავლები არიან. იგი წერს: „ ნოემ თავის მესამე ვაჟს, იაფეტს, რომელიც 425 წლისა იყო, მისცა ჩრდილოეთისა და დასავლეთის ქვეყნები მიდიიდან-ბრიტანეთის კუნძულებამდე, არმენია, იბერია, პონტო, კოლხეთი და მათ იქეთ მდებარე ქვეყნები და კუნძულები ვიდრე იტალიამდე და გაღებამდე, ისპანიამდე, კელტიბერიათამდე და ლისტანიამდე“ (გეორგიკა, ტ. V).

საქართველო რომ ვაზის სამშობლოა, ამაში ეჭვი დღეს თითქმის აღარავის ეპარება. საინტერესო ცნობები მოეპოვება იტალიელ მისიონერს, არქანჯელო ლამბერტის, რომელიც ოცი წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში. 1654 წელს ნეაპოლში გამოცემულ თავის წიგნში იგი ეხება ქართველთა წარმომავლობის საკითხს და წერს: „იქაურებს დღემდე მარტო სახელი კი არა, ჩვეულებანიც თავის პირვანდელ წინაპრისა შერჩენიათ..., მართლაც, მიწის დამუშავებას, როგორც საქართველოში, ისე კოლხიდაში იმდენად ეტანებიან, რომ ყველას კეთილშობილურ საქმედ მიაჩნია თავის ყანაში მუშაობა. ყოველგან ვენახებს აშენებენ და ცდილობენ ბევრი ღვინო მოიყვანონ, რომელიც ძლიერ უყვართ...“ ბიბლიური თხრობის მიხედვით, ნოემ პირველად იგემა მის მიერ დაწურული ღვინო, დათვრა და გაშიშვლდა. მისმა შუათანა შვილმა, ქამმა, დასცინა მამას, როდესაც მისი სიშიშველე იხილა, შემდეგ კი ამის შესახებ ძმებს უამბო. სემი და იაფეტი ზურგშექცევით მიუახლოვდნენ მამას და სამოსი გადააფარეს ისე, რომ მისი სიშიშველე არ უხილავთ. გამოფხიზლებულმა ნოემ ქამის შთამომავლობა დაწყევლა და სემისა და იაფეტის მოდგმის მონობა უწინასწარმეტყველა.

ე. ქართველთა ბიბლიური წარმომავლობა

ხალხთა წარმოშობის ბიბლიური გენეალოგიები, რომლებიც ნოეს შვილთა შთამომავლობასა და მათგან წარმოშობილ ხალხებს ასახელებენ (დაბ. 10.1-24); 1 ნეშტ. 1.5-27), დღესაც მეცნიერთა შორის უდიდესი ნდობით სარგებლობს. უახლესი არქეოლოგიური კვლევებით მეცნიერულად დასტურდება ბიბლიური ცნობების უტყუარობა. სხვა საქმეა, რომ ბიბლიური გენეალოგიები მხოლოდ იმ ხალხებს აღწერენ, რომლებიც ძველი აღთქმის ეპოქაში არსებობდნენ და გვიანდელი ხალხების მათგან მომდინარეობა მეცნიერულად ნაკლებად დასაბუთებულია, თუმცა ასეთი მცდელობები დღესაც კი გვხვდება. თავად ქართველებიც, უშუალოდ ამ სახელით მოხსენიებულნი, გენეალოგიებში არ არიან ისევე, როგორც სომხები და რეგიონის ბევრი სხვა მკვიდრნი, მაგრამ ბიბლიაში მოიხსენიება ურარტუ. ქართველური ტომები მესხები და თუბარელები, გენეალოგიებში იხსენიებიან მოშექისა და თუბალის სახით, ხოლო ბიბლიური ნოეს შვილიშვილი და იაფეტის შვილი, თარგამოსი, ქართველთა და სომეხთა საერთო წინაპრად არის მიჩნეული.

ბიბლიის მიხედვით, ნოეს მიერ დაწყევლილი ქამის შთამომავლები, ანუ ქამიტები, არიან ქანაანელები, ეგვიპტელები, ეთიოპიელები და სხვა აფრიკელები. უფროსი შვილის-სემის შთამომავლები არიან სემიტები: ებრაელები, სირიელები, არაბები, აქადელები, ქალდეელები და სხვები. უმცროსი შვილის- იაფეტის შთამომავლებად კი ევროპელები, მათ შორის ქართველებიც ითვლებიან. თუმცა, ზოგიერთი მკვლევრის

აზრით, ჩვენ უფრო სემიტებს მივუკუთნებთ, ვინაიდან სემსაც ჰყავდა შვილიშვილი მეშეხი, რომლისგანაც შესაძლოა მომდინარეობდეს ერთ-ერთი ქართველური ტომის, მესხების, სახელწოდება. ზოგიერთი მკვლევარი ქართველებს, კერძოდ, კოლხებს, საერთოდ, ძველ ეგვიპტელთა, ანუ ქამიტელთა, შთამომავლებადაც კი მიიჩნევს. ისტორიის მამის-ჰეროდოტეს (ძვ. წ. V ს.) ცნობით, ფარაონ სესოსტრისის ლაშქარმა შავი ზღვის ამ უკიდურეს აღმოსავლეთ წერტილამდეც მოაღწია, დაიპყრო ეს მიწები და თავისი ჯარიც დატოვა აქ, საიდანაც კოლხები წარმოიშვნენ. ასე რომ, ეს ცნობები კოლხების წინაპრებად შავკანიან, ხუჭუჭა ეგვიპტელებს ასახელებს.

ქართველი მემატიანე ლეონტი მროველი (XI ს.), რომლის მიერ მოცემულ კავკასიელ ხალხთა გენეალოგიის უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას პრაქტიკულად ყველა კავკასიელი მკვლევარი იზიარებს, კავკასიელ ხალხთა საერთო წინაპრად იაფეტის შვილიშვილს, თარგამოსს, ასახელებს, რომელსაც რვა შვილი: ჰაოსი, ქართლოსი, მოვაკოსი, ეგროსი, ლეკოსი, კავკასოსი და ა.შ. ჰყოლია, რომელთა შორის მას თავისი სამფლობელო (სავარაუდოდ, ურარტუ) გაუნაწილებია. თარგამოსის შვილებისაგან წარმოიშვნენ სომხები, ქართველები, ალბანელები და კავკასიის სხვა ხალხები. ჰაოსი ურარტუელი ღმერთის, ქალდის, სახელთან შეიძლება იყოს დაკავშირებული და რიგი კავკასიელი მკვლევარების აზრით, მხოლოდ სომხებს კი არა, თავად ურარტუელებსაც უნდა გულისხმობდეს. სწორედ ამიტომ, ჰაოსი უფროს შვილად არის მოხსენიებული გენეალოგიაში; ხოლო ვაინახები, ისევე, როგორც ქართველები, ურარტუს მემკვიდრე უძველეს ტომებად ითვლებიან. ეგროსის სამფლობელოში, ანუ ეგროსში კი მთელი კოლხიდა იგულისხმებოდა.

თავის მხრივ, ქართველთა მამამთავრის, ანუ ეთნარქის (წინაპრის, რომლის სახელი ერს მიენიჭა)- ქართლოსის შვილებს ერქვათ: მცხეთოსი, გარდაბოსი, კახოსი, კუხოსი და გაჩინოსი, რომელთა სახელები დღევანდლამდე ნაცნობია ყველა ქართველისათვის შესაბამისი რეგიონებითა და ქალაქებით.

რაც შეეხება აბრაამის შთამომავლობას ისააკის ხაზით, ანუ ებრაელებს, მათი სახელწოდება- ისრაელი, აბრაამის შვილიშვილისაგან, იაკობისაგან მოდის, რომელსაც უფალმა ისრაელი უწოდა (გამ. 35.10). ისრაელის სახელმწიფო, რომელიც თორმეტი ტომის გაერთიანებას წარმოადგენდა, საკმაოდ გაძლიერდა დავითისა და სოლომონის მეფობისას. ამ სახელმწიფოში, აღნიშნულ თორმეტ ტომთაგან, განსაკუთრებით იუდას ტომი იყო გაძლიერებული. სოლომონის ძის, რობუამის, მეფობისას ისრაელის სახელმწიფო ორ – ჩრდილო და სამხრეთ სამეფოებად დაიყო. ჩრდილო სამეფოს დარჩა სახელწოდება ისრაელი (რადგან მასში ისრაელის სამეფოს ტომთა უმრავლესობა მოექცა), ხოლო სამხრეთ სამეფოს იუდას ტომის გავლენით იუდეის სამეფო ეწოდა. იაკობის შთამომავლობა ეგვიპტეში გადასახლებისას სულ 70 სულს შეადგენდა. მათგან წარმოიშვა ყველა ებრაული ტომი, რომელთა წარმომადგენლებმა, მოსეს დროს 70 - კაციანი უხუცესთა საბჭო შექმნეს. ისრაელის თორმეტი ტომის მსგავსად, მაცხოვარმა 12 უპირატესი მოციქული გამოარჩია, რომლებიც ყველაზე დაახლოებული იყვნენ მასთან. 12 მოციქულთან ერთად ახალ აღთქმაში იხსენიება უფლის 70 მოწაფე. ძველსა და ახალ აღთქმაში ხშირად ფიქსირდება ერთი და იგივე რიცხვი სხვადასხვა მოვლენასთან დაკავშირებით, რაც მათ ბუნებრივ კავშირზე მიუთითებს. ძველი და ახალი აღთქმა ერთი მთლიანი წიგნის – ბიბლიის ორი შემადგენელი ნაწილია. შემთხვევითი არ არის, რომ თავად მაცხოვარიც და მისი მოწაფეებიც ხშირად იმოწმებენ სიტყვებს ძველი აღთქმის წიგნებიდან. როგორც ცნობილია, VI საუკუნეში ქართლში ასურელი მამები – წმ. იოანე ზედაზნელი და მისი თორმეტი მოწაფე მოვიდნენ მართლმადიდებლობის განსამტკიცებლად და სამონასტრო ცხოვრების

დასაფუძნებლად. მათი რაოდენობაც, რა თქმა უნდა, გარკვეულ სიმბოლურ კავშირს გულისხმობს მაცხოვართან და მის მოწაფეებთან.

ვ. იერუსალიმის დაარსება

საქართველო, ისევე როგორც ისრაელი, უძველესი ცივილიზაციების კერის, ახლო აღმოსავლეთის სამყაროს, ნაწილია და ისტორიულად ამ ქვეყნებს ბევრი რამ აკავშირებს ერთმანეთთან. შუამდინარეთის ცივილიზაციათა აკვანი- ბაბილონი, ასურეთისა და შემდეგ სპარსეთის, ასევე ეგვიპტის იმპერიები დიდ როლს თამაშობდნენ ორივე ერის ისტორიაში. როდესაც პატრიარქი აბრაამი, თავისი სახლეულისა და ავლადიდებით, ძვ. წ.-ის II ათასწლეულის დასაწყისში შუამდინარეთიდან ქანაანში მოვიდა, იქ ცენტრალური ხელისუფლება არ არსებობდა. ერთ-ერთ ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, მელქისედეკმა, მაღალი ღმერთის მღვდელმა, რომელიც მარადიული მღვდელმთავრის- მაცხოვრის წინასახეა და სალიმის მეფედ იწოდება, უფლის სახელით აკურთხა აბრაამი. აბრაამმა კი მას თავისი ნადავლის მეთედი შესწირა (დაბ. 14.18-20). მეთედის შეწირვა აღუთქვა უფალს იაკობმაც (დაბ. 28.21), რაც მოგვიანებით მოსეს რჯულითაც დაკანონდა.

იერუსალიმი იუდეველთა, ქრისტიანთა და მუსლიმთა წმინდა ქალაქია. სახელი „სალიმი“ მომდინარეობს ებრაული „შალემი“-საგან, რაც „მშვიდობას“ ნიშნავს. აქედანაა წარმომდგარი სიტყვა „სალამი“. არაბული სახელი „ალ-კუდსი“-წმინდას ნიშნავს. ამიტომაც იერუსალიმს ყველა „წმინდა ქალაქს“ უწოდებს.

იებუსეველნი (ქანაანელთა ერთ-ერთი ტომი), რომლებიც იერუსალიმის ისტორიულ ტერიტორიას დავითის მიერ დაპყრობამდე ფლობდნენ, ქალაქს საკუთარ სახელს - „იებუს“-ს უწოდებდნენ (ყოველ შემთხვევაში, ძვ. წ.-ის XIX-XVIII საუკუნეებში, ანუ აბრაამის ეპოქაში. ეგვიპტურ წყაროებში მოიხსენიება ქანაანური ქალაქი რუშალიმუ, მოგვიანებით კი -იერუსალიმი, რაც ასევე დასტურდება გვიანდელი ასურული წყაროებითაც). სწორედ იებუსეველებმა ააგეს სათვალთვალო კოშკი ქალაქის ჩრდილო-ეთით მდებარე სიონის მთაზე. საინტერესოა, რომ ქართველი მემკვიდრის - ლეონტი მროველის ცნობით, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქარს მცხეთაში სწორედ იერუსალიმიდან განდევნილი იებუსეველების შთამომავლები დახვდნენ. ეს ცნობაც, გარკვეულწილად, ასახავს საქართველოს ისტორიულ კავშირს ბიბლიურ ხალხებთან მეფე დავითმაც ქალაქს თავისი სახელი „ირ-დავითი“ უწოდა და სიონის მთაზე თავისი კოშკი ააგო. ქალაქის ამ უბანს სიონი ერქვა და ხშირად მთელ ქალაქსაც სიონს უწოდებდნენ. სწორედ დავითმა აქცია იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად, ხოლო, როდესაც სოლომონის სიკვდილის შემდეგ ისრაელი იუდეად და ისრაელად გაიყო, იერუსალიმი იუდეის დედაქალაქად დარჩა.

პარალელები ისრაელსა და საქართველოს შორის ბევრი შეიძლება გაივლოს. დავითისა და სოლომონის დროს, ისრაელმა გარეშე მტრების სისუსტით ისარგებლა და ძლიერი სახელმწიფო შექმნა. მან დაიმორჩილა მეზობელი ქვეყნები და ქალაქები, მათ შორის, ქალაქი დამასკო. იმ ეპოქაში ისრაელი რეგიონალურ ზესახელმწიფოდ იქცა, რომელიც შემდეგ ორ სამეფოდ გაიყო. დავით წინასწარმეტყველმა უდიდესი მეფის სახელი დაიმკვიდრა ისტორიაში. მას არაერთი წინასწარმეტყველება აქვს მაცხოვრის შესახებ.

თავის მხრივ, საქართველო ახლო აღმოსავლეთში უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა დავით აღმაშენებლისა (1089-1125) და თამარ მეფის (1178-1213) დროს. ორივე მეფე წმინდანის შარავანდედით შეიმოსა. დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“

თავისი ღრმა სულიერების წყაროს ბიბლიური მეფისა და წინასწარმეტყველის „ფსალმუნებსა“ და ანდრია კრიტელის „დიდ კანონში“ პოულობს. „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ უადრესად საგულისხმო ცნობა მოიპოვება იმის შესახებ, რომ ბაგრატიონთა სამეფო დინასტია სათავეს იღებს დავით წინასწარმეტყველისაგან. ამასვე ადასტურებს დავით აღმაშენებლის მემბტიანეც. მეფეთა გენეალოგიას ხომ განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა (გრიგოლ ხანძთელი ხომ გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიის შემქმნელი გახლდათ: “ყოველივე ის საქართველოა, სადაც წირვა-ლოცვა ქართულად აღევლინება”). თავად კონსტანტინე პორფიროგენეტი (X ს.), ბიზანტიის იმპერატორი, მის მიერ 952 წელს დაწერილ თხზულებაში “იმპერიის მმართველობის შესახებ” წერს: „...იბერები ამბობენ, რომ ისინი დავითის- წინასწარმეტყველისა და მეფის ნათესავები არიან და აქედან- ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისაგან... ისინი, როგორც თვითონ ამბობენ, იერუსალიმიდან შთამომავლობენ და, რადგან დიდი რწმენა აქვთ- მათი და ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს საფლავისა, ისინი განსაზღვრულ ხანებში უხვად უგზავნიან ფულს წმ. ქალაქის პატრიარქს და იქაურ ქრისტიანებს“.

ბაგრატიონების ებრაულ წარმომავლობაზე, როგორც ქართული, ასევე სომხური წყაროებიც მიუთითებენ. ამიტომაც იწერებოდნენ საქართველოს მეფენი იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატიონებად (იესე დავით წინასწარმეტყველის მამა იყო). ასეთი წარმომავლობა ამტკიცებდა ბაგრატიონების განსაკუთრებულ, ღვთის მიერ ბოძებულ უფლებას სამეფო ტახტზე. ვინაიდან მეფე დავითისა და სოლომონის შთამომავლებს, ბიბლიის მიხედვით, უფალმა მუდმივი მეფობა აღუთქვა: “განვამტკიცებ შენს სამეფო ტახტს ისრაელში სამარადისოდ” (მეს.მეფ. 9:5). ეთიოპური ტრადიციით, დაახლოებით ასეთივე წარმომავლობა აქვთ ეთიოპელთა მეფეებსაც, რომლებიც თავის წინაპრად მენელიქ პირველს, მეფე სოლომონისა და ბიბლიური საბას დედოფლის (მეს.მეფ.10:1-13) შვილს (რომელიც ბიბლიაში არ არის მოხსენებული) მიიჩნევენ და ამით ასაბუთებენ მათ მეფურ წარმომავლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე დინასტიამ საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა ძალაუფლება. ეთიოპიამ - 1974 წლამდე, ხოლო საქართველომ რუსეთთან შეერთებამდე, ანუ სანამ ქვეყანაში მონარქია არსებობდა, დავითის შთამომავლობას ვერავენ შეეცილა მეფობაში, რაც მონარქიზმის მსოფლიო ისტორიაში იშვიათი გამონაკლისია.

2. საქართველო და ახალი აღთქმა

იერუსალიმის უდიდესი მნიშვნელობა საქართველოსათვის, ცხადია, ქრისტიანობის გავრცელებასთანაა დაკავშირებული. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ VII საუკუნეში, ისლამის გავრცელებამდე და უფრო გვიანაც, ბიზანტიის დასუსტებამდე, პალესტინასა და საქართველოს შორის მდებარე ქვეყნები-სირიაცა და მცირე აზიის (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია) სხვა სახელმწიფოებიც-ძირითადად ქრისტიანებით იყვნენ დასახლებულნი, რაც, ცხადია, აადვილებდა საქართველოს კავშირს პალესტინასთან. უდიდესია სირიელი (ასურელი) წმინდა მამების როლი საქარ-თველოსა და მთელ ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანობის გავრცელებაში. უფალი, ისევე როგორც ებრაელთა დიდი ნაწილი, ახლო აღმოსავლეთში მაშინ ფართოდ გავრცელებულ (არამეულ) ენაზე ლაპარაკობდა. ჯვარზე სულის განტევების წინ იესომ არამეულ ენაზე წარმოთქვა შემდეგი სიტყვები: „ელოი, ელოი, ღამა საბაქთანო?“, რაც შემდეგნაირად ითარგმნება - „ღმერთო, ღმერთო ჩემო, რაღსათვის დამიტევებ მე“ (მკ. 15:34). ანტიოქიის ეკლესია, რომელმაც საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია მიანიჭა ჯერ კიდევ V საუკუნეში,

ხომ სწორედ სირიაში მდებარეობს, და, გადმოცემით, თავად წმიდა პეტრეს მიერაა დაფუძნებული. წმინდა მოციქული პავლე მცირე აზიის ქალაქ ტარსუს მკვიდრი იყო (ამჟამად თურქული ქალაქი სიდე). ყველა მსოფლიო საეკლესიო კრება ბიზანტიის იმპერიის საზღვრებში (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია) გაიმართა. აქვე, ქალაქ პატრაში, დაიბადა წმინდა ნიკოლოზ მირონ-ლუკიის ეპისკოპოსი. ქ. ეფესოში მდებარეობს წმ. იოანე მახარებლის საფლავიც. აქვე მოღვაწეობდა და მიიცვალა წმ. მარიამ მაგდალინელი. აქ ქრისტიანობა წმინდა მოციქულებმა: ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და იუდა ისკარიოტელის ნაცვლად არჩეულმა მატათამ იქადაგეს, რომლებმაც ტრაპიზონის გავლით აჭარამდე მოაღწიეს. მათ მოაქციეს ლაზები, კოლხები, მესხები, სვანები, აფხაზები და ალანები, ანუ საქართველო მოექცა იმ ქვეყნების რიცხვში, სადაც მოციქულებს უნდა ექადაგათ ქრისტეს მაცხოვრებელი მოძღვრება. ქართლის მოქცევის შესახებ უმნიშვნელოვანესი წყაროები არსებობს როგორც უცხოური, ასევე ქართული, რომლებშიც დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მომხდარი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა - ქრისტიანობის მიღება.

ა. ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა

იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ მეფე დავითმა სიონის მთაზე, ქალაქის სამხრეთით, დაიდო ბინა. იქ შექმნეს საგანე, სადაც აღთქმის კიდობანი დაასვენეს. შემდეგ დავითმა იყიდა მიწა ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში ტაძრის ასაშენებლად, მაგრამ უფალმა არ დართო დავით მეფეს ტაძრის აშენების უფლება, რადგან მას მრავალრიცხოვან ომებში ადამიანთა სისხლი ჰქონდა დაღვრილი. ღმერთმა აუწყა დავით წინასწარმეტყველს, რომ ტაძარს მისი შვილი-სოლომონი ააშენებდა, რომლის მეფობის დროსაც ისრაელში მშვიდობა დაისადგურებდა. ვინაიდან ტაძარში გადასვენებამდე აღთქმის კიდობანი სიონზე ინახებოდა, მთას წმინდა ადგილი, უფლის სამყოფელი დაარქვეს და ეს სახელი მან ტაძრის აშენების შემდეგაც შეინარჩუნა. ახალ აღთქმაში სიონმა ახალი ბრწყინვალება შეიძინა. აქ მდებარეობდა ის სახლი, რომელშიც მაცხოვარი და მისი მოწაფეები იკრიბებოდნენ. აქ აღასრულა მაცხოვარმა საიდუმლო სერობა; აქ გადმოვიდა წმინდა სული უფლის მოწაფეებზე მაცხოვრის აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს. აქვე, სიონის მთაზე, ცხოვრობდა იოანე მახარებელი. აქვე მიიძინა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა. საქართველოში ძალზე გავრცელებულია ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიები, რომლებიც სიონად იწოდება. მაგალითად, თბილისის სიონი, ბოლნისის სიონი, ატენის სიონი და ა. შ.

სულთმოფენობის შემდეგ, მოციქულებმა წილი ყარეს, თუ ვინ, რომელ ქვეყანაში უნდა წასულიყო საქადაგებლად. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს წილად ხვდა საქართველო. გადმოცემის მიხედვით, ღვთისმშობელი საქართველოში წამოსასვლელად ემზადებოდა, როდესაც უფალი გამოეცხადა და აუწყა, რომ მოახლოებული იყო მისი მიძინება – გარდაცვალება და ამიტომ მის ნაცვლად საქართველოში მას უნდა წარეგზავნა წმ. ანდრია პირველწოდებული. ანდრიამ საქართველოში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი ჩამოაბრძანა, რომელიც წმინდა ქალწულის სახეზე დადებით გამოისახა. იგი აწყურის ღვთისმშობლის ხატის სახელწოდებითაა ცნობილი.

მოციქულთა მოღვაწეობის ეპოქაში კვიპროსის ეპისკოპოსი იყო მაცხოვრის მიერ მკვდრეთით აღდგენილი ლაზარე, რომელმაც, გადმოცემის მიხედვით, წმ. ქალწული - მარიამი კვიპროსში მიიწვია. ქარიშხალმა ხომალდს, რომელსაც ღვთისმშობელი და მოციქული იოანე კვიპროსში გადაჰყავდა, გეზი შეუცვალა და ის ათონის მთას მიაღწია.

ათონის ნა-ხეყარკუნძული სახეს იყო წარმართული კერპებით, აქვე იყო აპოლონის უზარმაზარი ტაძარიც. როდესაც ღვთისმშობლის მოახლოება იგრძნეს, კერპები თავად დაიმსხვრნენ. ღვთისმშობლის ქადაგების შემდეგ მოსახლეობა მოექცა. ამიტომ უწოდებენ ეკლესიის მამები, მათ შორის მაქსიმე ბერძენი, დიმიტრი როსტოველი, სერაფიმ საროველი და სხვები, ათონის მთას, ივერიის შემდეგ, ღვთისმშობლის წილხვედრს.

შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ათონის მთასთან მიცურდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, რომელიც ხატმბრძოლობის დროს (IX საუკუნე) ბიზანტიელმა მეომარმა შუბით განგმირა. ხატის ნაიარვეიდან სას-წაულებრივად დაიწყო სისხლმა დენა. ნიკიელმა ღვთისმომშიშმა ქვრივმა, ხატმბრძოლთა მხრიდან შებილწვისა და განადგურებისაგან რომ ეხსნა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი, ზღვის ტალღებს მიანდო იგი. ერთ დღეს, ივირონის მონასტრის ბერებმა ზღვის ზედაპირიდან ცამდე აღმართული სვეტი შენიშნეს. ეს სასწაული რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში კვლავ განმეორდა. მონასტრებიდან შეკრებილმა ბერებმა სანაპიროზე მოიყარეს თავი და შეამჩნიეს, რომ ცეცხლოვანი სვეტი ღვთისმშობლის ხატზე იყო აღმართული. როდესაც მასთან მოახლოება დააპირეს, ხატმა უკან დაიხია. ასე განმეორდა რამდენჯერმე. წინამძღვრის რჩევით, ივერონის ბერები ტაძარში შეიკრიბნენ და ცრემლისმიერი ლოცვით შესთხოვე-

დნენ უფალს, რათა მათთვის მიემადლებინა ეს ფასდაუდებელი საუნჯე - უწმიდესი ხატი მისი ყოვლადწმიდა დედისა. იმ დროს ივერთა სავანეში ანგელოზებრივი ცხოვრებით გამორჩეული ქართველი ბერი - გაბრიელი მოღვაწეობდა. წმიდა ბერს ძილში ზეციური ნათლით გაბრწყინებული ღვთისმშობელი გამოეცხადა და უთხრა: „გადაეცი წინამძღვარსა და სულიერ ძმებს, რომ სათნოდ მიჩნს ჩემი ხატის თქვენთვის მომადლება. ნიშნად ამისა, გულდაჯერებით შედი ზღვაში და რწმენით გაიარე მის ტალღებზე. ამ სასწაულით ყველა შეიტყობს თქვენი მონასტრისადმი ჩემს შეწვენასა და მფარველობას“.

ბერმა გამოცხადება წინამძღვარს მოუთხრო და იმავე დილით ივირონის მონასტრის მამები სავედრებელი გალობით გავიდნენ ზღვის ნაპირზე. ბერმა გაბრიელმა სასწაულებრივად გაიარა ზღვის ტალღებზე და ღვთისმშობლის ხატი კრძალვით და სასოებით ამოაბრძანა ნაპირზე. საღვთო სიხარულით აღვსილმა მამებმა, იქვე, პატარა სამლოცველო აღმართეს და სამი დღე-ღამის განმავლობაში დაუცხრომლად სამადლობელ პარაკლისებს აღუვლენდნენ მოწყალე ღმერთს. ამ ადგილიდან ოცი ნაბიჯის მოშორებით მდგარა გუმბათოვანი ეკლესია, სადაც დაუსვენებიათ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი. შემდეგ კი იგი მონასტრის საკურთხეველში გადაუბრძანებიათ. მეორე დღეს ერთ-ერთ ბერს, რომელსაც საკურთხეველში კანდელი უნდა აენთო, ხატი საკურთ-

ხეველში აღარ დახვედრია. ხანგრძლივი ძებნის შედეგად ბერებს იგი მონასტრის კარიბჭის კედელზე აღმოუჩენიათ. როგორც კი ბერები მას საკურთხეველში შეაბრძანებდნენ, მეორე დილით კვლავ კარიბჭის კედელზე პოულობდნენ. ყოვლადწმიდა ქალწული კვლავ გამოცხადებია გაბრიელ ბერს და უბრძანებია: „აუწყეთ ძმებს, რომ არ მნებავს, ვიყო თქვენ მიერ დაცული, არამედ უფრო ის მსურს, თავად ვიყო თქვენი მცველიცა და მფარველიც...“ ამ გამოცხადების შემდგომ ხატი მონასტრის კარიბჭესთან დააბრძანეს საგანგებოდ აგებულ პატარა ტაძარში. ამიტომ ეძახიან ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატს „პორტაიტისას“, ანუ „კარიბჭისას“.

უადრესად მნიშვნელოვანია, რომ ღვთისმშობლის ხატი დღესაც ივირონის მონასტერშია დასვენებული, მონასტერში, რომელიც ქართველთა მიერ არის აშენებული. ამ მონასტრის მნიშვნელობა განსაკუთრებულია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან წლების

განმავლობაში აქ უადრესად ნაყოფიერ საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ წმინდა იოანე და ექვთიმე მთაწმინდელეები, წმინდა გიორგი მთაწმინდელი, იოანე ბერი და სხვა ქართველი მამები.

ანდრია პირველწოდებულთან ერთად, მართალია, საქართველოში უფლის სხვა მოციქულებმაც, მათ შორის, სვიმონ კანანელმა, ბართლომემ, თადეოზმა და მატათამ იქადაგეს ქრისტიანული მოძღვრება, მაგრამ პირველობის პატივი წმინდა ანდრიას ეკუთვნის და სწორედ ის ითვლება საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დამაარსებლად.

ტრაპიზონიდან საქართველოში შემოსულმა მოციქულებმა იქადაგეს ლაზეთსა და ჭანეთში, შემდეგ კი აჭარაში გადაინაცვლეს. ანდრია პირველწოდებულმა გზად, მთაში, ზადენ-გორაზე, რკინის დიდი ჯვარი აღმართა. ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატით მრავალი სასწაული მოახდინა: ადგილობრივი მთავრის ქვრივის შვილი მკვდრეთით აღადგინა, რის შემდეგ დედაც, შვილიც და სამცხელებიც მოინათლნენ. აღშფოთებულ წარმართ ქურუმებს ანდრიამ უფლის ძალის დასამტკიცებლად შესთავაზა ღამით ღვთისმშობლის ხატის დატოვება არტემიდას წარმართულ ტაძარში. დილით კერპები დამსხვრეული, ხატი კი გაბრწყინებული დახვდათ.

სამცხელების თხოვნით, ანდრიამ ხატი აწყურში საგანგებოდ აგებულ პატარა ეკვდერში დაასვენა. მოგვიანებით ბიზანტიის იმპერატორმა, ჰერაკლემ, წმინდა ხატის პატივსაცემად დიდი ტაძარი ააშენა აწყურში. აწყურის ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი საუკუნეების მანძილზე იცავს საქართველოს.

ანდრიამ, სიმონ კანანელმა და მატათამ იქადაგეს ტაოში, კლარჯეთში, სამეგრელოში, სვანეთში, აფხაზეთში, ალანებში, ჯიქებში. სვიმონ კანანელი აფხაზეთში მიიცივალა და აფხაზეთშივეა დაკრძალული (ახალ ათონში). მატათა-აჭარაში, გონიოშია, დაკრძალული. ანდრია პირველწოდებული ქ. პატრაში (საბერძნეთში) ეწამა ლათინური „X“ ფორმის ჯვარზე. დღეს ამ ქალაქშია მისი თავის ქალა დასვენებული. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის საჭეთმკურობლის ტახტი იწოდება ანდრია პირველწოდებულის საყდრად, რადგან ჩვენი ეკლესია მის მიერ არის დაფუძნებული. საქართველოდან წმინდა ანდრია პირველწოდებული გაემართა სკვითურ ჰერსონესში და შემდეგ პატარა დაბა-ბიზანტიონში და იქაც პირველი ეპისკოპოსი დაადგინა. პატარა ბიზანტიონი შემდგომში მართლმადიდებლური სამყაროს ცენტრად-კონსტანტინოპოლად იქცა. ტერიტორია, სადაც სკვითები ცხოვრობდნენ, შემდეგში რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა. შემთხვევითი არ არის ის, რომ რუსეთის იმპერიის სამხედრო საზღვაო დროშაზე ანდრიას ჯვარი გამოსახეს. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდო არის ანდრია პირველწოდებულის ორდენი. გიორგი მცირის ცნობით, ხატმებრძოლობის პერიოდში, გუთების საეპისკოპოსო კანდიდატი, იოანე, ეპისკოპოსად სწორედ საქართველოში, მცხეთაში იკურთხა, რაც ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის უბიწოდ იცავდა წმინდა მართლმადიდებლურ მოძღვრებას. ჩვენი ეკლესიის როლი ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო მსოფლიო მართლმადიდებლობაში. ამის საფუძველი უწინარესად უნდა ვეძებოთ იმაში, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, რომლის კურთხევითაც აქ ქრისტეს პირველმა მოწაფემ ანდრია პირველწოდებულმა ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში დააარსა ქრისტიანული ეკლესია.

ხუცესმონაზონ გიორგი მცირის ცნობით, 1047 წელს სწორედ ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ქრისტიანობის ქადაგების ფაქტმა საშუალება მისცა გიორგი ათონელს დაეცვა ანტიოქიის პატრიარქის წინაშე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რომელსაც მაშინ ეჭვქვეშ აყენებდნენ. „წმიდაო მეუფეო“, - მიმართა მან

პატრიარქს,,შენ იტყვ, ვითარმედ თავისა მის მოციქულთაჲსა პეტრეს საყდარსა ვზიო (ანტიოქიის ეკლესია დაფუძნებულია პეტრე მოციქულის მიერ-გ.რ.). ხოლო ჩუენ – პირველწოდებულისა და ძმისა თვისისა მწოდებელისა (პირველად ანდრია დაემოწაფა უფალს და შემდეგ მან მიიყვანა მაცხოვართან თავისი ძმა პეტრე), (ინ. 142) ნაწილნი ვართ და სამწყსონი, და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი,...- წმიდაო მეუფეო, შეუენის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თვისსა და ძმასა ანდრიას და რათა თქვენ ჩუენ დაგვემორჩილნეთ“. (გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება).

ცხადია, როგორც მთელ დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროში, ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვებას და მის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას საუკუნეები დასჭირდა. რომის იმპერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად იქცა IV საუკუნის დასაწყისში. ამავე პერიოდში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა საქართველოსა და სომხეთში. ბიზანტიის გავლენის მიუხედავად, საქართველოს ეკლესია უძველეს ეპოქაში ყველაზე მეტად იერუსალიმის ეკლესიასთან იყო დაკავშირებული, რასაც ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ეს უძველესი ტიპიკონი, რომელიც საქართველოს ეკლესია-მონასტრებში გამოიყენებოდა, იერუსალიმური წარმოშობისა იყო. უადრესად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ანდრია მოციქულის ღვაწლის გამგრძელებელი, მოციქულთა სწორი ნინო, იერუსალიმიდან გამოემგზავრა საქართველოში საქადაგებლად ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და თავისი ბიძის, იერუსალიმის პატრიარქის, იუბენაღის, კურთხევით.

გ. მცხეთა - „მეორე იერუსალიმი“

გასული საუკუნის მიწურულს საქართველომ იხეიმა ქართლში ებრაელთა პირველად შემოსვლის 2006 წლისთავი. სახეიმო მართლაც გეკონდა, ვინაიდან, ქართველებისა და ებრაელების მრავალსაუკუნოვანი კეთილმეზობლური ტრადიცია უადრესად მნიშვნელოვანი მაგალითია სარწმუნოებით განსხვავებული ამ ორი უძველესი ერის მშვიდობიანი თანაარსებობისა. ძვ.წ.ად. VI საუკუნეში ებრაელები პირველად მოვიდნენ ქართლში და მცხეთაში დასახლდნენ. ელია წინასწარმეტყველის ხალენთან ერთად მათ თან მოიტანეს ერთი ღმერთის რწმენა, რაც ქართველობას გზას უხსნიდა, შემეცნებოდა ძველი აღთქმის სარწმუნოებას.

„ქართლის მოქცევის“ შატბერდულ რედაქციაში საგულისხმოდ არის მოთხრობილი ელიოზ მცხეთელისა და ლონგინოზ კარსნელის იერუსალიმში გამგზავრების ამბავი, მას შემდეგ, რაც მცხეთაში მცხოვრებმა ებრაელებმა წერილი მიიღეს მღვდელმთავრისაგან, რომ ვინმე, რჯულისმცოდნე, ჩასულიყო იერუსალიმში და მონაწილეობა მიეღო მაცხოვრის განსჯაში. ელიოზის დედამ შვილი დაარიგა, რომ დამორჩილებოდა მღვდელმთავრის მოწოდებას და წასულიყო იერუსალიმში, მაგრამ თანაზიარი არ გამხდარიყო იმ განზრახვისა, რაც გულისხმობდა მაცხოვრის სიკვდილით დასჯას. როდესაც მაცხოვარი ჯვარს აცვეს გოლგოთაზე, ელიოზის დედას, სულიწმიდის მადლით, მცხეთაში ესმა ჯვარზე უფლის მიმსჭვალვის (მიღურსმვის) ხმა და მყისვე აღესრულა იმ ტკივილით, რომ კაცთა მოდგმის მსხნელი ჯვარს აცვეს.

მაცხოვრის სიკვდილის შემდგომ, რომაელმა ჯარისკაცებმა მისი სამოსელი გაინაწილეს ოთხ ნაწილად. ხოლო კვართი, რომელიც იყო მთლიანი, დაუნაწევრებელი, უფლის განგებით, წილად ხვდათ მცხეთელ ებრაელებს. მცხეთაში ჩამოსულ ელიოზს დახვდა მისი და, სიდონია და დედის სიკვდილი აუწყა. სიდონიამ გულში ჩაიკრა მაცხოვრის კვართი და იქვე სული განუტევა. იგი კვართთან ერთად დაკრძალეს.

სიდონიას საფლაგზე კიპარისის ხე ამოვიდა. რუსული და სპარსული წყაროების მიხედვით კი, უფლის კვართი შაჰ-აბასმა გაიტანა საქართველოდან, ხოლო შემდგომ რუსეთს წარგზავნილმა შაჰის დესპანმა იგი იმპერატორს მიართვა. კვართი მოგვიანებით, იმავე ცნობის მიხედვით, რუსეთის ერთ-ერთ მონასტერში დაასვენეს. რათქმა უნდა, ამგვარ ცნობებს არავითარი საერთო არა აქვს ჭეშმარიტებასთან, რადგან ქსოვილი, რომელიც მცხეთიდან წაიღეს შაჰ-აბასის ლაშქრობის დროს, არ იყო მაცხოვრის კვართი. კვართი, რომელიც წმინდა ეკლესიის მთლიანობის სიმბოლოა, მცხეთაშია დაფლული და ის არავის ამოუღია სიდონიას საფლავიდან. უფლის კვართზეა დაფუძნებული სვეტიცხოვლის წმიდა ტაძარი, რომელიც საქართველოში არსებული ყველა ეკლესიის დედა ეკლესიად იწოდება. სვეტიცხოველში ინახება ასევე ელია წინასწარმეტყველის ხალენი, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიწმინდეა.

სწორედ მაცხოვრის კვართისადმი თაყვანისცემის სურვილმა შთააგონა კაბადოკიელ ქალწულს, წმ. გიორგის ნათესავს, ცნობილი ღვთისმოსავი მშობლების, მხედართმთავარ ზაბულონისა და იერუსალიმის პატრიარქის - იუბენალის დის, სოსანას, ერთადერთ ქალიშვილს საქართველოში ჩამოსვლა. ლოცვებში ის ყოველდღე ევედრებოდა ღვთისმშობელს მის წილხვედრ ქვეყანაში გამგზავრებისა და მისივე ხელით მოქსოვილი უფლის კვართის თაყვანისცემის ნებართვა მიეცა. შემწეობისა და დალოცვის ნიშნად ღვთისმშობელმა წმიდა ნინოს ვაზის ჯვარი გადასცა, რომლის ძალითაც იგი სძლედა ხილულ და უხილავ მტერს. ვაზის ჯვარი წმინდანმა თავისი თმით შეკრა. (ეს ჯვარი ამჟამად სიონის საკათედრო ტაძარშია დასვენებული) საქართველოში გამომგზავრების წინ წმინდა ნინო მისმა ბიძამ, იერუსალიმის პატრიარქმა - იუბენალმა, დალოცა.

წმინდა ნინო სამცხე-ჯავახეთის გზით შემოვიდა ქართლში და მცხეთაში იმყოფებოდა ელიოზის შთამომავალ ებრაელ მღვდელთან, აბიათართან, და მის ასულ - სიდონიასთან ერთად. დაუღალავი ქადაგებით, ლოცვით, გაჭირვებულთა შეწვევითა და სწეულთა კურნებით (განკურნებულთა შორის იყო დედოფალი ნანაც) მან ჯერ აბიათარ მღვდელი და მისი შვილი სიდონია, შემდეგ დედოფალი ნანა, მეფე მირიანი და მთელი ქართლი, შემდეგ კი კახეთი მოაქცია ქრისტეს რჯულზე. მეფის ბრძანებით, დაიწეს დიდი ტაძრის მშენებლობა. მოჭრეს ერთი ნაძვი, რომლისგანაც შვიდი სვეტი დაამზადეს. მშენებლებმა ვერაფრით შეძლეს უმთავრესი სვეტის საძირკველში დამაგრება. შეწუხდა მეფე მირიანი, წმიდა ნინო და ყოველი ერი. ხალხი მიმოიფანტა. მშენებლობის ადგილას მხოლოდ წმიდა ნინო დარჩა სულიერ დებთან ერთად. იგი მთელი ღამის განმავლობაში ლოცულობდა და ღმერთს ევედრებოდა შემწეობას, რათა არ დაბრკოლებულიყო ტაძრის მშენებლობა. განთიადისას მან იხილა უფლის ანგელოზი სხივმოსილი ჭაბუკის სახით, რომელმაც ხელი მოჰკიდა სვეტს, ზემოთ წაიღო და მისთვის განკუთვნილ ადგილზე დაამყარა. ეს უმნიშვნელოვანესი სასწაული წმიდა ნინოს ლოცვის შედეგად აღსრულდა, რაც საფუძველი გახდა უპირველესი ქართული ტაძრის დაფუძნებისა.

წმინდა ნინოს თხოვნით, მირიან მეფემ წერილი გაუგზავნა იმპერატორ კონსტანტინეს და ითხოვა მისგან სასულიერო პირების ქართლში გამოგზავნა, რათა მათ აღსრულებინათ ნათლობის უწმიდესი საიდუმლო. ქართლში მოავლინეს ეპისკოპოსი იოანე, მღვდლები და დიაკვნები, რომლებმაც თან ჩამოაბრძანეს უფლის ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი (ფერკთა ფიცარი) და სამსჭვალნი. ქართული წერილობითი წყაროს მიხედვით, წმიდა ნინოსა და მირიან მეფის თანხმობით, მცხეთაში მოკვეთეს სასწაულმოქმედი ხე და მისგან სამი ჯვარი დაამზადეს. მრავალი დღის განმავლობაში ღამით ეკლესიას ვარსკვლავებით გარშემორტყმული ცეცხლოვანი ჯვარი ადგებოდა თავს, განთიადისას ორი ვარსკვლავი გამოეყოფოდა სხევებს, ერთი აღმოსავლეთისკენ მოძრაობდა, მეორე კი - დასავლეთისკენ. თავად ცეცხლოვანი ჯვარი

კი არაგვის გაღმა, კლდოვანი ბორცვის თავზე ჩერდებოდა. წმ. ნინოს რჩევით, ერთი ჯვარი ერთი ვარსკვლავის მიმართულებით, ანუ დასავლეთით წაიდეს და თხოთის მთაზე აღმართეს, მეორე აღმოსავლეთით - უჯვარმაში, ხოლო მესამე ჯვრის დასადგამი ადგილი თავად უფალმა ამცნო მეფე მირიანს - არაგვის გადაღმა მდებარე კლდოვანი ბორცვი, სადაც აღმართეს უმთავრესი სიწმინდე - მცხეთის ჯვარი. მოგვიანებით აქ აშენდა მსოფლიო საეკლესიო ხუროთმოძღვრების უნიკალური ნიმუში - მცხეთის ჯვრის მონასტერი. ყოველივე ზემოთქმული ნათლად მიანიშნებს საქართველოს უმჭიდროეს კავშირს ქრისტიანული სამყაროს იმდროინდელ ცენტრთან - იერუსალიმთან. შეიძლება ითქვას, რომ სულიერების თვალსაზრისით, მცხეთა არის მეორე იერუსალიმი, რასაც ადასტურებს ის სახელდებანი, რომლებიც იერუსალიმთან დაკავშირებით გვხვდება. იერუსალიმის სიონის ტაძარი, რომელიც აგებულია თორმეტი მოციქულის სახელზე, ანალოგს პოულობს პირველ ქართულ ტაძართან, სვეტიცხოველთან, რომელიც „დიდ სიონად“ იწოდება და, რომელიც ასევე თორმეტი მოციქულის სახელზეა აშენებული. მცხეთაში ასევე არის ბეთლემად სახელდებული გამოქვაბული, თაბორის მთა, ელეონის, ანუ ზეთისხილის მთა, გოლგოთა, ბეთანია, გეთსიმანია და სხვა. საუკუნეების განმავლობაში შესამჩნევია ქართველთა სწრაფვა წმიდა მიწისკენ. განსაკუთრებით ეს ეხება იერუსალიმს, სადაც არაერთი მონასტერი ააშენეს ჩვენმა წინაპრებმა. წმიდა ილია მართლის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი მეფეები, დედოფლები და დიდებულები არანაირ სახსრებს არ ზოგავდნენ, რათა შემწეობა აღმოეჩინათ იმ უწმიდესი სამონასტრო კერებისადმი, რომლებიც წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს სულიერ და საგანმანათლებლო

ცენტრებს. ვინ იცის ამ მონასტრებში, რამდენი ქართველი სასულიერო პირი, წმიდა ბერი შევედრებია ღმერთს ჩვენი სამშობლოს აღორძინებისა და სულიერი გაბრწყინებისთვის. ღმერთმა შეიწიროს ღვთისთვის სათნო მათი ლოცვა და ღვაწლი.

იერუსალიმი, სულიერების თვალსაზრისით, ქართველთათვის მეორე სამშობლოა, რომელთანაც არის დაკავშირებული მაცხოვრის ამქვეყნიური მოღვაწეობა. უძველეს ეპოქაში ქართველები მაცხოვრის შობას, იერუსალიმური ტრადიციის მიხედვით, სავარაუდოდ, 6 იანვარს, მაცხოვრის ნათლისღების დღეს, აღნიშნავდნენ. იერუსალიმი ქართველებისათვის უდიდესი სიწმინდეა, რაც განაპირობებს სხვებთან ერთად ქართველთა სწრაფვას წმინდა მიწის მოსალოცად.

დ. ქართველები იერუსალიმში

როგორც აღვნიშნეთ, პირველ ქართველ პილიგრიმად და იერუსალიმის ქართული კოლონიის დამფუძნებლად ქართველი უფლისწული, ბიზანტიაში კარგად ცნობილი საეკლესიო პირი და ფილოსოფოსი, მაიუმის ეპისკოპოსი პეტრე იბერი (412-491) ითვლება. მის მიერ დაფუძნებული პირველი ქართული (ლაზთა) მონასტრის ნანგრევები, უძველესი ქართული წარწერებითურთ, იტალიელი არქეოლოგის ვირჯილიო კორბოს მიერ არის აღმოჩენილი ბეთლემის უდაბნოში. წარწერებში მოხსენიებული არიან, როგორც პეტრე იბერი, ასევე მისი წინაპრებიც, რაც საქართველოში ქრისტიანობის ადრეულ გავრცელებაზე მიუთითებს. ხოლო „ლაზთა მონასტერი“ პეტრე იბერის აღმზრდელის, იოანე ლაზის, პატივსაცემად ეწოდა. პეტრემ ააგო ქართული მონასტერი იერუსალიმშიც, სიონის მთაზე, რომელიც მოგვიანებით იმპერატორ იუსტინიანეს განუახლებია. V საუკუნიდან XVIII საუკუნემდე ქართული კოლონია ერთ-ერთი უძლიერესი იყო იერუსალიმში. ქართველები პალესტინაში 19 მონასტერსა და ეკლესიას ფლობდნენ.

ქართული კულტურის, სულიერებისა და მწერლობის უმნიშვნელოვანესი და ამავე დროს, უძველესი საზღვარგარეთული ცენტრი, სადაც VIII-X საუკუნეებში ქართველი ბერები ინტენსიურ საგანმანათ-
ლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ, იყო საბას ლავრა, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მწიგნობრები: მარტვილი მონაზონი, სეითი, მაკარ ლეთეთელი, ამონა, ბასილი საბაწმინდელი, არსენი, იოანე-ზოსიმე (რომელიც არის გადამწერი მნიშვნელოვანი ქართული ძეგლისა - „ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ“), სვიმეონ მგალობელი, მიქაელ ჩიხუარელი და სხვები. აქ უნდა იყოს შესრულებული IX საუკუნეში ქართული ოთხთავის საბაწმინდური რედაქცია, რომელიც იხსენიება წმ. გიორგი მთაწმინდლის ცნობილ ანდერძში.

საბას ლავრა, ანუ „საბაწმინდას“ ლავრა, იერუსალიმიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით, 13-15 კილომეტრზე მდებარეობს. მონასტრის დამაარსებელი წმ. საბა განწმენდილი (439-532) წარმოშობით (ისევე, როგორც წმინდა ნინო) კაბადოკიიდან იყო და ქართველებთან მისი ახლო ურთიერთობა გასაკვირი არ უნდა იყოს. აღექსანდრე ხახანაშვილის ცნობით, ბევრ კაბადოკიელს ქართული ენაც კი ესმოდა.

კირილე სკვითოპოლელის ცნობით, როდესაც საბაწმინდის ლავრას ერეტიკოს ორიგენეს მომხრეები დაესხნენ თავს, ბესნი (ასე უწოდებდნენ იერუსალიმში ქართველებს, კერძოდ ლაზებს) იორდანეიდან მოვიდნენ მო-ნასტრის დასახმარებლად. ერეტიკოსებისგან შევიწროებულმა მართლმადიდებელმა მამებმა დიდი ლავრის ქსენადოქს შეაფარეს თავი. ჰაგიოგრაფი მოგვითხრობს: „მიუჯდეს მბრძოლნი იგი დიდითა გულისწყრომითა და უნდა, რადთამცა მამანი წარწყმიდნეს. და ვითარცა ქსენადოქისა კარნი დაჯშულნი პოვნეს, სარკუმელნი ქვითა დაღეწნეს და შინა მყოფთა მათ ქვითა ესროდეს. და ვითარცა დიდად შეაურვეს მამათა, ერთმან ვინმე, თეოდულოს სახელით, ბესი მონაზონი, შეწყუდობილთა მათგანი, ამან პოვა ნიჩაბი და აღიღო იგი და ქსენადოქით გამოვიდა. ხოლო მბრძოლნი იგი იყვნეს ვითარ სამას ოდენ, და ამან მარტომან ყოველნი განაბნივნა. ხოლო უხეთქნა არავის, ხოლო ამას უხეთქნეს მათ ქვითა, და დაეცა. და შემდგომად მცირედთა დღეთა აღესრულა“. („მამათა ცხოვრებანი“, თბ., 1975, გვ. 121).

წმ. საბა განწმენდილის ანდერძიდან ჩანს, რომ ქართველებს ლავრაში თავისი ეკლესია ჰქონიათ და ღვთისმსახურებას ქართულ ენაზე ალაგვლენდნენ. არაბთა ბატონობის დროს მონასტერი არაერთხელ დაარბიეს, მაგრამ მასში სამონასტრო ცხოვრება არ შეწყვეტილა. აქ უადრესად ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ქართველები. საბაწმინდის სახელგანთქმულ ლავრაში IX საუკუნეში რამდენიმე წლის განმავლობაში მოსაგრეობდა წმ. ილარიონ ქართველი, XI საუკუნეში კი - წმ. გიორგი - პროხორე, ჯვრის მონასტრის აღმამენებელი. მონასტერში ქართველთა ნაკადი არც მოგვიანებით შეწყვეტილა: 1567 წელს აქ იმყოფებოდა ფ. შაქარაშვილი, XVIII - საუკუნის 80-იან წლებში - ი. გედევანიშვილი, 1820 წელს - გ. ავალიშვილი, 1899 წელს - პ. კონჭოშვილი, 1883 წელს - ა. ცაგარელი. შოთა რუსთაველის 800 წლის საიუბილეო დღესასწაულის მზადებისას საბაწმინდას ეწვია ქართველ მოღვაწეთა ჯგუფი ი. რურუას, რეჟისორ გ. პატარაიას და ოპერატორ გ. მელქაძის შემადგენლობით, რაც ადასტურებს, რომ კომუნისტური რეჟიმის დროსაც კი ქართველების ინტერესი წმინდა მიწისადმი არ განელებულა. ამის ბრწყინვალე მაგალითია არა მარტო სახელოვანი ქართველი მეცნიერების საქმიანობა, არამედ ი. აბაშიძის შემოქმედებაც, მისი „პალესტინური დღიურები“.

X-XI საუკუნეებში ბევრი ქართველი მწიგნობარი ბერი მოღვაწეობდა პალავრაში - ხარიტონის ლავრაში, რომელიც ასევე იერუსალიმთან ახლოს მდებარეობს. ესენი

არიან: იოანე საფარელი, პავლე პალავრელი, თეოდორე პალავრელი, გრიგოლ ხარიტონწმიდელი, სტეფანე პალავრელი და სხვ. ქართველი დედეები მოღვაწეობდნენ იერუსალიმის დედათა მონასტერში, რომელსაც დერტავი ერქვა.

წმინდა მიწაზე განსაკუთრებული ადგილი ქართველების საქმიანობაში და, საერთოდ, საქართველოს ისტორიაში, ჯვრის მონასტერს უკავია.

აღსანიშნავია, რომ ჯვრის მონასტრის აღორძინება და მისი ქართული სამონასტრო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების უდიდეს კერად გადაქცევა დაკავშირებულია საქართველოს „ოქროს ხანასთან“, დავითისა და თამარის ეპოქასთან (XI-XIII სს). საქართველო ახლო აღმოსავლეთის ძლიერ სახელმწიფოდ იქცა და ქართულმა კულტურამ განვითარების მანამდე არნახულ დონეს მიაღწია.

აღექსი ტოლსტოის თქმით, „საქართველომ შექმნა რენესანსის ყველა წინაპირობა და შექმნა ჯოტოს დონის ხელოვნების ნიმუშები ორი საუკუნით ჯოტოზე ადრე“. იმავეს ამტკიცებდა დიდი რუსი მეცნიერი ალექსი ლოსევი. შეიქმნა გელათისა და იყალთოს აკადემიები, რომლებიც საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური აზროვნების აღიარებულ კერებად იქცა. გელათის აკადემია იწოდა „მეორე იერუსალიმად“ და „სხვადა ათინად“, რადგან შუა საუკუნეების ეს უმნიშვნელოვანესი საღვთისმეტყველო სკოლა თავის წიადში ამთლიანებდა რწმენასა და მეცნიერებას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჭეშმარიტ რწმენას და ჭეშმარიტ ცოდნას. ამავე ეპოქაში, რომელსაც „ოქროს ხანა“ ეწოდა, შეიქმნა შოთა რუსთაველის გენიალური ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ქართული მრავალსაუკუნოვანი პოეზიის მწვერვალია. მასში ნათლად იკვეთება მისი ავტორის, შოთა რუსთაველის, უდიდესი საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური განსწავლულობა.

ბაგრატ IV კურაპალატის დროს, 1030-1060 წლებში, ჯვრის მონასტერი აღადგინა წმინდა მამამ, პროხორე ქართველმა (გიორგი შავთელმა), რომელიც იყო დიდი ქართველი განმანათლებელი და ექვთიმე ათონელის მოწაფე. მასთან ერთად მოღვაწეობდნენ იოანე დვალი, მიქაელ დვალი, იოანე შავი და სხვანი. მონასტერში დიდი მთარგმნელობითი მუშაობის პარალელურად იქმნებოდა ორიგინალური ნაწარმოებები, დაიწერა რამოდენიმე ჰაგიოგრაფიული თხზულება და შედგა ჰიმნოგრაფიული კრებულები. ამავე პერიოდს უკავშირდება უდიდესი წიგნსაცავის შექმნაც. იერუსალიმთანაა დაკავშირებული წმიდა მოწამეების, ლუკა იერუსალიმელის და ნიკოლოზ დვალის, მოღვაწეობაც.

ჯვაროსნების დროს თითქმის ყველა მართლმადიდებლური მონასტერი კათოლიკების ხელში გადავიდა, თუმცა ჯვრის მონასტერი ქართველებს დარჩათ. არსებობს მოსაზრება, რომ შოთა რუსთაველის ფრესკა XII-XIII საუკუნეების მიჯნაზეა შესრულებული. მას მიეწერება ჯვრის მონასტრის აღდგენა და მოხატვა. ამგვარი დიდი ღვაწლის გამო მონასტერში მისი ადაპიც დაუწესებიათ. გადმოცემით, ბერად აღკვეცილი გენიალური პოეტი ამავე მონასტერშია დაკრძალული. ერთ-ერთი გაურცვლებული მოსაზრების მიხედვით, თამარის საფლავიც აქ უნდა იყოს. ასეთი ვერსიის საფუძველს იძლევა ერთი საინტერესო წერილი, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში აღმოუჩინიათ საფრანგეთის არქივებში. აი, რას წერს კათოლიკე მთავარეპისკოპოსს ჯვაროსანი რაინდი დებუა იერუსალიმიდან: „ჯერ ყურმოკვრით შევიტყვე, ხოლო შემდეგ სარწმუნო ელჩების მეშვეობით დანამდვილებით შევამოწმე, რომ იბერიელი ქრისტიანების, რომელნიც გეორგიანებად(ქართველებად) იწოდებიან, დიდძალმა ცხენოსანმა და ქვეითმა ჯარმა, ღვთის შემწევობით აღფრთოვანებულმა და ძალზედ კარგად შეიარაღებულმა, გამოილაშქრა ურწმუნო წარმართების წინააღმდეგ, სწრაფად დაჰკრა მათ და უკვე აიღო სამასი ციხე და ცხრა დიდი ქალაქი, რომელთაგანაც ძლიერნი დაიპყრო, ხოლო

სუსტნი ნაცარტუტად აქცია. ზემოაღნიშნული ჯარი მოეშურება, რათა გაათავისუფლოს იერუსალიმის წმინდა მიწა-წყალი და დაიპყროს წარმართთა მთელი სამყარო. მათი წარჩინებული მეფე 16 წლის ჭაბუკია. იგი ალექსანდრე მაკედონელს ჰგავს ვაჟკაცობით და სათნოებით, მაგრამ არა სარწმუნოებით. ამ ჭაბუკს თან მოაქვს ძვლები თავისი დედისა, უძლიერესი მეფის თამარისა, რომელსაც თავის დროზე იერუსალიმს წამოსვლის აღთქმა დაუდვია და უთხოვია შვილისათვის, თუ აღთქმის ასრულება არ დამცადდეს, ჩემი ძვლები ქრისტეს საფლავზე წაიღეო. შვილს არ დავიწყებია დედის თხოვნა და გადაუწყვეტია, წმინდა ქალაქში გადმოიტანოს დედის ნეშტი, მიუხედავად იმისა, მოისურვებენ ამას წარმართნი თუ არა“.

ლაშა-გიორგის (1213-1222) ეს ლაშქრობა სხვა მასალებით ჯერჯერობით არ დასტურდება, მაგრამ სავსებით მართებულად ასახავს დავით აღმაშენებლის მიერ გაძლიერებულ საქართველოს როლს მთელ ახლო აღმოსავლეთში. შემთხვევითი არ არის, რომ მემატიანე დავით აღმაშენებელს უწოდებს მესიის მახვილს და ქრისტიანობის დამცველს.

1244 წელს ჯვაროსნებმა საბოლოოდ დაკარგეს იერუსალიმი. სანამ საქართველო ძლიერი იყო, იგი ქრისტიანობის დამცველად გვევლინებოდა ახლო აღმოსავლეთში. იმ ეპოქაში მცხოვრები ერთ-ერთი კათოლიკე ეპისკოპოსის, ვიტრიუსის, ცნობით, „ცხოვრობს აღმოსავლეთში ქრისტიანი ხალხი - ომის მოყვარული და ბრძოლაში გამოცდილი. მას ჰყავს უამრავი მებრძოლი, მეტად დაშინებული ჰყავს სარკინოზნი და თავდასხმების დროს დიდ ზარალს აყენებს სპარსელებს, მიდიელებსა და ასურელებს, რომელთა სიახლოვესაც ცხოვრობს, ვინაიდან გარშემორტყმულია ურჯულოებით, მათ ეწოდებათ ქართველები. როდესაც ისინი მიდიან ქრისტეს საფლავის თავყანისსაცემად, წმინდა ქალაქში შედიან გაშლილი დროშებით, ბაჟის გადახდის გარეშე, რაც შეეხება სარკინოზებს, ისინი ვერ ბედავენ მათს შეწუხებას, რათა უკან დაბრუნებისას ქართველებმა ჯავრი არ იყარონ მათ მეზობლად მცხოვრებ სარკინოზებზე. ქართველები ძალიან აღშფოთებულნი არიან და ემუქრებიან კორადინუსს, დამასკოს პრინცს, იმის გამო, რომ მან განიზრახა იმათი სურვილის გარეშე იერუსალიმის კედლის დანგრევა, მაშინ, როდესაც ლათინნი დამიეტას იღებდნენ“ (მ. თამარაშვილი „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“, თბ. 1995, გვ. 474.)

საქართველოს დასუსტებასთან ერთად სუსტდებოდა მისი პოზიციებიც წმინდა მიწაზე. 1273 წელს, მამლუქი სულთნების დროს, ჯვრის მონასტერი მეჩეთად გადაკეთდა და ქართველი ბერები მონასტრიდან გააძევეს. მონასტრის წინამძღვარი, „ჯვრის მამა“, წმ. ლუკა იერუსალიმელი, აწამეს და თავი მოჰკვეთეს. აღშფოთებულმა ქართველებმა, მონღოლთა ლაშქარში ყოფნისას, როდესაც მონღოლები ეგვიპტელ სულთანს ეომებოდნენ, ბრძოლით სცადეს მონასტრის დაბრუნება, მაგრამ უშედეგოდ. მხოლოდ დიპლომატიური მოლაპარაკებების გზით მოახერხა მეფე დავით VIII-მ მონასტრის დაბრუნება და აღდგენა. ამიტომაც მოიხსენიება ის მონასტრის ალაჰში მის აღმშენებლად. 1314 წელს დამასკოში ეწამა ჯვრის მონასტრის ბერი, წმ. ნიკოლოზ დვალი. ძველი დიდება კიდევ დიდი ხნის მანძილზე მოჰყვებოდათ ქართველებს წმინდა მიწაზე. სულთანმა არა მარტო დაუბრუნა ქართველებს ჯვრის მონასტერი, არამედ ჯვაროსნების გაძევების შემდეგ მხოლოდ მათ მისცა უფლება-დაეცვათ უფლის საფლავი. ამაზე დიდი პატივი ერს არ ღირსებია. ათწლეულების მანძილზე მხოლოდ ქართველი ბერები რჩებოდნენ ღამე უფლის საფლავის ტაძარში, მხოლოდ ქართველები ადავლენდნენ წირვა-ლოცვას უფლის საფლავზე, მათ ეპყრათ უფლის საფლავის სამლოცველოს გასადები და ეკუთვნოდათ გოლგოთა. როდესაც ქრისტიანობის უდიდეს სიწმინდეს, მაცხოვრის საფლავს, უახლოვდებით და, მითუმეტეს, როდესაც წმინდა ცეცხლის გარდამოსვლას ვესწრებით, უნდა გვახსოვდეს,

რომ უფლის წყალობით ამ წმინდა ადგილს ჩვენი წინაპრები ფლობდნენ და იცავდნენ. დიდება მამასა და ძესა და წმიდა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე! ამინ.

400 წელს იერუსალიმი და ჯვრის მონასტერი თემურ ლენგს აუოხრებია. 1454 წელს ბიზანტიის დაცემით ქრისტიანთა და მათ შორის - ქართველთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. თუმცა დროდადრო ქართველების გავლენა იზრდებოდა. 1525 წელს აღდგა ქართველთა უფლება გოლგოთაზე, ბეთლემსა და ჯვრის მონასტერზე, ასევე ყველა ის პრივილეგია, რაც ქართველებს გააჩნდათ იერუსალიმში. ამ დროს ჯვრის მონასტერში მოღვაწეობდა ვინმე ჩოლოყაშვილი, რომელმაც ლათინებისა და სომხების მიერ მიტაცებული საკუთრების დაბრუნებასთან ერთად მონასტერში საგანმანათლებლო საქმიანობაც აღადგინა. უდიდესი წვლილი შეიტანა ჯვრის მონასტრისა და ქართველთა კოლონიის საქმიანობაში „ჯვრის მამამ“, ანუ მონასტრის წინამძღვარმა, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმაც. მაგრამ, საბოლოოდ, ქართველებმა ვერ გაუძლეს გაჭირვებასა და იმ დიდ გადასახადებს, რომლებიც თურქებმა ქრისტიანებისთვის დააწესეს. მაღალი გადასახადების გამო, იერუსალიმის ბერძენმა პატრიარქებმაც კი პატრიარქის რეზიდენცია კონსტანტინოპოლში გადაიტანეს და კონსტანტინოპოლის პატრიარქს შეეკედლნენ. სომხებს იერუსალიმში თავიანთი დიასპორა ჰქონდათ, მათ შორის იყვნენ ვაჭრები, ხელოსნები, შექმნილი ხალხი. ისინი სომხურ-მონოფიზიტურ ეკლესიას ეხმარებოდნენ და ამიტომ გადასახადების გადახდა შეძლეს. ლათინებსა და ბერძენ მართლმადიდებლებს როგორც მათი ადგილობრივი მრევლი, ასევე რომი და კონსტანტინოპოლის ეპარქია ეხმარებოდა. ქართველ ბერებს მხოლოდ სამშობლოდან დახმარების იმედი ჰქონდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ხერხდებოდა დახმარების გაწევა ქართველი ბერებისთვის. ამიტომ იერუსალიმელი ქართველები თანდათან იძულებულნი გახდნენ, მონასტრებისა და ეკლესიების ქონება დაევირავებინათ. ეს ქონება საუკუნეების მანძილზე მთლიანად ბერძენების, სომხებისა და ლათინების ხელში გადავიდა. რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს მიერთებას, ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას შედეგად მოჰყვა იერუსალიმთან კავშირის გაწყვეტა და წმინდა მიწაზე არსებული ქართული საგანგებოს საბოლოოდ დაკარგვა. უფლის წყალობით, დღეს ამ კავშირების თანდათანობითი აღდგენა ხდება.

ე. ებრაელთა და ქრისტიანთა საეკლესიო დღესასწაულები

აღდგომა უდიდესი საეკლესიო დღესასწაულია და მომლოცველები ხშირად წმინდა მიწაზე პილიგრიმობას მას უკავშირებენ. სახარებიდან ვიცით, რომ ქრისტეს წამება და ჯვარცმა სწორედ იმ დღეს მოხდა, როდესაც ებრაელებს პასექი უნდა აღენიშნათ. წმინდა სულის გარდამოსვლა მოციქულებზე აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს აღსრულდა, მაშინ როდესაც იერუსალიმში ორმოცდაათიანობის დღესასწაული აღინიშნებოდა, ეს ძველი აღთქმის რჯულის მიღებას უკავშირდებოდა, რა კავშირი აქვთ ებრაულ და ქრისტიანულ დღესასწაულებს ერთმანეთთან?

ებრაელების პასექი უდიდესი რელიგიური დღესასწაულია, რომელიც უკავშირდება ეგვიპტის ტყვეობიდან ებრაელთა გამოსვლას. სიტყვა „ფასეკ“, ებრაულად – „ფესახს“ „გვერდის ავლას“ ნიშნავს და უფლის მიერ ეგვიპტელ პირველშობილთა სიკვდილით დასჯისას ებრაელთა სახლების გვერდის ავლას უკავშირდება. ეგვიპტიდან გამოსვლის წინა დღეს ყოველი ებრაელის ოჯახში უნდა დაკლულიყო საპასექო

ტარიგი, რომლის სისხლითაც ჯვრის ნიში უნდა გამოესახათ საკუთარი სახლების კარებზე. ღმერთმა მოსე წინასწარმეტყველს ამცნო ყველა ის წესი, რაც დაცული უნდა ყოფილიყო პასექის აღსრულებისას.

პასექზე ყველა ებრაელის ოჯახი ვახშმად იკრიბება, ისვენებენ ტყვეობიდან გამოსვლას. სადღესასწაულო ვახშამი იწყება ღოცვა-კურთხევით, ღვთისადმი მადლობით. ქაშერული ღვინით ისმევა ოთხი სადღესასწაულო სადღეგრძელო, მაგრამ სუფრაზე ასევე დგამენ მეხუთე ჭიქას ილია წინასწარმეტყველისათვის, რაც, მათი რწმენით, დაკავშირებულია ბიბლიურ წინასწარმეტყველებასთან, რომ უფლის სასუფევლის დადგომამდე და მესიის მოსვლამდე ღმერთი მოაგლენს ცაში ცოცხლად ამადლებულ ილია წინასწარმეტყველს (მალ. 4.5). ამიტომაც ეკითხებოდნენ ფარისევლები იოანე ნათლისმცემელს, თუ ვინ იყო ის - მესია თუ ილია წინასწარმეტყველი (ინ. 1.19-21).

ებრაული პასექის წინა დღეს უფალმა იესო ქრისტემ გამართა საიდუმლო სერობა თავის მოწაფეებთან სიონის ქორში. ეს იყო მაცხოვრის მიერ აღსრულებული ახალი პასექი ძველის ნაცვლად. სწორედ ამ დღეს დააწესა ქრისტემ წმინდა ზიარების საიდუმლო. ამავე დღეს მან ფეხები დაბანა თავის მოწაფეებს, რითაც თავმდაბლობის უდიდესი მაგალითი მისცა მათ. ძველი აღთქმის რჯულის მიღების დღეს მოსემ სამსხვერპლოდ შეწირული ზვარაკის სისხლი აპკურა ერს და უთხრა: „ესე არს სისხლი აღთქმისაჲ, რომელი აღუთქუა უფალმან ყოველთათჳს სიტყვათა ამათ“ (გამ. 24.8). მაცხოვარმა კი, როგორც წმინდა ლუკა მახარებელი გვაუწყებს, საიდუმლო სერობისას თავის ხორცსა და სისხლს აზიარა მოციქულები. აქ პირველად უთხრა მან მოწაფეებს უდიდესი მნიშვნელობის სიტყვები: „ესე სასუმელი - ახალი სჯული სისხლისა ჩემისაჲ თქვენთვისდათხეული“ (ლკ. 22.20), რითაც მიანიშნა, რომ მის მიერ გაღებულ მსხვერპლით აღსრულდებოდა კაცობრიობის გამოსნა და ახალი აღთქმის ეკლესიის დაფუძნება. უფლის ჯვარცმით გაუქმდა სისხლიანი მსხვერპლშეწირვა, რაც ძველი აღთქმის ეკლესიისთვის იყო დამახასიათებელი. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული აღდგომის დღესასწაულსაც პა-სექი ეწოდება, ისევე, როგორც ებრაულ პასექს, სავსებით ცხადია, რომ ეს არის ორი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული მნიშვნელობის დღე, როგორც, მაგალითად, ძველი აღთქმის ერგასის (ორმოცდაათიანობის) დღესასწაული და ახალი აღთქმის ორმოცდაათიანობის დღესასწაული - სულთმოფენობა ანუ მარტვილია, რომელიც მაცხოვრის აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს აღსრულდა.

ებრაელები პასექის შემდეგ ორმოცდამეათე დღეს აღნიშნავენ სინას მთაზე უფლის მიერ მოსეს მეშვეობით რჯულის მიღებას. ამ დღესასწაულზე იერუსალიმში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიებიდან ჩამოდიოდნენ ებრაელები, რომლებიც, ბუნებრივია, იმ ქვეყნების ენებზეც ლაპარაკობდნენ, რომელშიც უხდებოდათ ცხოვრება. ისინი ცხოვრობდნენ ბერძნულ ქალაქებში, სირიაში, სპარსეთში, კაბადოკიაში, ეგვიპტესა და კვიპროსზე.

უფალი იესო ქრისტე აღდგომის შემდეგ მეორმოცე დღეს ამადლდა, მან დაუბარა მოციქულებს, არ გაშორებოდნენ იერუსალიმს, ვინაიდან მათზე სულიწმინდა უნდა გადმოსულიყო: „რამეთუ იოანე ნათელ-სცემდა წყლითა, ხოლო თქვენ ნათელ-ილოთ სულითა წმიდითა არა მრავალთა ამათ დღეთა შემდგომად“ (საქმე, 1.5). როდესაც ღვთისმშობელი მარიამი, მოციქულები და ქრისტეს სხვა მოწაფეები ორმოცდაათიანობის დღესასწაულზე სიონის ქოხში შეიკრიბნენ, ცეცხლოვანი ენების სახით მათზე სულიწმინდა გადმოვიდა და „აღივსნენ, ყოველნი სულითა წმიდითა და იწყეს სიტყუად უცხოთა ენათა, ვითარცა სული იგი მისცემდა მათ სიტყუად“ (საქმე, 2.4). სულიწმიდის გარდამოსვლის შემდგომ მოციქულებმა სხვადასხვა ენაზე იწყეს მეტყველება, რამაც

საყოველთაო გაკვირვება გამოიწვია. მათ იცოდნენ, რომ მოციქულები უსწავლელნი იყვნენ და ვერ გაეგოთ თუ რა ძალის მოქმედების შედეგი იყო მათი ამეტყველება იმ ქვეყნების ენებზე, საიდანაც ისინი იყვნენ ჩამოსულნი. როგორც ლუკა მა-ხარებელი გადმოგვცემს: „განჰკრთეს ყოველნი და დაუკურდა ერთსა-ერთისა თანა და იტყოდეს: ანუ არა ესე ყოველნი არიანა, რომელნი იტყუან, გალილეველ? და ვითარ ჩუენ გუესმის კაცად-კაცადსა თვისი სიტყუად ჩუენი მათგან, რომელნი ვართ პართნი და მიდნი უჟიკნი და ელამიტელნი და მკედრნი შუა მდინარისანი, ჰურიასტანისანი და კაბადუკიაჲსანი, პონტოჲსანი და ასიაჲსანი, ფრიგიაჲსანი და პამფულისანი, ეგვიპტისანი და ადგილისა ლუბიისანი, კურნით კერძონი და მოსრულნი ჰრომნი, ჰურიანი და მწირნი, კრიტელნი და არაბიელნი, გუესმის, იტყუან რად ჩუენითა ენითა დიდებასა ღმრთისასა?“ (საქმე, 2.7-11). მათ გაოცებას პასუხი წმიდა პეტრე მოციქულმა გასცა, რომელმაც იქ შეკრებილთ უქადაგა მაცხოვრის განკაცება, მისი ჯვარცმა და მკედრეთით აღდგომა. მან სინანულისა და ნათლისღებისკენ მოუწოდა თავის თვისტომთ, რაც იმით დასრულდა, რომ იმ დღეს სამი ათასი ადამიანი მოინათლა.

იერუსალიმიდან ქრისტიანული მოძღვრება მთელ მსოფლიოს მოეფინა. ქრისტეს მიერ დაფუძნებული წმინდა ეკლესია მოციქულებმა ქვეყნიერების კიდით-კიდემდე განავრცეს. მათ გადაიტანეს უამრავი დამცირება, შეურაცხყოფა, დენა-შევიწროება როგორც იუდეველებისგან, ასევე წარმართებისგან, მაგრამ ბოლომდე ერთგულნი რჩებოდნენ იმ ჭეშმარიტი რწმენისა, რომელიც მათ უფლისგან მიეცათ. უწმიდესი საეკლესიო მოძღვრება ეკლესიის წიაღში დაუნჯდა, როგორც მაცხოვრებელი და განმადმრთობელი, უკვდავი ცოდნა. ქრისტეს ეკლესიისადმი უდიდესი თავდადება ნათლად წარმოჩნდა მოციქულთა მოღვაწეობაში, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად დაამოწმეს მართლმადიდებლობის ჭეშმარიტება. სწორედ მოციქულთა მიერ დაედო სათავე საეკლესიო ღვთისმსახურების აღსრულებას, უწმიდეს ლიტურგიას, რომელშიც, ისევე, როგორც წმიდა წერილსა და საეკლესიო „დიდ სჯულისკანონში“, ვლინდება წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის უცთომელობა.

ვ. წმინდა ცეცხლის გადმოსვლა

აღდგომის წინა დიდ შაბათს წმინდა ცეცხლის გარდამოსვლა უფლის საფლავზე მართლმადიდებლური რწმენის ჭეშმარიტების დამადასტურებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სასწაულია, ისევე, როგორც თაბორის მთაზე ფერისცვალებისას ღრუბლის გარდამოსვლა და ნათლისღებისას მდინარე იორდანის შეჩერება და აღმასვლა. სამივე ეს სასწაული იულიუსის კალენდრის მიხედვით აღესრულება, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტია საეკლესიო ცხოვრებაში, ე.წ. ძველი სტილის უპირატესობის. ძველ სტილზე იმყოფება იერუსალიმის, რუსეთის, სერბეთისა და საქართველოს ეკლესიები, ათონისა და სინას მთა, ასევე კონსტანტინეპოლის, ელადის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის მართლმადიდებელ სამრევლოთა ნაწილი.

რატომ ხდება ეს სასწაული მართლმადიდებლურ აღდგომაზე? როგორც ამას იერუსალიმში რუსეთის სასულიერო მისიის ხელმძღვანელი, არქიმანდრიტი ელისე აცხადებს, იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის ზედმიწევნით იცავს სამოციქულო ტრადიციას და შესაბამისად, ყველა დღესასწაულის, მათ შორის - აღდგომის, აღნიშვნის უამს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II 2005 წლის საშობაო ეპისტოლეში ეხება ძველი და ახალი სტილის საკითხს და წერს:

„დღესათვის არ არსებობს ახალ კალენდართან დაკავშირებით მსოფლიო ეკლესიის საერთო-საყოველთაო შეთანხმება და მისი სათანადო დასაბუთება. ამიტომაც ამგვარი ნოვაცია დამღუპველ ზიანს მოუტანს ჩვენი ეკლესიის ერთობას (რისი მაგალითებიც სხვაგან არაერთი გვაქვს), რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

აღსანიშნავია ისიც, რომ I მსოფლიო საეკლესიო კრების განჩინებით, აღდგომა იდღესასწაულება გაზაფხულის ბუნიობის და იუდეველთა პასექის შემდეგ. ძველი სტილი მტკიცედ იცავს ამ დადგენილებას, მაშინ, როდესაც გრიგორიანული კალენდრით ეს დღესასწაული ზოგჯერ ემთხვევა იუდეველთა პასექს, ან წინ უსწრებს მას, რაც დაუშვებელია და მსოფლიო კრების გადაწყვეტილების უხეში დარღვევაა.

საერთოდ, კალენდრის საკითხი ადვილად განსასჯელი არ არის. კარგად წერს ნეტარი ავგუსტინე: „მე ვიცი, რა არის დრო, როდესაც ამის შესახებ არ მეკითხებიან, ხოლო როდესაც მეკითხებიან, რაც უფრო მეტს ვფიქრობ, მით უფრო მიძნელებსა ზუსტი პასუხის გაცემა“.

რა თქმა უნდა, დამცველები მრავლად ეყოლება როგორც ახალი, ისე ძველი სტილის მიმდევართ და ისინი შეეცდებიან, დაამტკიცონ საკუთარი პოზიციის მართებულობა, მაგრამ არის რამდენიმე ისეთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რაც, ვფიქრობთ, ყველასთვის მრავლისმთქმელია:

ა) ყოველ წელს იერუსალიმში, ძველი სტილით, აღდგომის წინა დღეს, მაცხოვრის საფლავზე მხოლოდ მართლმადიდებელი პატრიარქის ლოცვით ზეციდან გარდამოდის ღვთაებრივი ცეცხლი, რაც ნათელი დადასტურებაა როგორც იულიუსის კალენდრის, ისე მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტებისა.

ბ) ყოველ 19 აგვისტოს (ძვ. სტილით 6 აგვისტოს) ღამით, ფერისცვალების დღესასწაულზე, იერუსალიმში, თაბორის მთაზე, ზაფხულის ყველაზე მცხუნვარე დროს, ჩნდება ღრუბელი, რომელიც წირვის დამთავრებამდე ფარავს მორწმუნეთ და ახსენებს მათ I საუკუნეში აქ აღსრულებულ ერთ-ერთ უდიდეს სასწაულს.

გ) ყოველ 19 იანვარს (ძვ. სტილით 6 იანვარი), იესო ქრისტეს ნათლისღების და წყალკურთხევის დღესასწაულზე, წმინდა მდინარე იორდანეში იერუსალიმის პატრიარქის მიერ წარმოთქმული ლოცვისას: „და მართლუკუნ იქცა იორდანე“, მდინარე წუთიერად, მართლაც, უკუსვლას იწყებს. ამ სასწაულის სანახავად მრავალი მორწმუნე ჩადის სხვადასხვა ქვეყნიდან.“

მეორე საუკუნეში იერუსალიმის ეპისკოპოსს, ნარკისეს, ლიტანიობაზე კანდელებში ზეთი გამოლევა და ისინი სილოამის წყაროდან მოტანილი წყლით შეუესიათ. მოხდა სასწაული და წყლით სავსე ყველა კანდელი აინთო წმინდა ცეცხლისაგან.

როდესაც ბიზანტიის იმპერატორი, წმინდა თეოდოსი დიდი, 395 წელს იერუსალიმს ფარულად ესტუმრა და უფლის საფლავი მოილოცა, წმინდა ცეცხლი ასევე ყველა კანდელებზე გადმოვიდა. ამ დროიდან მოყოლებული, წმინდა ცეცხლი ყოველ წელს დიდ შაბათს გადმოდის უფლის საფლავზე და ანთებს კანდელებს.

წმინდა ცეცხლის გარდამოსვლა არც არაბების ბატონობის დროს შეწყვეტილა, რასაც თავად არაბი ისტორიკოსები აღწერენ... ლათინელი ბერი ბერნარდი 865 წელს წერდა: „წმინდა შაბათს, რომელიც აღდგომის წინა დღეა, დილის წირვა ადრე იწყება და მისი დამთავრებისას მღერიან „უფალო, შემიწყალე“-ს მანამ, სანამ ანგელოზის მოსვლით საფლავზე დაკიდებულ კანდელებში სინათლე არ ინთება“.

ჯვაროსნების ხანაში იერუსალიმის ეპისკოპოსად კათოლიკე დანიშნეს, როდესაც ეპისკოპოსმა და ლათინელმა სამღვდელოებამ, მეფისა და დიდებულების თანხლებით, სცადეს წმინდა ცეცხლის მიღება, მრავალსაათიანი ლოდინისა და „უფალო,

შემიწყალეს“ გალობის მიუხედავად, წმ. ცეცხლი არ გარდამოდიოდა. სამღვდელოებამ, მეფე ბოდუენ პირველის მონაწილეობით, დიდი მსვლელობა მოაწყო. მხოლოდ ტაძრიდან მათი გასვლის შემდეგ გარდამოვიდა ცეცხლი წმინდა საფლავზე. ვინაიდან ამ პერიოდში მართლმადიდებლებს თავისი პატრიარქი იერუსალიმში არ ჰყავდათ, წმ. ცეცხლი საბა განწმენდილის ლავრის წინამძღვრისა და სხვა მართლმადიდებელი იერარქების სანთლებზე გარდამოდიოდა. შემდგომში კათოლიკეებმა საერთოდ შეწყვიტეს წმ. ცეცხლის გარდამოსვლის სასწაულზე დასწრება, თუმცა ცალკეული ლათინი მორწმუნე მოდის დღესასწაულზე სანთლების დასანთებად.

მეთორმეტე საუკუნის ინგლისელი ჟამთაღმწერელი, გოტიერ ვინისოუფი, მოგვითხრობს, რომ, როდესაც მუსლიმებმა, სალახ-ად-დინის მეთაურობით, 1187 წ. დაიპყრეს იერუსალიმი, სულთანმა მოისურვა წმინდა ცეცხლის გარდამოსვლაზე დასწრება. მან შესამოწმებლად საგანგებოდ სამჯერ ჩააქრობინა წმინდა ცეცხლით ანთებული ლამპარი და, მესამედაც რომ აინთო ცეცხლი, გაოცებულმა სულთანმა შეჰყვირა: “უწინ მოგაკვები, ვიდრე იერუსალიმს დავთმობ”. მისი წინასწარმეტყველება გამართლდა შემდგომ დიდ მარხვაზე სულთანი გარდაიცვალა.

იერუსალიმის ეკლესიის გადმოცემით, ის დღე, როდესაც წმინდა ცეცხლი არ გარდამოვა, უკანასკნელი იქნება კაცობრიობისათვის. სიკვდილი, ნგრევა და ომები დაიპყიდრებს დედამიწაზე. (ასეთივე გადმოცემები არსებობს სხვა ქრისტიანულ სასწაულებზეც: მდინარე იორდანეს აღმასვლაზე მართლმადიდებლური ნათლისღების დღეს, თაბორის მთაზე ღრუბლის დაშვებაზე ფერისცვალების დღესასწაულზე, მრავალსაუკუნოვანი მამრის მუხის ტოტების გამწვანებაზე- თუკი ეს სასწაულები არ მოხდა, მუხა მოკვდა), ამიტომაც ელიან ასეთი განსაკუთრებული მოლოდინით მორწმუნენი წმინდა ცეცხლის გარდამოსვლას. დიდ შაბათს უფლის საფლავის ტაძარი დილიდანვე ივსება მორწმუნეებით. ყველაზე მეტად ადგილობრივი არაბი მართლმადიდებელი ქრისტიანები გამოხატავენ სიხარულს, რომლებიც, ხელიხელჩაკიდებულნი, გარშემო უვლიან წმინდა საფლავის სამლოცველოს (რომელიც ტაძრის ცენტრში მდებარეობს და სადაც უფლის საფლავია განლაგებული-იხილეთ ტაძრის გეგმა დანართში “ფოტოგალერეა”) და დიდი ხმით ამბობენ: „უფალო, შეგვიწყალენ“ და „არ არის სხვა ჭეშმარიტი სარწმუნოება, გარდა მართლმადიდებელი სარწმუნოებისა“. მათი ხმამაღალი შეძახილები გარკვეულ უკმაყოფილებას იწვევს მომლოცველებში, მაგრამ მათ ამგვარ ქმედებას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გააჩნია (ცნობილია, რომ მათ ეს უფლება თავის დროზე არაბი ხალიფის საგანგებო ფირმანით მოიპოვეს). წესრიგს ისრაელის პოლიცია და საჯარისო ფორმირებები ამყარებენ, როგორც ეს ადრე თურქ ჯარისკაცებს ევალებოდათ.

დილით, წმინდა ცეცხლის გარდამოსვლამდე, უფლის საფლავის სამლოცველო ხედმიწვევით ყურადღებით მოწმდება, რათა ყველა დარწმუნდეს, რომ იქ არაფერია შეტანილი ცეცხლის დასანთებად. ამის შემდეგ სამლოცველო ილუქება ტაძრის მცველების მიერ. სხვა ქრისტიანული კონფესიების წარმომადგენლები ყურადღებით აკვირდებიან პროცედურას იმ იმედით, რომ თუკი ის ჩაიშლება და ცეცხლი არ გარდამოვა ბერძენი პატრიარქის სანთლებზე, ისინი შეძლებენ მომავალში ჩაენაცვლონ მართლმადიდებლებს და თავად მიიღონ წმინდა ცეცხლი. შემოწმება იწყება დილის 10 საათზე და მთავრდება 11 საათზე.

ცეცხლის გარდამოსვლის ცერემონია იწყება 12 საათზე და სამი ეტაპისაგან შედგება: ლიტანიობა, პატრიარქის შესვლა წმინდა საფლავის სალოცავში და პატრიარქის ლოცვა წმინდა ცეცხლის გარდამოსვლაზე. შუადღეს პატრიარქი სასულიერო პირებისა და მოწვეული სტუმრების თანხლებით შემოდის ტაძარში. აქვე

თავს იყრიან სხვა კონფესიების, სომეხთა, კოპტების, ეთიოპელების, სირიელების პატრიარქები და მათი თანმხლები პირები. ყველა შემოსული უწინარესად ემთხვევა ზეთისცხების ღოდს და შემდეგ უფლის საფლავის სამლოცველოსაკენ მიემართება. აქ ყველა კონფესიის წარმომადგენელს, მათ შორის მრევლსაც, თავისი ადგილი აქვს გამოყოფილი დასადგომად. ამ დროს განუწყვეტილ რეკავენ ზარები. საპატიო სტუმრები - სახელმწიფო დელეგაციების ხელმძღვანელები, ისრაელის მთავრობისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ადგილს სამლოცველოს წინ განლაგებულ ორ ტრიბუნაზე იკავებენ. ესეც ძველი ტრადიციაა და არაბი ემიგრებისაგან მოდის. საუკუნეების წინ წმ. ცეცხლის გარდამოსვლას იერუსალიმის ამირა (გუბერნატორი) ესწრებოდა და მეტიც, ცეცხლის გარდამოსვლის დროის მიხედვით მუსლიმები იმ წლის მოსავლის პროგნოზსაც კი აკეთებდნენ! ბერძენთა პატრიარქის შემოსვლის წინ გამოაქვთ ტაძრის ღამპრები, რათა თავიდან ანათონ ისინი წმინდა ცეცხლიდან.

ცერემონიის დაწყებამდე მართლმადიდებელი პატრიარქი ტაძრის შიდა შესასვლელიდან შედის წმ. იაკობის ეკლესიაში, სადაც მას უახლოვებიან და ხელზე ამბორით მიესალმებიან სხვა კონფესიების წარმომადგენლები. ვინაიდან მათ, ვინც მართლმადიდებელ პატრიარქს ხელზე არ ეამბორება, არა აქვთ უფლება მისი ხელიდან წმინდა ცეცხლი მიიღონ. ამის შემდეგ იწყება ლიტანიობა. პატრიარქი სამჯერ უფლის წრეს წმინდა საფლავს და შესასვლელთან ჩერდება. კარებიდან ლუქი იხსნება, პატრიარქი განიმოსება და მხოლოდ მღვდლის თეთრი პერანგის ამარა რჩება. შემდეგ იერუსალიმის პოლიციის წარმომადგენელი საჯაროდ ჩხრეკს პატრიარქს, რათა ყველა დარწმუნდეს, რომ მას ასანთი არა აქვს დამალული. ამის შემდეგ მართლმადიდებელი პატრიარქი შედის უფლის საფლავის სამლოცველოში. მას სომეხთა პატრიარქი მისდევს, მაგრამ ის სამლოცველოს პირველ ოთახში, ე.წ. ანგელოზის სამხრეში რჩება და მაცხოვრის საფლავზე მართლმადიდებელი პატრიარქი მარტო შედის. ამ დროს ტაძარში ყველა ღამპარი და სინათლე ქრება.

პატრიარქი მუხლმოდრეკილი ღოცულობს და ევედრება უფალს, წმინდა ცეცხლი მოავლინოს ადამიანთა განსაწმენდად. ტაძარში იწყება თეთრი და ცისფერი სინათლეების ციმციმი, თითქოს ათასობით ფოტოგანათება ჩაირთოს.

ცერემონიის დაწყებამდე იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქი, დილის წირვის შემდეგ თავის რეზიდენციაში საპატიო სტუმრებსა და სამთავრობო დელეგაციებს იღებს. 2003 წელს მან მიიღო საბერძნეთის დელეგაცია, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით, რუსეთის დელეგაცია, მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის ხელმძღვანელობით და საქართველოს დელეგაცია, რომელსაც მე ვხემძღვანელობდი. პატრიარქმა დიდი პატივით მიგვიღო ქართველები და წმინდა ცეცხლის გარდამოსვლის მსახურებაზე თავის „ამალაში“ მიგვიწვია. ქართველებისადმი პატრიარქის ასეთი დამოკიდებულება ორივე მხარისათვის ფრიად სასარგებლო აღმოჩნდა. ერთი მხრივ, ქართველები ტაძარში საბერძნეთის პატრიარქთან ერთად შევედით და საპატიო ადგილი დავიკავეთ, პირადად მისგან მივიღეთ წმინდა ცეცხლი და შევედით მთელი ეს მსახურება ფირზე გადაგველო და შემდეგ საქართველოში ტელევიზიით გვეჩვენებინა. წარმოიდგინეთ, რომ ჩვენი ჯგუფის ერთ ნაწილს, რომელიც არ ესწრებოდა პატრიარქთან მიღებას, გაუჭირდა ტაძარში მოხვედრა და რამდენიმე კაცი საერთოდ ტაძრის გარეთ დარჩა. მეორე მხრივ, ქართველებმა, ვინაიდან ჩვენს დელეგაციაში, უფლის განგებით პრეზიდენტ შევარდნაძის დაცვის სამი ყოფილი თანამშრომელი, მათ შორის დაცვის ყოფილი უფროსი - თემურ ძიძიგური - აღმოჩნდა, შევედით ბერძენი პატრიარქის დაცვის უზურნველყოფა (მანამდე მასმხოლოდ ორი

კაცი იცავდა და ტაძარში ვითარების გამწვავებისას ისინი ვეღარ უზრუნველყოფდნენ მის უსაფრთხოებას. მდგომარეობა კი ძალზედ გამწვავებული იყო, ვინაიდან საუკუნეების მანძილზე სომეხი მონოფიზიტები მართლმადიდებლებს ეცილებიან წმინდა ცეცხლის მიღების პატივს).

იერუსალიმელი სომეხები დღესაც გააფთრებით ებრძვიან მართლმადიდებლებს წმინდა ცეცხლის მიღების პატივისათვის. ასეთი მცდელობა ჰქონდათ მათ 2001 წელს, ხანშიშესული ბერძენი პატრიარქის, დიოდოროსის, აგადმყოფობისას, და 2002 წელს, ახალი პატრიარქის, ირინეოსის, დროს. საქმე პატრიარქისათვის ანთებული სანთლების გამოგლეჯის მცდელობამდეც კი მივიდა.

როგორც მოგახსენეთ, უშუალოდ უფლის საფლავის ადგილას მხოლოდ ბერძენი პატრიარქი შედის და მას გამოაქვს წმინდა ცეცხლი. სომეხთა პატრიარქი მისი სანთლებიდან იღებს ზეციურ ცეცხლს. ანგელოზის სამხრის პატარა სარკმლიდან სომეხი პატრიარქი მონოფი-

ზიტებს (სომეხებს, ეთიოპიელებს, კობტებს და სირიელებს) აწვდის ცეცხლს, ხოლო ბერძენი პატრიარქი კი - მართლმადიდებლებს. 2003 წელს სომეხთა პატრიარქმა მოითხოვა უფლის საფლავის ადგილზე შესვლა, რაზედაც პატრიარქი ირინეოსისაგან მტკიცე უარი მიიღო. უფლის

საფლავის მთავარმა მცველმა (იმ არაბული ოჯახის წარმომადგენელმა, ვისაც ტრადიციებისამებრ, უფლის საფლავის გასაღები აბარია), იბრაგიმ აბუ დაჩიმ განაცხადა, რომ თუკი წელს სომეხთა პატრიარქი უფლის საფლავზე შესვლის უფლებას მიიღებდა, მაშინ მომავალ წელს ის აუცილებლად მოითხოვდა უფლებას თავად, და არა მართლმადიდებელი პატრიარქის ხელიდან, მიეღო წმინდა ცეცხლი. ამიტომაც მდგომარეობა ტაძარში იმდენად დაძაბული იყო, რომ ისრაელის პოლიციამ საგანგებო ზომები მიიღო კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. წითელ პარასკევს, ღამით გამართულ თათბირზე, ტაძრის მთავარი მცველის მტკიცებით, განიხილებოდა ტაძარში მომლოცველთა რაოდენობის თითოეული კონფესიიდან 150 კაცამდე შეზღუდვის წინადადება (ასეთ შემთხვევაში ჩვენგან 1-2 კაცი თუ მოხვდებოდა შიგნით, იმიტომ რომ მართლმადიდებელთა კვოტაში იქაური არაბების გარდა, ბერძენები, რუსები, სერბები, რუმინელები, ბულგარელები და სხვა მართლმადიდებლები უნდა მოხვედრილიყვნენ). საბედნიეროდ, ეს გადაწყვეტილება არ მიიღეს და ტაძარში უბრალოდ უსაფრთხოების ზომები გაამკაცრეს. პოლიციის კორდონები იაფოს ჭიშკრიდან იწყებოდა. სომეხები სასტიკად გაღიზიანებულნი იყვნენ და სულ კონფლიქტურ სიტუაციებს ქმნიდნენ. ერთ-ერთმა რუსულმა მართლმადიდებელურმა გაზეთმა „ბლაგოვესტმა“ მოგვიანებით დაწერა: „რა გაღიზიანებით გვიყურებდნენ იმ დღეს სომეხი მღვდლები და მრევლიც კი! როგორ უნდოდათ, რომ მათი, და არა მართლმადიდებელი პატრიარქი, გამოსულიყო კუფუკლიდან (უფლის საფლავის სამლოცველოს ბერძნული დასახელება) წმინდა ცეცხლით ხელში.“ აი, ასეთ პირობებში მოუწიათ ბერძენი პატრიარქის დაცვა ქართველ ბიჭებს და მათ ეს ისე გააკეთეს, რომ ასეთ ჭყლეტაში ვერც ერთი ადამიანი ვერ მიეკარა პატრიარქს! შეუძლებელია, არ ვახსენოთ ქართველი პალესტინელი ბერის ამბავი, რომელმაც მე-5 საუკუნეში მარტომ დაიცვა მართლმადიდებლური მონასტერი 300 ერეტიკოსისაგან და თავისი სიცოცხლის ფასად მონასტერი - განადგურებას და ბერები ჩაქოლვას გადაარჩინა.

კონფლიქტური სიტუაცია წელსაც აუცილებლად გაგრძელდება და ყველა მლოცველი ძალიან ფრთხილად უნდა იყოს. სომეხმა პატრიარქმა 2005 წელს ისრაელის სამართლიანობის უხენაეს სასამართლოში იჩივლა, რათა მისთვის უფლება მიეცათ, შესულიყო წმინდა ცეცხლის გარდამოსვლისას უფლის საფლავში და თავისი სანთლები თავად დაენთო. სასამართლო არ ჩაერია კონფესიათაშორის დავაში. მან

მხოლოდ პოლიციასა და სპეცსამსახურებს დაავალა წესრიგის დაცვის განსაკუთრებული ზომების მიღება.

წმინდა ცეცხლის გარდამოსვლისას სომხებისა და მართლ-მადიდებლების ეს დავა, როგორც აღვნიშნეთ, საუკუნეები გრძელდება. გადმოცემით, რასაც სხვა წყაროებიც ადასტურებენ, მეთექვსმეტე საუკუნეში სომხებს იერუსალიმის ამირა მოუსყიდიათ, რათა მას მართლმადიდებელი პატრიარქი ეკლესიაში არ შეეშვა და ეს წმინდა ცეცხლი სომეხ პატრიარქს გამოეცანა. ამირამ მართლაც არ შეუშვა ეკლესიაში მართლმადიდებლები, რომლებიც ეკლესიის გარეთ იცდიდნენ, სომეხი პატრიარქი კი უფლის საფლავის სამლოცველოში შევიდა. მაგრამ წმინდა ცეცხლი არ გარდამოვიდა მონოფიზიტთა სანთლებზე. მეტიც, საშინელი ხმაურით გაანგრია ეკლესიის კარიბჭის სვეტი და გარეთ მდგომი მართლმადიდებელი პატრიარქის სანთლებზე გარდამოვიდა. ამ სასწაულის დანახვაზე მაღალ კოშკში მჯდარმა ამირამ ხელები აღმართა, დაიძახა: „დიდია ღმერთი ქრისტიანეთა“, და კოშკიდან გადმოხტა. მოხდა მეორე სასწაული და გაქრისტიანებული ამირა უვნებელი გადაურჩა ამ სიმაღლიდან დაცემას. მუსლიმებმა ამირა რჯულის შეცვლისათვის სიკვდილით დასაჯეს, ქრისტიანებმა კი წმინდანად შერაცხეს. მისი წმინდა ნაწილები დღემდე იერუსალიმის ღვთისმშობლის მონასტერშია დაცული.

მდგომარეობას ამწვავებს ისიც, რომ 2005 წელს იერუსალიმის საპატრიარქოს წმ. სინოდმა გადააყენა პატრიარქი ირინეოსი და ახალი პატრიარქი-თეოფილე აირჩია; მაგრამ თავად ირინეოსი ამ გადაყენებას უკანონოდ მიიჩნევს და მის მომხრეებთან ერთად სინოდის ამ გადაწყვეტილებას არ ცნობს. ამ დავამ შეიძლება თავი იხილოს წმ. ცეცხლის გარდამოსვლისას, თუკი პატრიარქი ირინეოსი და მისი მომხრეები ეკლესიაში და მეტიც, წმ. საფლავის სამლოცველოში შესვლას შეეცდებიან. ერთი სიტყვით, ქართველ პილიგრიმებს სიფრთხილის გამოჩენა მართებთ, რათა თავი აარიდონ ყველა შესაძლო დაპირისპირებას.

ერთი კონკრეტული რეკომენდაციაც ჯერის გზაზე მსვლელობაში მონაწილეებისათვის - წითელ პარასკევს ყველა მართლმადიდებელი პილიგრიმი მსვლელობას აწყობს იმ გზით, რომლითაც მხრებზე ჯვარმოკიდებული იესო ქრისტე გოლგოთაზე ავიდა და ვაღობს: „ჯვარსა შენსა თაყვანს ვცემთ, მეუფო, და წმინდასა აღდგომასა შენსა ვუგალობთ და ვადიდებთ“. სასურველია ამ მსვლელობის დროს საქართველოს დროშები გეკონდეს, ჯვრების შექენა კი იერუსალიმშიც შეიძლება (ახალი ქართული დროშა ძალიან წააგავს იმ ხუთჯვრიან დროშას, რომელსაც იერუსალიმის დროშა ჰქვია). სუვენირებად იერუსალიმის პატარა დროშების შექენაც შესაძლებელია. გვახსოვდეს ისიც, რომ მაცხოვრის საფლავი ის ერთადერთი ადგილია მთელ მსოფლიოში, სადაც ან საფლავის ლოდზე, ან ზე თისცხების ლოდზე (ტაძრის შესასვლელშია განთავსებული) დადებული სანთელი, ჯვარი და ხატი, მღვდლისაგან კურთხევას აღარ საჭიროებს. ამაზე წმინდა ადგილი მსოფლიოში არ არსებობს. ამიტომაც, შეგიძლიათ იერუსალიმში ნებისმიერ მართლმადიდებლურ მაღაზიაში (რეკ რტპოდოხ- „გრიკ ორთოდოქს“ – ასე ეძახიან მართლმადიდებლურ ეკლესიას) ნაყიდი პატარა ჯვრები, ხატები და სანთლები იქვე, მაცხოვრის საფლავის ეკლესიაში, თავადვე აკურთხოთ და ისე ჩამოუტანოთ საჩუქრად თქვენს მეგობრებსა თუ ნათესავებს.

რაც შეეხება აღდგომაზე კვერცხების შეღებვას, ეს უფრო ფართოდ რუსეთსა და საქართველოში გავრცელებული ჩვევაა, თუმცა, საეკლესიო ტრადიციით, მარიამ მაგდალინელთან არის დაკავშირებული. გადმოცემით, წმინდა მარიამ მაგდალინელი რომში ესტუმრა იმპერატორ ტიბერიუსს ქრისტიანობის საქადაგებლად და, ვინაიდან იმპერატორთან სტუმრობისას მისთვის, იმდროინდელი ჩვეულებისამებრ, რაიმე საჩუქარი

უნდა მიეძღვნა, წმინდანმა მას უბრალო ქათმის კვერცხი მიართვა. იმპერატორმა არ ირწმუნა ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა და შესძახა: ეს ისევე დაუშვებელია, როგორც ეს კვერცხი უცებ გაწითლდესო. იმპერატორის თვალწინვე მოხდა სასწაული - კვერცხი გაწითლდა, რითაც კვლავაც დადასტურდა ქრისტიანული რწმენის ჭეშმარიტება.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ რუსული მართლმადიდებლური ეკლესია იერუსალიმში დიდი სიყვარულით ექცევა ქართველებს. პირველი ქართული ჯვრისწერა შარშან სწორედ რუსულ წმ.სამების საკათედრო ტაძარში ჩაატარა მამა ილია ნასიძემ. საგულისხმოა, რომ ამ ტაძრის იატაკი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქვის საბადოდან მოტანილი ფერადი ქვებითაა დაგებული. თუმცა იერუსალიმის პატრიარქი, რომელმაც ნეფე-პატარძალი დალოცა, შეგვიპირდა, რომ მომავალში ქართველები ჯვრისწერას და ნათლობას პირდაპირ ჯვრის მონასტერში შეასრულებენ. გორნენსკის ქალთა რუსული მონასტერი, რომელიც იერუსალიმთან ახლოს, ელ-კერემთან, ბიბლიურ თიანეთში (ამიტომაც ჰქვია რუსულად “გორნენსკი”), იმ წმინდა ადგილას მდებარეობს, სადაც ღვთისმშობელი მარიამი თავის ნათესავს, იოანე ნათლისმცემელის დედას - წმ. ელისაბედს შეხვდა და დაჰყო მასთან სამი თვე. თუ პოლიტიკური ვითარების გამწვავების გამო ვერ მოხვდებით ბეთლემის დედათა ქართულ მონასტერში, მერწმუნეთ, რომ რუსი დედები და იღუმენია დედა გეორგია დიდი სიყვარულით მიიღებენ ყველა ქართველ მომლოცველს.

ამ სიტყვებით ვამთავრებდი ამ წიგნის პირველ, 2006 წლის გამოცემას. წელს კი დიდი სიხარულით ვამატებ, რომ თუ ბეთლემში ვერ მოხვდით, უფლის წყალობით, აწ უკვე ლოდში, წმინდა გიორგის ქალაქში, გახსნილ ქართულ სახლში თქვენთვის კარები ყოველთვის ღიაა.

ქრისტე აღდგა!

დანართები:

დანართი 1. თანამედროვე ისრაელის შესახებ

თანამედროვე ისრაელის სახელმწიფო 1948 წლის 14 მაისს შეიქმნა გაეროს 1947 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ამ გადაწყვეტილებით, დიდი ბრიტანეთის მანდატის ქვეშ მყოფი პალესტინა უნდა გაყოფილიყო ორ - ებრაულ და არაბულ - სახელმწიფოდ, ხოლო იერუსალიმი - გაეროს მართვის ქვეშ მყოფ ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად. მას შემდეგ მიმდინარეობს არაბულ-ებრაული კონფლიქტი, რომელიც ოთხ დიდ ომში გადაიზარდა. საბჭოთა კავშირი არაბებს უჭერდა მხარს, ხოლო აშშ - ისრაელს. 1980 წელს იერუსალიმი ისრაელის მუდმივ და განუყოფელ დედაქალაქად გამოცხადდა. კონფლიქტის დარეგულირების რეალური შანსი გაჩნდა ამერიკული გეგმის, ე.წ. „საგზაო რუკის“, მიხედვით, რასაც აქტიურად უჭერდა მხარს მაჰმუდ აბასის პალესტინური ადმინისტრაციაც. არჩევნებზე „ჰამასის“ გამარჯვების შემდეგ მდგომარეობა კვლავ უკიდურესად დაიძაბა.

რუსეთი ცდილობს დაიბრუნოს საბჭოთა კავშირის, ანუ საერთაშორისო ზესახელმწიფოს პოზიციები და კვლავაც პალესტინელებს უჭერს მხარს.

საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ისრაელთან და ამიტომაც თურქეთთან, იორდანიასთან და აზერბაიჯანთან ერთად ხშირად განიხილება მის ახლო აღმოსავლურ

მოკავშირეთა სიაში, განსხვავებით სომხეთის, ირანისა და სირიისა, რომლებიც რუსეთთან და საბერძნეთთან ერთად საპირისპირო თანამშრომლობის ალიანს ქმნიან.

რეგიონის ფეთქებადსაშიში მდგომარეობა, ცხადია, მთელ მსოფლიოზე მოქმედებს. პირველი „ნავთობშოკი“ გასული საუკუნის 70-იან წლებში მოჰყვა არაბეთ-ისრაელის ომს. ნავთობის ფასი 6-ჯერ – 2-დან 12 დოლარამდე – გაიზარდა, რამაც ერთ დღეში ბენზინის ფასი აშშ-ში 25 ცენტრიდან ერთ დოლარამდე ასწია. დღეს ერაყის ომისა და განსაკუთრებით, ირანის (რომელსაც ერაყზე ორჯერ მეტი ნავთობი აქვს) კრიზისის ფონზე ნავთობის ფასმა რეკორდულ ფასს – 70 დოლარს მიაღწია. წელს მნიშვნელოვანი დაცემის შემდეგ ფასებმა ისევ მომატება დაიწყო.

ამჟამად ისრაელის მოსახლეობა დაახლოებით 6.5 მილიონია, მათგან 80%-მდე ებრაელი, ხოლო 15%-მდე არაბია. 1948 წელს მთელს ქვეყანაში 800 ათასამდე ადამიანი ცხოვრობდა, აქედან – 650 ათასი ებრაელი, რაც მსოფლიო ებრაელების სულ 6%-ს შეადგენდა. დღეს ეს ციფრი თითქმის 40%-ს აღწევს. პალესტინის ავტონომიის მოსახლეობა, ოფიციალური მონაცემებით, 3.4 მილიონი ადამიანია, თუმცა აშშ-ს და ისრაელს ეს მონაცემები, დაახლოებით, 40%-ით გადაჭარბებულად მიაჩნია (დოტაციების გასაზრდელად და პოლიტიკური ვაჭრობისათვის).

ისრაელის ებრაელთა სააგენტოს მონაცემებით, მსოფლიოში სულ 12.9 მილიონი ებრაელია. აქედან ისრაელსა და აშშ-ში, თითოეულში, დაახლოებით, 5.2 მილიონი ცხოვრობს, საფრანგეთსა და დსთ-ს ქვეყნებში, - დაახლოებით, ნახევარ-ნახევარი მილიონი. დღეს საბჭოთა კავშირიდან ისრაელში გადასულ ებრაელთა რაოდენობა მილიონს აღემატება და ისრაელის ებრაელობის თითქმის 20%-ს შეადგენს. გადასულებში ბევრია არაებრაელიც - დაახლოებით, 200 ათასი ეთნიკურად რუსები არიან.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 2002 წელს გამართულ ისრაელის რაბინთა ყოველწლიურ შეხვედრაზე ორმა მთავარმა რაბინმა, აშკენაზებისამ (ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკისა და ავსტრალიიდან გამოსული ებრაელები) და სეფარდებისამ (ესპანეთის, ბულგარეთის, საბერძნეთისა და ჩრდილო აფრიკის არაბული და სხვა ქვეყნებიდან გამოსულები), ერთობლივად მოითხოვეს იმიგრაციის შესახებ კანონის გამკაცრება. ებრაელი ორთოდოქსების განცხადებით, რუსებმა მხოლოდ თელ-ავივში 50-მდე ღორის ხორცის მაღაზია გახსნეს, არ სწავლობენ ებრაულ ენას, არ იცავენ რელიგიურ წესებს და ა.შ.

რუსულენოვანი დიასპორა ერთ-ერთი ყველაზე განათლებული იყო ისრაელში, მაგრამ თანდათან, ისრაელში განათლების დასავლური სტანდარტების შემოდებასა და ინგლისური ენის საყოველთაო გავრცელებასთან ერთად, ის კარგავს ამ სფეროში თავის პოზიციებს. თუმცა, უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებზე რუსულენოვან ებრაელთა პოლიტიკურმა ბლოკმა - „ისრაელი ჩემი სახლია“- დიდ წარმატებას მიაღწია და 12 დეპუტატი გაიყვანა.

რაც შეეხება ქართველ ებრაელებს, ისინი კარგად შეეთვისნენ ისრაელის საზოგადოებას და მათი პოზიციები ბიზნესში საგრძნობლად ძლიერდება. ეს განსაკუთრებით ეხება ახალგაზრდა თაობას, რომელიც ისრაელში დაიბადა და დღეს ბევრი მათგანი წარჩინებული ბიზნესმენია. მათ უყვართ საქართველო, ინარჩუნებენ ქართულ ენასა და ტრადიციებს. რაც ძალზედ მნიშვნელოვანია, მათ აქტიურად დაიწყო ბიზნესში ჩართვა საქართველოში, ჩამოაქვთ რა ისრაელში შექმნილი კაპიტალი და გამოცდილება. დიდება უფაღს და მშვიდობა საქართველოსა და ისრაელს! ამინ.

დანართი 2

ქართველები იერუსალიმში (მოკლე ისტორიული ტაბულა)

სახელმწიფო რელიგია	სახელმწიფო კუთვნილება	მართლმადიდებლობის სტატუსი და ქართველთა მდგომარეობა
33-326 წარმართობა	რომის იმპერია (წარმართული)	<p>მართლმადიდებლობა დევნილი რელიგიაა</p> <p>ქრისტიანთა დევნა და წამება, ქრისტიანული სიწმინდეების განადგურება. 136წ. რომის იმპერატორმა ადრიანემ იერუსალიმს „ელია-კაპიტოლია“ დაარქვა და წმინდა ადგილებზე რომაული პანთეონის ღმერთების (კერპების) სალოცავები ააგო.</p> <p>ამავდროულად პალესტინიდან ქრისტიანობამ მთელ რომის იმპერიასა და მეზობელ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, დაიწყო გავრცელება. იბერია ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა გახდა, მცხეთაში უფლის კვართი ჩამოაბრძანეს, მოციქულებმა - ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა, მატათამ – იქადაგეს საქართველოში, ჩამოასვენეს ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი (აწყურის ღვთისმშობელი) და დააფუძნეს ქართული სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია. იერუსალიმიდან ქართლში შემოსულმა კაბადოკიელმა ქალწულმა, მოციქულთასწორმა ნინომ, ქრისტეს რჯულზე მოაქცია საქართველო.</p>
326-638 მართლმადიდებლობა	ბიზანტია	<p>მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიაა</p> <p>ტაძრების, ეკლესია-მონასტრების მშენებლობა, მომლოცველობის (პილიგრიმობის) დაწყება წმინდა მიწაზე.</p> <p>მოციქულთა სწორ წმ. ელენეს მიერ გოლგოთასთან ჩამარხული უფლის ჩამარხული უფლის პატიოსანი ჯვრის მოპოვება. არსებობს გადმოცემა, რომ ჯვარი დედოფალს იქვე მცხოვრებმა ქართველებმა მოაძებნინეს. უფლის საფლავის ეკლესიის აშენება.</p> <p>ქართული კოლონიისა და პირველი ქართული ეკლესია-მონასტრების დაფუძნება პალესტინაში. პეტრე იბერისა და იოანე ღაზის მოღვაწეობა. ეკლესიური ტრადიციით, მეფე მირიანისათვის იმპერატორ</p>

კონსტანტინეს მიერ ჯვრის მონასტრის
ასაშენებლად იერუსალიმთან ადგილის გამოყოფა და
ვახტანგ გორგასლის (502წ.) მიერ იქ ჯვრის მონასტრის
აშენება, მონასტრის დასაცავად ქართული მხედრობის
დასახლება და სოფელ „ვარდის-ღელეს“ (მალქა)
დაარსება, რომლის მკვიდრთაც საუკუნეების მანძილზე
ახსოვდათ ქართული წარმომავლობა ისევე როგორც
სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტრის დაცვისათვის
იქ ჩასახლებულ და შემდეგ გამუსლიმებულ
ქართველებს.

614 წელს იერუსალიმი წარმართმა სპარსელებმა
დაიპყრეს და გადარცვეს. მათ მაცხოვრის პატიოსანი
ჯვარიც გაიტანეს იერუსალიმიდან. მხოლოდ 628
წელს შეძლო ბიზანტიის იმპერატორმა, ერეკლემ,
ჯვრის დაბრუნება იერუსალიმში. მაგრამ 10
წელიწადში იერუსალიმი უკვე ხანგრძლივი დროით
მუსულმანმა არაბებმა დაიპყრეს. სპარსელებისაგან
განსხვავებით, არაბები ბევრად ტოლერანტულები
იყვნენ ქრისტიანებთან და მათ სიწმინდეებთან
მიმართებაში.

638-1099
ისლამი

არაბთა
სახალიფო

მართლმადიდებლობა იდეენება,
ზოგჯერ სასტიკადაც, მაგრამ
ოფიციალურად
აკრძალული არ არის

არაბების მიერ იერუსალიმის დაპყრობისას ხალიფა
ომარმა (634-644) სოლომონის ტაძრის ადგილზე
მეჩეთი ააგო, ქრისტიანებს კი დაცვის სიგელი
გადასცა და მათთან შეთანხმება გააფორმა,
რომელშიც ქრისტიანთა სხვადასხვა ჯგუფს შორის
პირველებად მოხსენიებულნი არიან ქართველები,
როგორც იერუსალიმის
მკვიდრნი, განსხვავებით მოსალოცად ჩამოსული
ფრანკების, კოპტების, სირიელებისა და
სომხებისაგან. ამ დოკუმენტით ქართველები წმინდა
ადგილების მოლოცვისას გათავისუფლებულნი
არიან ყოველგვარი გადასახადებისაგან. მოგვიანებით
ქრისტიანთა დევნა გაძლიერდა და 1009 წელს
ხალიფა ჰაკიმმა დაანგრია მაცხოვრის საფლავის
ეკლესია, ხოლო ყველა ქრისტიანს უბრძანა საჯარო
ადგილებში კისერზე დიდი და მძიმე

		<p>(ნახევარმეტრიანი) ჯვრის ტარება (ისევე, როგორც ფაშისტები აიძულებდნენ ებრაელებს ტანისამოსზე ყვითელი დავითის ვარსკვლავის ტარებას).</p>
<p>1099-1187 კათოლიკობა</p>	<p>ჯვაროსანთა სამეფო</p>	<p>ლათინელი ქრისტიანი ჯვაროსნების დროს მართლმადიდებლობა უფრო იდეენებოდა, ვიდრე არაბების პერიოდში. ესეც მაგალითია იმისა, რომ რელიგიათაშორისი ურთიერთობები უწინარესად ემორჩილება პოლიტიკურ მიზნებს. ბერძენთა სამღვდლოებამ მიატოვა იერუსალიმი. იერუსალიმის კათოლიკე პატრიარქმა დაიმბერტმა სცადა მართლმადიდებლებისა და სხვა არაკათოლიკე ქრისტიანთა საერთოდ განდევნა მაცხოვრის საფლავის ტაძრიდან, მაგრამ წმინდა ცეცხლი არ გარდამოვიდა ლათინელთა სანთლებზე. ქართველები აქტიურად არ ჩანან, მაგრამ მაშინაც პატივისცემით სარგებლობდნენ, ვინაიდან ჯვაროსნები ქართველ მეფეებთან მოლაპარაკებებს მართავდნენ მუსლიმთა წინააღმდეგ ერთობლივი ძალებით ბრძოლის შესახებ.</p>
<p>1187-1524 ისლამი</p>	<p>ეგვიპტელი მამლუქები</p>	<p>ქრისტიანები, მათ შორის - მართლმადიდებლებიც, კვლავაც იღვნებიან, მაგრამ ქართველთა პოზიცია არნახულად მტკიცეა, მნიშვნელოვანწილად ეგვიპტის სულთნებთან კარგი ურთიერთობების გამო, მათი პრივილეგიები ძალაში რჩება. ჯვაროსნების გაძევების შემდეგ წლების მანძილზე მხოლოდ ქართველი ბერები იცავდნენ მაცხოვრის საფლავს, ფლობდნენ მაცხოვრის საფლავის სამლოცველოს გასაღებს და გოლგოთას, ცხოვრობდნენ მაცხოვრის საფლავის ეკლესიაში.</p>
<p>1524-1908 ისლამი</p>	<p>ოსმალეთის იმპერია (თურქეთი)</p>	<p>ქრისტიანები, მათ შორის -მართლმადიდებლები, კვლავაც იღვნებიან, მაგრამ მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებოდა. თურქების მიერ იერუსალიმიდან მამლუქების გაძევების შემდგომ, ოსმალეთის იმპერიის სიძლიერის მიუხედავად, პირველ ხანებში მათ გაუჭირდათ იერუსალიმის დაცვა, ვინაიდან იმპერია რამდენიმე ფრონტზე აწარმოებდა ბრძოლას გაფართოებისათვის. იერუსალიმელი არაბების გავლენის შესასუსტებლად, რომელთა ნაწილიც მხარს ისევ მამლუქებს უჭერდა, (ვინაიდან მამლუქების იაუბიდების დინასტია არაბული წარმომავლობისა იყო) ,ოსმალოებმა ებრაელებისა</p>

და ქრისტიანების გაძლიერება და იერუსალიმში ჩასახლება დაიწყო, რათა მათში დასაყრდენი მოეპოვებინათ. აქაც პოლიტიკურმა მოტივებმა სძლიეს რელიგიურს.

სწორედ მაშინ, იცოდა რა ქართველთა საბრძოლო თვისებები და სათუთი დამოკიდებულება წმინდა მიწისადმი, სულთანმა სულეიმანმა 1525 წელს ქართლის მეფე გიორგი IX-ს (1526-1527), იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს (1510-1565), და კახეთის მეფე ლევანს (1518-1574) შესთავაზა იერუსალიმის დაცვაში მონაწილეობის მიღება. მეფეებს შეუერთდა სამცხის ათაბაგი ყვარყვარეც (ათაბაგები მაშინ ქრისტიანები იყვნენ და იერუსალიმში ეკლესიაც ჰქონდათ აგებული). მათ გაერთიანებულ ლაშქარს იერუსალიმი დაუკავებია. სულთანმა ამისათვის მათ გადასცა წმინდა ადგილნი: საფლავი უფლისა, გოლგოთა, ბეთლემი და ჯვრის მონასტერი. კახეთის მეფე ლევანმა იერუსალიმიდან წამოიღო ნაწილი ცხოველმყოფელისა ჯვრისა, რომელიც უძვირფასესი თვლებით შეამკო და კახეთის ალავერდის სამიტროპოლო ტაძარში დაასვენა. მანვე იერუსალიმის საპატრიარქოს სოფელი „აღდგომა“ უბოძა.

თურქეთის იმპერიაში, სულთან მაჰმედ II-დან მოყოლებული მე-17 საუკუნემდე ყველა მუსლიმი მმართველი აახლებდა ხალიფა ომარის მიერ იერუსალიმის პატრიარქისადმი გაცემულ დაცვის ფირმანს; მაგრამ მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან, კათოლიკეთა და სომეხთა ინტრიგების წყალობით, მართლმადიდებლების პოზიციები შესუსტდა და ფირმანი აღარ განახლებულა. ქართველებმა დაკარგეს ყველა თავისი ეკლესია-მონასტერი და პრივილეგია.

XIX საუკუნეში ოსმალეთის იმპერიაში მიღებული იყო კანონი რწმენის თავისუფლების შესახებ, რომლის ძალითაც სახელმწიფომ ოფიციალურად ცნო კათოლიკეთა, ბერძენ-მართლმადიდებელთა და სომეხ-მონოფიზიტთა,

ისევე, როგორც ებრაელების, რელიგიური უფლებები. ახალი კონსტიტუციით, თურქეთში ეროვნულ უმცირესობებად, რომელთაც თავიანთი წარმომადგენლები უნდა ჰყოლოდათ სახელმწიფო მართვის ორგანოებში, სწორედ ამ რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლები განისაზღვრნენ. ვინაიდან თურქეთის იმპერიაში (ისევე როგორც რუსეთში) აღწერა ხდებოდა

		<p>რელიგიური, და არა ეთნიკური, ნიშნით, ქართველთა უდიდესმა ნაწილმა თურქეთში ისლამი მიიღო და თურქებად აღიწერებოდნენ.</p> <p>თურქეთის იმპერიაში, სულთან მაჰმედ II-დან მოყოლებული მე-17 საუკუნემდე, ყველა მუსლიმი მმართველი აახლებდახალიფა ომარის მიერ იერუსალიმის პატრიარქისადმი გაცემულ დაცვის ფირმანს; მაგრამ მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან, კათოლიკეთა და სომეხთა ინტრიგების წყალობით, მართლმადიდებლების პოზიციები შესუსტდა და ფირმანი აღარ განახლებულა. ქართველებმა დაკარგეს ყველა თავისი ეკლესია-მონასტერი და პრივილეგია.</p> <p>XIX საუკუნეში ოსმალეთის იმპერიაში მიღებული იყო კანონი რწმენის თავისუფლების შესახებ, რომლის ძალითაც სახელმწიფომ ოფიციალურად ცნო კათოლიკეთა, ბერძენ-მართლმადიდებელთა და სომეხ-მონოფიზიტთა, ისევე როგორც ებრაელების, რელიგიური უფლებები. ახალი კონსტიტუციით, თურქეთში ეროვნულ უმცირესობებად, რომელთაც თავიანთი წარმომადგენლები უნდა ჰყოლოდათ სახელმწიფო მართვის ორგანოებში, სწორედ ამ რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლები განისაზღვრნენ. ვინაიდან თურქეთის იმპერიაში (ისევე როგორც რუსეთში) აღწერა ხდებოდა რელიგიური, და არა ეთნიკური, ნიშნით, ქართველთა უდიდესმა ნაწილმა თურქეთში ისლამი მიიღო და თურქებად აღიწერებოდნენ.</p>
<p>1908-1947 ანგლიკანური ქრისტიანობა</p>	<p>დიდი ბრიტანეთის კოლონია</p>	<p>ახალი კანონი რელიგიის შესახებ არ მიუღიათ. მართლმადიდებელთა ინტერესებს ისევ ბერძენი პატრიარქები გამოხატავდნენ. ქართველები, ცხადია, არ ჩანან.</p>
<p>1947 დღემდე იუდაიზმი</p>	<p>ისრაელი</p>	<p>ახალი კანონი რელიგიის შესახებ ისრაელსაც არ მიუღია და ქვეყანაში ისევ თურქეთის იმპერიის დროს მიღებული კანონებითაა რეგულირებული კონფესიათაშორისი ურთიერთობები: ქრისტიანები ოფიციალურად წარმოდგენილნი არიან კათოლიკეებით, ბერძენები მართლმადიდებლებითა და მონოფიზიტი სომეხებით, თუმცა თავისი საეკლესიო მისიები აქვთ პროტესტანტებსაც, რუს მართლმადიდებლებსაც, სირიელ, კოპტ და ეთიოპიელ მონოფიზიტებსაც.</p> <p>ქართველებმა დაიწყეს წმინდა მიწაზე დაბრუნება. ბეთლემში დაარსდა საქართველოს საპატრიარქოს</p>

რელიგიურ-კულტურული ცენტრი, რომელშიც წმინდა ნინოს დედათა მონასტერი მოქმედებს. ლოდში, წმინდა გიორგის ქალაქში, გაიხსნა ქართული სახლი. ქართველ პილიგრიმთა მოძრაობა მასობრივი გახდა.

დანართი3.

საქველმოქმედო ფონდის - “სასულიერო აკადემიის”-ს შესახებ

საქველმოქმედო ფონდი „სასულიერო აკადემია“ დაეფუძნეთ ამ წიგნის ავტორმა, მაია რჩეულიშვილმა და რუსუდან კერვალიშვილმა 2006 წლის დასაწყისში საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, ილია მეორის, კურთხევების შესასრულებლად. კერძოდ, ფონდის მთავარი მიზანია სახსრების შეგროვება სამების ტაძრის ტერიტორიაზე სასულიერო აკადემიის ახალი შენობის ასაგებად. სამუშაოები უკვე დაიწყო.

ფონდის მთავარი მიღწევაა სახსრების შეგროვება, რომლითაც შევიძინეთ იქნა სამოთახიანი სახლი თურქეთში, ართვინის მახლობლად, ისტორიულ ხანძთაში, წმ. გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებული ტაძრის ეზოში. ვინაიდან თურქეთის სასაზღვრო რაიონებში ჯერ აკრძალულია უძრავი ქონების უცხოელებისათვის მიყიდვა, სახლი ფორმალურად გაფორმდა კომპანია “ცენტრ პოინტის” ერთ-ერთი თურქი პარტნიორის სახელზე, რაც მის მიერ დადასტურებულია ოფიციალური ხელშეკრულებით. სახლის საყიდლად საჭირო თანხა შემოსწირეს “ცენტრ-პოინტის”, დიდი დიდმის - “ოაზისის” და ვაშლიჯვრის - “დაკიდული ბაღების” მშენებლობებმა - 30 000 ამერიკული დოლარი (მთავარი მენეჯერი, მაია გვიმრაძე) და პირადად გურამ რჩეულიშვილმა - 10 000 ამერიკული დოლარი.

ამასთან ერთად ფონდი მიზნად ისახავს მოსახლეობის რელიგიურ განათლებაში მონაწილეობას, რისი მაგალითიც ეს წიგნია. წიგნის პირველი გამოცემა გამოვიდა 2006 წლის აპრილში და დაურიგდა ადღგომას წმინდა მიწაზე ჩასულ ქართველ პილიგრიმებს. ამჟამად, მზადდება მასალები ათონის წმინდა მთაზე და ამაღფიას (იტალია) წმ. ანდრია პირველწოდებულის მონასტერზე, სადაც მისი წმინდა ნაწილებია დაკრძალული.

ფონდი ასევე აფინანსებს სამეცნიერო კვლევებს ისტორიის ღვთისმეტყველების სფეროში, რაზედაც ხელშეკრულება გააფორმა საქართველოს პოლიტოლოგთა ასოციაციასთან, და რამდენიმე სხვა საქველმოქმედო პროექტს, მათ შორის ბათუმისა და ქობულეთის ეპარქიასთან არსებული საბავშვო სახლის აღსაზრდელთათვის.

პროექტსა და წიგნში გამოყენებული წყაროების შესახებ (ბიბლიოგრაფია) ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ჩვენს ვებ-გვერდზე

წვწ.ტჰჰოჰისტორე.გე

ფონდის მისამართი:

თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 66

დანართი 4.

“რა ბედნიერებაა იყო ქართველი!” ანუ ქართველები უფლის საფლავზე

როგორც დავრწმუნდით, წმინდა მიწაზე ქართველების როლი ნამდვილად ისტორიული და უნიკალურია. ერთია, როდესაც ამაზე ქართული საეკლესიო ტრადიცია მოგვითხრობს. მაგრამ ისტორიკოსისთვის აუცილებელია სხვა წყაროების მიერ ამ ფაქტების დადასტურება. თორემ, ცოტა არ იყოს, ჩვენს პატივცემულ მეზობლებს დავემსგავსებით, როდესაც ამტკიცებენ, ქართველებს ანბანი ჩვენ შევუქმენითო, მცხეთის ჯვარიც ჩვენ ავაგეთო და შოთა რუსთაველიც ჩვენებურიაო. ამ დროს ერთადერთი, რასაც სხვა წყაროებიც ადასტურებენ, არის ის, რომ წმინდა მიწაზე ქართველების მონასტრებისა და ეკლესიების ნაწილი სწორედ მათ უკავიათ. ამიტომაც არის ჩვენთვის ასეთი მნიშვნელოვანი, როდესაც წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევის ამბავს მე-4-5 საუკუნის სომხური და ბერძნული წყაროები ადასტურებენ, როდესაც საქართველოზე, როგორც ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაზე, დიდი რუსი საეკლესიო მამები, წმ. სერაფიმ საროველი და წმ. დიმიტრი როსტოველი, მოგვითხრობენ, როდესაც ბაგრატიონების ბიბლიურ წარმომავლობაზე სომეხი და ბიზანტიელი ისტორიკოსები მსჯელობენ, მათ შორის თავად ბიზანტიის იმპერატორი - კონსტანტინე პარფიროგენეტიც, რომელიც თავის ცნობილ ნაშრომში “ იმპერიის მართვის შესახებ” ხაზს უსვამს ქართველების განსაკუთრებულ ურთიერთობებს წმინდა მიწასთან და იერუსალიმთან. ამასვე აღნიშნავს უამრავი მუსლიმი ავტორი. მაგრამ ყველაზე მეტი მასალა ქართველების უნიკალურ როლზე წმინდა მიწაზე შემოგვინახეს კათოლიკე, ანუ კათოლიკურ ეკლესიაში დაცულმა არქივებმა, ვინაიდან, ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდიდან მოყოლებული, ვატიკანი არ ანელებს მცდელობას წმინდა მიწის ქრისტიანული სიწმინდეები თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს. ერთ-ერთი ასეთი ჩვენთვის საინტერესო ნაშრომის ავტორია წმინდა მიწის ისტორიის თვალსაჩინო თანამედროვე მკვლევარი, წმინდა მიწაზე ფრანცისკანელთა მონასტრის ბიბლიოთეკარი, მამა საბინო დე სანდოლი (ატჰერ შაბინო ე შანდოლი - იბრარინ ოფ ტჰე ჩენტრალ იბრარე ოფ ტჰე ჩუსტოდე ოფ ტჰე ოლფ ანდ ატ ტჰე ონასტერე ოფ ურ შავიოურ). მისი სამეცნიერო ავტორიტეტი ემყარება იმ უამრავ უნიკალურ დოკუმენტურ მასალას, რომელიც საუკუნეების მანძილზე ბიბლიოთეკაში დაგროვდა. მაგალითად, წმინდა მიწაზე ჯვაროსნული ლაშქრობებისა და იერუსალიმის ლათინური სახელმწიფოს (1100-1291 წ.წ.) შესახებ მის მიერ გამოცემული ოთხტომეული 2100 გვერდისაგან შედგება და XI-XIII საუკუნის 70 ხელნაწერს აღწერს. მის ნაშრომებში საქართველოს, უფრო სწორად კი წმინდა მიწაზე ქართველების მოღვაწეობას, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ამიტომაც ჩემს ნაშრომს თან ერთვის ცნობილი ვატიკანელი ისტორიკოსის, საბინო დე სანდოლის „წიგნიდან ამონაწერი „წმინდა ადგილების მშვიდობიანი გათავისუფლება XIV საუკუნეში“, სადაც მოთხრობილია ჯვაროსნების წმინდა მიწიდან გაქეპების შემდეგ ქრისტიანებისათვის ჩამორთმეული წმინდა ადგილების დაბრუნების პროცესზე. თუ რამდენად უნიკალური იყო ამ მოვლენებში და, საერთოდ, წმინდა მიწაზე ქართველების როლი, თავად განსაჯეთ. აკრის დაცემის (ჯვაროსანთა უკანასკნელი დასაყრდენი წმინდა მიწაზე-ვრ.) შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში დასავლეთის მთავრობები საუბარსაც კი ვერ

ბედავდნენ წმინდა ადგილების დაბრუნებაზე ან ღვთისმსახურების აღდგენაზე. როგორც აღნიშნავდნენ, ეს იყო შედეგი ან ეგვიპტის მთავრობის არასტაბილურობისა, ან იმისა, რომ თავად ეს თემა ძალზედ ფეთქებადსაშიშად რჩებოდა. მისი განხილვა მხოლოდ ხანგრძლივი კეთილი ურთიერთობების დამყარების შემდეგ იყო შესაძლებელი. მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისში, მუჯირ-ედ-დინის ქრონიკის მიხედვით, იერუსალიმს ეწვია საქართველოს მეფის საელჩო (25 ივლისი 1305 წ.). საელჩოს შემადგენლობაში აგრეთვე იყვნენ კონსტანტინოპოლის იმპერატორის, ანდრონიკე პალეოლოგის, წარმომადგენლებიც. საელჩოს მიზანი იყო, ეთხოვა სულთანის მოადგილისათვის, რომელიც სულთანის სახელით მოქმედებდა, ჯვრის მონასტრის დაბრუნება, რომელიც იერუსალიმისაგან ორი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. აკრის დაცემის შემდეგ (1291) ის ოკუპირებული იყო არაბთა მიერ (1293). დიდი მეცადინეობის შედეგად ის დაუბრუნდა ქართველ ბერებს. ამ წარმატებულმა მცდელობამ შეაგულიანა ქართველი ბერები, კვლავ მიემართათ სულთანისათვის. კონსტანტინოპოლის იმპერატორის შუამდგომლობით, ისინი მოითხოვნდნენ, მათთვის გადაეცათ გოლგოთა. (1308). ალბათ, ამ გარემოებათა გამო მათ შეძლეს გოლგოთაზე დაბრუნება და ის, რომ მიიღეს უფლება, ორი ბერი დარჩენილიყო წმინდა საფლავის ეკლესიაში. მათი ყოფნა ამ ადგილზე დაადასტურეს დასავლელმა პილიგრიმებმა ოცი წლის შემდეგაც. ზუსტად უცნობია, როდის მიიღეს ქართველებმა წმინდა საფლავის გასაღები. ისინი ფლობდნენ მათ 1340-1345 წლიდან.

ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეგვიპტის სულთანის მხრიდან ამ დათმობის შემდეგ ქრისტიანებმა ისევ განაახლეს ღვთისმსახურება (საუბარია უფლის საფლავზე-ვ.რ.), მიუხედავად იმისა, რომ ეს მარტივ და დახურულ ფორმას ატარებდა (ე.ი. წლების მანძილზე წირვა-ლოცვას უფლის საფლავზე მხოლოდ ქართველი ბერები ადავლენდნენ!!!-ვ.რ.) გასაკვირი არ არის, რომ ქართველებმა აღადგინეს წმინდა ჯვრის მონასტერი და ეკლესია. აქ მათი საკუთრება ეჭვგარეშეა, ვინაიდან შენობა დატოვებული იყო იმ მოვლენებამდე მხოლოდ რამდენიმე წლით ადრე. გასაკვირია სულთანის არაჩვეულებრივი კეთილგანწყობა, რომელიც ბერების დაშვებაში გოლგოთაზე და მათთვის წმინდა საფლავის ეკლესიაში დარჩენის უფლების მიცემაში გამოიხატა. ეჭვგარეშეა, რომ ამას ჰქონდა თავისი მიზეზები, რომლებმაც სულთანის გადაწყვეტილებაზე იმოქმედეს. ალბათ, თუ დაუბრუნდებოთ ისტორიის ფურცლებს, ჩვენ შევძლებთ, უკეთ გავიგოთ ეს მოვლენები.”

“ქართველები ძალიან ადრე გაქრისტიანდნენ. ისინი მონაწილეობდნენ ნიკეის (325წ.) საეკლესიო კრებაზე. ეკლესიურად ისინი დამოკიდებულნი იყვნენ ანტიოქიის საპატრიარქოზე. პოლიტიკურად ისინი ბიზანტიის იმპერიის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდნენ. ყოველივე ეს განმარტავს, რატომ მიიღო ბერძნული წესი მათმა ეკლესიამ და რატომ იყენებენ ისინი ლიტურგიისას ბერძნულ ენას. ქართველები არაბთა, თურქთა, სპარსელთა და მონღოლთა დაპყრობის მსხვერპლნი იყვნენ, რომლებიც მათ გამაჰმადიანებას ცდილობდნენ. ქართველები, როგორც ბრძოლაში უშიშარი, ისევე, რწმენაში მტკიცენი აღმოჩნდნენ. ბევრი უბედურების მიუხედავად, საქართველო საეკლესიო აქტივობის მუდმივი წყარო იყო. უკვე მეოთხე საუკუნის ბოლოდან ქვეყანა აგზავნიდა ბევრ ბერს, რომელსაც აღმოაჩენდით ბიზანტიის მთელ იმპერიაში: ანტიოქიასა, კვიპროსში, ბითონიაში, ათონის მთაზე, ისევე როგორც კონსტანტინოპოლშიც. მათ დააფუძნეს უამრავი მონასტერი პალესტინაში. მათ შორის იყო წმინდა საბას მონასტერი იერუსალიმის მახლობლად, იუდეის უდაბნოში. აღსანიშნავია აგრეთვე ის მონასტერი, რომელიც მდებარეობს წმინდა იაკობ დიდის ჩაქოლვის ადგილზე (ნაყიდი სომეხთა მიერ XV11 საუკუნეში), და

ადრე ნახსენები წმინდა ჯვრის მონასტერი, რომელიც აშენდა, ან აღდგენილ იქნა 1040 წელს.. ამას გარდა იყო მრავალი ნაკლებად მნიშვნელოვანი ადგილი (აი, ასე უნდა საბუთდებოდეს ისტორიული პრეტენზიები! - ვ.რ.).

ქართველები ფართოდ და მძლავრად იყვნენ წარმოდგენილნი წმინდა მიწაზე. 1050 წლიდან მათ მიადწიეს უფლებას, მონაწილეობა მიეღოთ წირვაში წმინდა საფლაავზე. იმავე წელს მათმა მეფემ, ბაგრატმა, სთხოვა კონსტანტინოპოლის იმპერატორ კონსტანტინე XI მონომახს გოლგოთის ნახევარი. სავარაუდოდ, ეს სამხრეთ ნახევარი იყო. (დღეს გოლგოთის ეს ნაწილი თავად ლათინელებს ეკუთვნის. სომხებისაგან განსხვავებით, ისინი არ მაღავენ, რომ ქართველთა საკუთრებას ფლობენ დღეს.

ამიტომაც, მათთან მოლაპარაკება საკუთრების გარკვეული ნაწილის დაბრუნებაზე ძალზედ პერსპექტიულად მეჩვენება-ვ.რ.). მან ასევე ითხოვა ქართველი ეპისკოპოსის დაშვება იერუსალიმში. ქართველი ეპისკოპოსი იყო იერუსალიმში თურქების მოსვლამდე (1071 წ.). ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდის პილიგრიმები არ აღნიშნავენ ქართველების ყოფნას წმინდა საფლაავზე, ალბათ, იმიტომ, რომ ისინი ბერძნული წესის არაბ მრევლთან ერთად მონაწილეობდნენ საეკლესიო დღესასწაულებში (ვინაიდან ჯვაროსნების დროს ყველა მართმადიდებელი პრაქტიკულად განდევნილი იყო ტაძრიდან და მხოლოდ ლათინელები დაეპატრონენ მას. - ვ.რ.).

XIII-XIV საუკუნეებში ქართველები გამორჩეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ სხვა ქრისტიანებს შორის. განსაკუთრებით 1250 წლის შემდეგ, მამლუქი სულთანების დინასტიის მმართველობის პერიოდში. ჯეიმს დე ვიტრი (ჟამეს დე Vიტრე (1226) წერდა, რომ, სანამ სხვა ქრისტიანებს უჭირდათ იერუსალიმში მოხვედრა და ძალზედ გაჭირვებულად არსებობდნენ იქ, ქართველებს ქალაქში თავისუფლად შესვლა შეეძლოთ. ფაქტია, რომ, როდესაც ქართველი პილიგრიმები ჩამოდიოდნენ, ისინი ქალაქში შედიოდნენ აღმართული გაშლილი დროშებით. მათ არ ახდევინებდნენ ქრისტიანებისათვის დაწესებულ გადასახადს.

ბევრი ქართველი მსახურობდა ეგვიპტელთა ჯარში, რომელიც იცავდა როგორც ევიპტეს, ასევე დაპყრობილ ტერიტორიებს. მათ შექმნეს მამაცი და მორწმუნე მეომართა კორპუსი. ამიტომ მათ გარკვეული გავლენა ჰქონდათ კაიროს ხელისუფლებაზე და მათი უბრალო თანამემამულეები სარგებლობდნენ მათი დაცვით და პრივილეგიებით. სულთანმა ენ-ნასერმა კარგად იცოდა, რომ ათასობით ქართველი ასევე მსახურობდა მონღოლთა ჯარშიც. ეს არ აწუხებდა მას, ვინაიდან მან ასევე იცოდა, რომ იყვნენ სხვა მამაცი ქართველებიც, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ მის მამლუქურ რეჟიმს საკუთარ სამხედრო ძალებში.

ამ მიზეზით ადვილი გასაგებია, საიდან ჰქონდათ ქართველ სასულიერო პირებს რწმენა და გამბედაობა, ეთხოვათ ეგვიპტის სულთანისათვის წმინდა ჯვრის ეკლესია იერუსალიმში, გოლგოთა, ორი ბერის ყოფნა წმინდა საფლაავის ეკლესიაში და როგორ დაეუფლნენ ისინი უფლის საფლაავის გასაღებს.” (იხ. შაბინო ე შანდოლი, ინტერნეტის მისამართი.

პტტპ://წწწ.ცპრისტუსრეს.ორგ/წწწ2/ლიბერატონ/ინდეს.პტმლ№პარტ3 თარგმანი ჩემია- ვ.რ.)

მე ადრეც მსმენია, რომ ქართველებს გოლგოთა გვეკუთვნო დაო, მაგრამ, წმინდა ცეცხლის გარდამოსვლისას უფლის საფლაავის სამლოცველოსთან საპატიო სტუმრების ტრიბუნაზე მოხვედრილი, იმას როგორ ვიფიქრებდი, რომ ეს ადგილი შემთხვევით კი არ დამიკავებია, არამედ წინაპრების დამსახურების გამო მეკუთვნის-მეთქი. ათწლეულების მანძილზე მხოლოდ ქართველი ბერები იცავდნენ წმინდა საფლაავის ამ სამლოცველოს და წირვა-ლოცვასაც მხოლოდ

ისინი ადავლენდნენ უფლის საფლავზე! მიმიხვდებით, რატომ ვუყურებდი, როგორც წმინდა მიწის ახალბედა სტუმარს, ზემოდან-ქვემოთ (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) ტრიბუნის ქვეშ მდგარ მოსკოვის მერს. ალბათ, გასაგებია, რატომ ვფიქრობ იერუსალიმში მოხვედრილი: “დიდება უფალს! რა ბედნიერებაა, იყო ქრისტიანი, რა ბედნიერებაა, იყო ქართველი!” ანუ ერთი ცნობილი ნათქვამის პერიფრაზი რომ გავაკეთოთ, “მე ქართველი ვარ, მაშასადამე, მართლმადიდებელი ვარ”!

დანართი 5

როგორ დაგბრუნდით წმინდა მიწაზე (ბეთლემისა და ლოდის სახლების შექმნის შესახებ)

2002 წლის გაზაფხულზე უწმინდესმა და უნეტარესმა, კათალიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ ლოცვა-კურთხევა მომცა, სათავეში ჩავდგომოდი წმინდა მიწაზე ეკლესიის ასაგებად ნაკვეთის შექმნას. აღმოჩნდა, რომ ამისათვის დაახლოებით 180 000 დოლარი იყო საჭირო. რომ შევბედე, ამოდენა თანხა არა მაქვს-მეთქი, უწმინდესმა მიპასუხა: “შვილო, ამ საქმეს ხელი მოკიდე და ფული მოგივაო”. ეს სიტყვები ჩვეულებრივ გამხნეველად მივიღე. მეორე დღესვე ნაკვეთის შექმნას ხელი ჩემმა მეუღლემ, მაიამ, და მისმა დამ, რუსუდანმა, მოჰკიდეს, ვინაიდან უკვე უძრავი ქონების სფეროში მოღვაწეობდნენ. ისრაელიდან ფაქსით ნაკვეთის გეგმა გამოითხოვეს. ამ დროს ოთახში “ცენტრ-პოინტი” ახალი კლიენტი შემოსულა და შემთხვევით ეს გეგმაც დაუნახავს. როდესაც უწმინდესის კურთხევა შეუტყვია, უთქვამს: “თქვენ თუ ბანკს მაყიდინებთ, მე ამ ნაკვეთს გაყიდინებთო”. ეს კაცი აღმოჩნდა რუსეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი ბიზნესმენი მამუკა ჯინჭარაძე. სულ მალე მამუკა ბანკის მფლობელი გახდა (დღევანდელი “სახალხო ბანკი”), ბეთლემში ეკლესიისათვის სახლი შევიძინეთ, ხოლო “ცენტრ-პოინტი” საქართველოში უმსხვილეს უძრავი ქონების კომპანიად იქცა, ანუ ფული მართლაც მოგვივიდა. აი, რა ძალა ჰქონია უწმინდესის ლოცვა-კურთხევას!

ამავე ისტორიამ სხვა რამეც დაგვანახა: ყველა დიდი ეროვნული საქმის კეთებას, თუნდაც ეს ეკლესიისათვის ასეთი სასიკეთო საქმე იყოს, უამრავი წინაამდგეობა ექმნება. უდიდესი ბრძოლები დაიწყო მის ჩასაშლელად. მათ შორის იმ ადამიანების მხრიდანაც, ვისაც ჩვენთვის ხელის შეწყობა სამსახურეობრივადაც ევალებოდა. თითქოსდა წმინდა მიწა განწირულია მუდმივი დაპირისპირებისათვის. ბიბლიის მიხედვით, ასეც არის. ამიტომ სწორედ იერუსალიმში იგრძნობა ყველაზე მეტად კეთილისა და ბოროტის დაუსრულებელი ბრძოლა. აქ შეგნებულად არ ვასახელებ იმ ადამიანებს, ვინც ხელს გვიშლიდა სახლის შექმნაში. ასეთებს ისტორია უბრალოდ ივიწყებს. ახსოვთ საქმის მკეთებლები. ჩვენი ოჯახის წევრები, უწინარესად მაია და რუსუდანი, ბედნიერები ვართ იმით, რომ მამუკა ჯინჭარაძესთან, მაია ილიასთან (ნასიძე) და დედა ევგენიასთან (მახარაძე) ერთად შევასრულეთ უწმინდესის ლოცვა-

კურთხევა და მონაწილეობა მივიღეთ ბეთლემში სახლის შექმნის საქმეში. ცხადია, ამაში ბევრი სხვა ადამიანიც დაგვეხმარა, მათ შორის მამუკა ჯინჭარაძის ძმა დიმიტრი, ვის სახელზეც გაფორმდა ბეთლემის სახლი საპატრიარქოსათვის გადაცემამდე, და პალესტინელი ადვოკატით - რაიდ ამაია. ჩვენი წამოწყება, ღვთის წყალობით, უამრავმა

ადამიანმა აიტაცა. ბეთლემის წმინდა ნინოს მონასტერში ქართველ მომლოცველთა ჯგუფმა კარის ეკლესია ააგო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდების აქტიური ჩაბმა ამ საშვილიშვილო საქმეში. ნიკა ალავიძემ, აჩიკო გუგუნიამ, გიორგი ისაკაძემ, ნიკა ბერიძემ, გურამ რჩეულიშვილმა, მერი გვერდწითელმა და ბევრმა მათმა თანატოლმა და მეგობარმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქველმოქმედო ფონდის

- “წმინდა მიწა” დაფუძნებაში, რომელთა სახსრებითაც შეიძინეს “ქართული სახლი” ლოდში. ფონდის დამფუძნებელთაგან განსაკუთრებით გამოვყოფდი ჩვენს ებრაელ მეგობრებს, გიორგი ბინიაშვილსა და ისრაელ ბოთერაშვილს, რომელთა ღვაწლი საგანგებოდ დააფასა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ. ფონდის დამფუძნებელთა და შემომწირველთა სრული სიის გამოქვეყნებას დაგვიპირდა მამა ილია ნასიძე, რასაც, ალბათ, უახლოეს დროს გავაკეთებთ. მანამდე კი მათი გამორჩევა შეგიძლიათ განსაკუთრებული ვერცხლის ან ოქროს სამაჯურით, რომელიც ფონდის წევრებისათვის უწმინდესის ღვთაება-კურთხევით დამზადდა.

ბეთლემის მნიშვნელობა ყველა ქრისტიანისათვის ცნობილია. აქ განკაცდა, ანუ დაიბადა მიწიერად, მაცხოვარი იესო ქრისტე. ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ეკლესიამ ქონების აღდგენა წმინდა მიწაზე რომ ბეთლემიდან დაიწყო, ამაში, ცხადია, უფლის ნებაა.

ბეთლემი პალესტინის ავტონომიის ტერიტორიაა. იქ მოსახვედრად ისრაელის გამშვები პუნქტი უნდა გაიარო. დღეს ბეთლემელ ქრისტიანებს უჭირთ, თუ გასულ საუკუნეში მოსახლეობის 60 % ქრისტიანი იყო, ამჟამად მათი რაოდენობა 25 000 კაცს შეადგენს, ანუ მოსახლეობის 20%-ზე ნაკლებია. ბეთლემში ჩაასახლეს უამრავი პალესტინელი დევნილი, რამაც მუსლიმთა რაოდენობა მკვეთრად გაზარდა. მოსახლეობის 30% ჰამასის წევრია და ადგილობრივი არჩევნებიც მათ მოიგეს, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა ქრისტიანთა მდგომარეობა. ამ პირობებში ახალი ქრისტიანული მონასტრის გახსნა, ნამდვილად, საშური საქმეა არა მარტო საქართველოსათვის, არამედ თავად ქრისტიანი პალესტინელებისა და, საერთოდ, ყველა ქრისტიანისათვის.

სწორედ ამ მონასტრის მოლოცვისას, ზემოთხსენებულ ახალგაზრდა ქართველ პილიგრიმებს მოუვიდათ მონასტრის გვერდით არსებული ნაკვეთის შესაძენად ფულის შეგროვების იდეა. შესაბამისი დავალება მიეცა იმავე რაიდ ამიას, ადვოკატს, რომელიც მათ რჩეულიშვილმა პირველი სახლის შესაძენად დაიქირავა, და რომელმაც არა მარტო ბოლომდე მიიყვანა ის საქმე, არამედ შემდგომშიც არა ერთხელ დაეხმარა მონასტრის მონაზვნებს. ის არაბი ქრისტიანია, საპატრიარქოს იურისტი და დედამისთან ერთად ქართული მონასტრის ხშირი სტუმარი. (ქართველები რომ გაიცნო, მას შემდეგ დედამისი ქართველ რძალზე ოცნებობს!) მეზობელმა ნაკვეთი 300 000 ლლარი დააფასა. შეიქმნა საგანგებო ფონდი და, როგორც მოგახსენეთ, თანხაც მალევე შეგროვდა. მაგრამ მოულოდნელად მეზობელმა პირობა შეცვალა და თანხა 700 000-მდე გაზარდა. მაშინ, მათ რჩეულიშვილის წინადადებით და კათალიკოს-პატრიარქის ღვთაება-კურთხევით, გადაწყდა ახალი სახლის შექმნა არა ბეთლემში, სადაც მონასტერი უკვე არსებობდა, არამედ ლოდში, ეს მოხდა რამდენიმე მიზეზის გამო: ჯერ ერთი, რომ ლოდი ისრაელის ტერიტორიაზე მდებარეობს, იერუსალიმსა და თელ-ავივს შორის, სწორედ ლოდშია განლაგებული ბენ-გურიონის სახ. საერთაშორისო აეროპორტი;

მეორე, რომ ლოდში ბევრი ქართველი ებრაელი ცხოვრობს, მათ შორის ჩვენი ოჯახის მეგობარი - ისრაელ ბოთერაშვილიც, რომელიც გია ბინიაშვილთან ერთად არა მარტო სახლის ყიდვაში დაგვეხმარა, არამედ დღესაც ყურადღებას არ აკლებს “ქართულ სახლს”. დიახ, ასეთი ოფიციალური სტატუსი მიანიჭა ლოდის მუნიციპალიტეტმა ახლადშექმნილ ქონებას, რაც, ერთი მხრივ, საქართველოსადმი ისრაელის

ხელისუფლების კეთილგანწყობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ისრაელში და, კერძოდ, ლოდში ქართველი ებრაელების მაღალ ავტორიტეტზე მიგვანიშნებს. რაც მთავარია, ლოდიც ნამდვილად წმინდა ადგილია ქრისტიანთათვის, განსაკუთრებით კი ქართველებისთვის, ვინაიდან აქ მდებარეობს წმინდა გიორგის საფლავი, სადაც აშენებულია მართლმადიდებლური ეკლესია. წმ. გიორგი ხომ საქართველოს ზეციური მფარველია. სწორედ მის სახელზეა აგებული საქართველოში ყველაზე მეტი ეკლესია. უნდა აღვნიშნოთ, რომ წმინდა გიორგის უდიდეს პატივს მიაგებენ არა მარტო ქრისტიანები, არამედ მუსლიმებიც. წმ. გიორგის სახელზე მეჩეთიც კი არის აგებული მისი საფლავის ეკლესიის გვერდით. ბეთლემში მცხოვრები არაბები მას აღ-ხურდს უწოდებენ და ქრისტიანები და მუსლიმები ერთად ლოცულობენ მის სალოცავში. მუსლიმები ბავშვებსაც კი ნათლავენ, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ იქ მონათლული ბავშვი უფრო ჯანმრთელია. მუსლიმების ასეთი დამოკიდებულება ქრისტიანული სიწმინდეების მიმართ არ არის ახალი, რაზეც უკვე მოგახსენეთ. მთავარია, რომ ასეთი ფაქტები კარგად უნდა იცოდნენ როგორც ქრისტიანებმა, ასევე მუსლიმებმა, რათა მსოფლიო უფრო უსაფრთხო გახდეს. ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ ამ ქვეყანაზე. იერუსალიმი იმიტომაც არის მსოფლიოს სულიერი ცენტრი, რომ აქ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები ლოცულობენ ერთ გოჯა მიწაზე, როგორც თბილისში. მშვიდობა იერუსალიმსა და საქართველოსა ზედა!

ვახტანგ რჩეულიშვილი

თბილისი-მცხეთა-იერუსალიმი-ბეთლემი-გიორგიოპოლისი (ლოდი)
2002-2007წ.წ.

დანართი 6

იერუსალიმის წმიდა ადგილების მოკლე მიმოხილვა

ძველი იერუსალიმი გალავანშია მოქცეული, რომელსაც რამდენიმე კარიბჭე აქვს. გალავანი თურქეთის სულთნის, სულეიმანის მიერ, 1537-1541 წლებში არის აღდგენილი. გადმოცემით, სულთანს სიზმრად უნახავს, როგორ დაგლეჯდნენ ლომები, თუკი იერუსალიმის გალავანს არ აღადგენდა. სწორედ ამიტომ, მის მიერ განახლებული გალავნის ერთ-ერთ კარიბჭეზე ლომის თავებია ამოკვეთილი, მას “ლომთა” კარიბჭეს უწოდებენ. გალავანს შვიდი მოქმედი და რამდენიმე დახურული კარიბჭე აქვს.

როდესაც იერუსალიმის გალავნის მშენებლობა დასრულებულა, სულთანს პირადად შეუმოწმებია გალავანი. როგორც აღმოჩნდა, მეფე დავითის საფლავი სიონის მთაზე, გალავნის გარეთ იყო დარჩენილი. სულთანს არქიტექტორებისთვის უკითხავს, თუ რატომ დარჩა ეს წმინდა საფლავი გალავანს მიღმა. როგორც გაირკვა, არქიტექტორებს არ სცოდნიათ, რომ დავითის საფლავი მუსლიმთათვისაც სიწმინდეს წარმოადგენდა. განრისხებულ სულთანს ყურანის არცოდნისთვის, არქიტექტორები იქვე, გალავნის კედელზე ჩამოუხრჩვია. მათი საფლავების ნახვა დღესაც შესაძლებელია „იაფოს” კარიბჭესთან.

„იაფოს” კარიბჭე ქალაქის დასავლეთ შესასვლელში მდებარეობს. ამ ადგილიდან ყველაზე მაღე მოხვდებით უფლის საფლავის ეკლესიაში. სამხრეთის კედელში, “სიონისა” და ე.წ. “ნავის” კარიბჭეებია განლაგებული. აღმოსავლეთის

კედელშია “ლომების კარიბჭე”, ხოლო გალავნის ჩრდილოეთ მხარეს, “იროდისა” და “დამასკოს” კარიბჭეები იცავს. ეს სულიმანის დროს აშენებული კარიბჭეებია. მეშვიდე, ე.წ. „ახალი“ კარიბჭე კი XIX საუკუნეში აუგიათ.

ყველაზე გრანდიოზული , ე.წ. „ოქროს“ კარიბჭე , რომლითაც მაცხოვარი სახეიმოდ შევიდა პასექის დღესასწაულზე, უკვე რამდენიმე საუკუნეა რაც ჩაკეტილია. ასე აღსრულდა ბიბლიური წინასწარმეტყველება: „ეს კარიბჭე დახშული იქნება, არ გაიღება და კაცი არ შევა მასში, რადგან ისრაელის ღმერთი შევიდა მასში და იქნება იგი დახშული“ (ეზეკიელი, 44:2). ამ ადგილიდან ძველ ქალაქში შესვლა მხოლოდ ე.წ. „ლომთა“ კარიბჭიდან არის შესაძლებელი. მას „წმ. სტეფანეს“ კარიბჭესაც უწოდებენ, რადგან, აქვე ახლოს სტეფანე პირველდიაკონი ჩაუქოლავთ.

„იაფოს“ კარიბჭიდან პატარა მოედანზე მოხვდებით. მარჯვენა მხარეს დიდი შენობა მდებარეობს, რომელშიც სასტუმროა განთავსებული. ამ შენობის ებრაელებისათვის მიყიდვის მცდელობისთვის, პატრიარქი ირინეოსი გადააყენეს. საქმე იმაში გახლავთ, რომ იერუსალიმში ოთხ ნაწილად: ქრისტიანების, ებრაელების, სომხებისა და მუსლიმების უბნებად იყოფა. თითოეული რელიგიური თემი მათ შორის არსებულ საზღვარს მკაცრად აკონტროლებს. მართლმადიდებელ ქრისტიანთა თემის შენობების დიდი ნაწილის მფლობელი, ბერძნული საპატრიარქოა, რომელიც ისრაელში უძრავი ქონების ყველაზე მსხვილი მეპატრონეა. შენობებს ის მრავალწლიანი, ზოგჯერ უვადო იჯარითაც კი გადასცემს სხვადასხვა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს იმ პირობით, რომ მათი სხვა პირზე გასხვისება მხოლოდ საპატრიარქოს დასტურით მოხდება. ახალი გარიგების თანხის 30% ისევ საპატრიარქოს ერიცხება. ამ წესს „ტაბუ“ ჰქვია და ის ძალიან ართულებს, ისტორიულ ზონაში, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას. მაგალითად, ჯვრის მონასტრის მიმდებარე მიწები, საპატრიარქოს 50 წლით აქვს მიქირავებული ისრაელის მთავრობისთვის. აქ პრეზიდენტის რეზიდენცია და ქნესეთი - ისრაელის პარლამენტი არის განლაგებული, რაც შეეხება სადავო შენობას, ისრაელის მთავრობა, ახალი პატრიარქისაგან, ებრაელი ინვესტორებისათვის მის გადაცემას, ანუ გარიგების პირობის შესრულებას ითხოვს, მანამდე კი ოფიციალურად არ ცნობს მას.

ვნების კვირის „წითელ“ პარასკევს იერუსალიმში ჩასული პილიგრიმები მსველელობაში მონაწილეობენ, მსველელობა იმ გზაზე იმართება, რომლითაც სიკვდილმისჯილი, ჯვარმოკიდებული მაცხოვარი პრეტორიუმიდან გოლგოთამდე ავიდა. მომლოცველებს ხელში ჯვრები, ხატები და დროშები უჭირავთ.

ამ გზის ზუსტ მარშრუტზე, სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიების წარმომადგენლებს, დღესაც განსხვავებული აზრი გააჩნიათ. ადრე მსველელობა გეთსემანიის ბაღიდან მღვდელმთავარ კაიაფას სახლის გავლით მიემართებოდა გოლგოთისაკენ. მოგვიანებით ტრადიციული მარშრუტი ჩამოყალიბდა. იგი “ლომთა“ კარიბჭიდან იღებს სათავეს და „ვია დელაროსას“ (Vია ელაროსა) გავლით მიდის გოლგოთამდე.

მართლმადიდებლები მსველელობას გეთსემანიის ბაღიდან იწყებენ. აქ შეიპყრეს მაცხოვარი, აქ მდებარეობს მარიამ ღვთისმშობლის საფლავის ტაძარი, სადაც ყოვლადწმინდა ქალწულის მშობლები, იოაკიმე და ანა არიან დაკრძალულნი, აქვეა იოსებ მართალის საფლავიც. საფლავები, მიწის დონიდან 50 საფეხურით ქვემოთ არსებულ მღვიმეშია განლაგებული. ამავე მღვიმეში ზეცად ამადლებამდე ღვთისმშობლის სხეულიც ესვენა. ეკლესიასთან ახლოს, წმ. სტეფანე პირველდიაკონის სამლოცველოა, რადგან სწორედ აქ ჩაქოლეს იგი.

გეთსემანიის ბაღიდან მომლოცველები „ლომთა“ კარიბჭით ძველ ქალაქში შედიან. მას ქრისტიანები “წმ. სტეფანეს” კარიბჭესაც უწოდებენ. მეფე ჰეროდეს

ხანაში აქ ანტონიუსის ციხე მდებარეობდა, რომელშიც მოგვიანებით პრეტორიუმმა - რომაელთა პროკურატორების რეზიდენციამ დაიღო ბინა. სწორედ აქ, პილატესთან მიიყვანეს შეპყრობილი იესო ქრისტე. აქედან იწყება ქუნა, რომელიც უფლის წამების გზას მიყვება გოლგოთამდე. გზის დასაწყისში, იმ ადგილზე, სადაც გადმოცემით ყოვლაწმინდა ღვთისმშობელი დაიბადა, წმ. ანას ლათინური ეკლესიაა. კათოლიკეებს, მართლმადიდებლებისაგან განსხვავებით, ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის სწამთ.

ამ ადგილს პირველი „გაჩერება“ ჰქვია. ასე ეძახიან ამ გზის ყველა სამახსოვრო ადგილს, სადაც სახარების ან ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით იესო ქრისტე გაჩერდა. ამ ადგილებზე, ზოგჯერ ეკლესიები და სამლოცველოებია აშენებული, ზოგჯერ კი სამახსოვრო დაფებია განთავსებული. რომაული ტრადიციით სულ 14 „გაჩერება“ არსებობს, მათგან უკანასკნელი ხუთი, უშუალოდ მაცხოვრის საფლავის ტაძარში მდებარეობს. ბოლო, მეთოთხმეტე „გაჩერება“ კი თავად უფლის საფლავია.

პირველი „გაჩერება“ უფლის გამოღვთის ადგილზეა. აქ დღეს მუსლიმთა მეჩეთია. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ლათინური მონასტერია, აქ მაცხოვრის ჯვრის სამლოცველოა, სადაც გადმოცემით მაცხოვარს მხრებზე ჯვარი აჰკიდეს (იოანე 19: 13-17). მონასტერში თქვენ იერუსალიმის მაკეტი შეგიძლიათ იხილოთ.

მეორე „გაჩერებასთან“ მართლმადიდებლური ეკლესია მდებარეობს, ეს ის ადგილია, სადაც ციხეში, იესო ქრისტე და ავაზაკები ჰყავდათ დამწყვდეული. მას ზოგჯერ ბარაბას ციხესაც უწოდებენ.

მესამე „გაჩერება“ იმ ადგილზეა, სადაც იესო პირველად დაეცა. აქ სამლოცველო, კათოლიკე სომხებს აუგიათ. მისი რესტავრაცია მეორე მსოფლიო ომში მონაწილე პოლკონელი ჯარისკაცების მიერ შეგროვებული თანხებით მომხდარა. (სომხური კათოლიკური ეკლესია ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდიდან არის ცნობილი და დღესაც, ძირითადად ევროპაში მოქმედებს).

მეოთხე „გაჩერება“ იმ ადგილზეა, საიდანაც მარიამ ღვთისმშობელი უყურებდა გოლგოთისკენ მიმავალ, ნაწამებ ქრისტეს. ამ ეკლესიას, „მწუხარე დედის“ ეკლესია ჰქვია და ის, ძველი ბიზანტიური ეკლესიის ნანგრევებზეა აგებული. აქვე შემონახულია მოზაიკა, ღვთისმშობლის ტერფების გამოსახულებით.

მესუთე „გაჩერება“ იმ ადგილზეა, სადაც ქუნა მარჯვნივ უხვევს. აქ უფალს, პასექის დღესასწაულზე ჩამოსული სვიმონ კვირინელი შეხვდა, რომელსაც რომაელმა ჯარისკაცებმა ქრისტეს ჯვარი აჰკიდეს მხრებზე და გოლგოთამდე ატარებინეს (მათე, 27: 32, ლუკა, 23:26). აქვეა ადგილი, სადაც გადმოცემით, მაცხოვარი ხელით კედელს მიეყრდნო და მასზე თავისი ანაბეჭდი დატოვა. ამავე „გაჩერებასთან“ მდებარეობს დავით წინასწარმეტყველის საფლავი და სიონის ქორი - კიდევ ერთი წმინდა ადგილი ქრისტიანთათვის.

მექვსე „გაჩერება“ წმ. ვერონიკას სახლთანაა. გადმოცემით წმ. ვერონიკა ერთ-ერთი იმათგანია, ვინც მაცხოვარს გზაზე შეხვდა და სახიდან ოფლი და სისხლი მოწმინდა. ტილოზე უფლის სახის გამოსახულება დარჩენილა. ამ ადგილზე კათოლიკე ბერძნებს ეკლესია აუშენებიათ.

მეშვიდე „გაჩერება“ იმ ადგილზეა, სადაც იესო მეორედ დაეცა. აქ კოპტების პატარა ეკლესიაა. ტრადიციის მიხედვით, ამ ტერიტორიაზე ქალაქის კარიბჭე იყო (გოლგოთა მაშინ ქალაქის კედლებს მიღმა მდებარეობდა).

მერვე „გაჩერება“ აღნიშნულია ჯვრითა და წარწერით „I“, სწორედ აქ მიმართა მაცხოვარმა იერუსალიმელ ქალებს: “ასულნო იერუსალიმისანო, ნუ სტირით ჩემს ზედა არამედ თავთა თქუენტა სტიროდეთ და შვილთა თქუენტა” (ლუკა 23:27,28)

მეცხრე „გაჩერებაზე“ მოსახვედრად იგივე ქუჩით ცოტა უკან უნდა დაბრუნდეთ, ვიდრე ქუჩიდან მარჯვნივ, ზემოთ მიმავალი საფეხურები გამოჩნდება. ეს ადგილი

კოპტების საპატრიარქოს ეკუთვნის. აქედან მაცხოვრის საფლავის ტაძარში შეგიძლიათ მოხვდეთ. აქვეა ეთიოპელების ეკლესიაც, რომელთაც ისრაელის მთავრობამ, უფლის საფლავის ტაძრის სახურავზე შესასვლელის გასაღები გადასცა, რამაც კოპტებსა და ეთიოპელებს შორის კონფლიქტი გამოიწვია. მათი ტრადიციით, უფლის საფლავის ტაძრის სწორედ ამ ნაწილშია ის ადგილი, სადაც აბრაამი ისააკის მსხვერპლად შეწირვას აპირებდა. ეთიოპელები ამ ადგილს მეფე სოლომონსაც უკავშირებენ, რომელთა შთამომავლებად მიიჩნევენ თავს მათი სამეფო დინასტია.

უკანასკნელი ხუთი „გაჩერება“ თავად უფლის საფლავის ეკლესიაშია.

მეათე „გაჩერება“ ის ადგილია, სადაც ჯარისკაცებმა წილი იესოს სამოსზე ჰყარეს. ქართული ტრადიციით უფლის კვართი, რომელიც მთლიანი და დაუნაწევრებელი იყო, უფლის განგებით, მცხეთელ ებრაელებს ხვდათ წილად. მეთერთმეტე და მეთორმეტე „გაჩერებები“ გოლგოთაზეა. მეცამეტე „გაჩერება“ ზეთისცხების ღოდთანაა, მეთოთხმეტე კი - თავად უფლის საფლავთან.

ქრისტიანული სამყაროს მთავარი სიწმინდე, უფლის საფლავის ტაძარია.

უფლის საფლავის თანამედროვე ტაძარი უზარმაზარი არქიტექტურული კომპლექსია, რომელიც მოიცავს გოლგოთას - კლდეს, რომელზეც მაცხოვარი აცვეს ჯვარს და როტონდას - უზარმაზარ გუმბათოვან ნაგებობას, რომლის ქვეშ კუფუკლია - უფლის საფლავის სამლოცველო განთავსებული. აქვეა დიდი საკათედრო ტაძარი, პატიოსანი ჯვრის მოპოვების მიწისქვეშა ეკლესია, წმიდა ელენე დედოფლის ეკლესია და რამდენიმე სამლოცველო (იხ. ტაძრის გეგმა ფოტოგალერეაში). ტაძარში მდებარეობს რამდენიმე მონასტერიც. ეს წმინდა ადგილები შვიდ ქრისტიანულ ეკლესიას ეკუთვნის: ბერძნულ მართლმადიდებელს, (ის მართლმადიდებლებს წარმოადგენს წმინდა მიწაზე), რომაულ-კათოლიკურს, ანუ ლათინურს, სომხურ-გრიგორიანულს, კოპტურს, ეთიოპიურს და სირიულს (იაკობიტურს). ქართველები გოლგოთას და უფლის საფლავის სამლოცველოს გასაღებს ფლობდნენ. მათვე ეკუთვნოდათ მამამთავარი აბრაამის მონასტერი, რომელიც უფლის საფლავის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს. აქ დღემდეა დაცული ქართული წარწერები, მაგრამ დროთა განმავლობაში, წმინდა მიწაზე ყველა ქართული ეკლესია-მონასტერი სხვა ეკლესიების საკუთრებაში აღმოჩნდა. უფლის წყალობითა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ღოცვა-კურთხევით დაიწყო საქართველოს ეკლესიის დაბრუნება წმინდა მიწაზე.